ბიბლიოთე...

ლელო

გამოცემის 75-ე წელიწადი

№018 (12697) 24 იანვარი შაბათი 2009 ფასი 50 თეთრი






# კუპერი თურქეთს გაემგზავრა

## ივნისში მოლდოვასთან?

ეროვნული ნაკრების თავკაცი **ექტორ კუპერი**, რომელიც საქართველოში გასულ შაბათს დაბრუნდა, გუშინ თურქეთს გაემგზავრა. ეროვნულის თავკაცს სურს, ირლანდიასთან მატჩისთვის შემადგენლობის დასახელებამდე ნაკრების კანდიდატები საკუთარი თვალით იხილოს. მოგეხსენებათ, მოწინავე პოზიციებზე მყოფი ქართული გუნდები, „ვიტ ჯორჯია“, „დინამო“ და „ზესტაფონი“, ასევე „გაგრა“, სწორედ ანთალიაში გადიან მოსამზადებელ შეკრებას. თურქეთში კუპერი მათ საკონტროლო თამაშებს დაესწრება. ცნობა ფეხბურთის ფედერაციის თავკაცმა **ნოდარ ახალკაცმაც** დაგვიდასტურა. მან გვითხრა ისიც, რომ კუპერი თბილისში 1-ლი თებერვლისთვის დაბრუნდება და ნაკრების შემადგენლობას ამის შემდეგ დაასახელებს.

ახალკაცმა მოგვითხრო ეროვნული ნაკრების ამხანაგური მატჩების ორგანიზების თაობაზეც:

*„მოლდოვის ფეხბურთის ფედერაციის თავკაცს ვესაუბრე. მათ სურვილი აქვთ, 6 ივნისს თბილისში ამხანაგური მატჩი გავმართოთ. კუპერთან ერთად მოვილაპარაკებთ. ალბათ დავთანხმდებით. ამხანაგური თამაშებისთვის კიდევ გვაქვს 10 ივნისი, 12 აგვისტო და 9 სექტემბერი. ევროპაში 9 სექტემბერს მხოლოდ ისლანდია და ირლანდია არ თამაშობენ. ირლანდია ჯგუფის მეტოქეა და მათ ვერ ვეთამაშებით. ისლანდიაზე ვიფიქრებთ, გვილირს თუ არა. შესაძლოა, არჩევანი აზიის რომელიმე ნაკრებზე გავაკეთოთ... ერთი სიტყვით, ამხანაგურ მატჩებზე ირლანდიასთან მატჩის შემდეგ ნაკრების თავკაცთან გვექნება საუბარი“.*



დავით ცაგაძე

# ცვლილებები ასაკობრივ ნაკრებებში

## ახალგაზრდულში ცხადაძე დაამტკიცეს...

# ალექსიძეც დიორში ჩაირიცხება




# ალექსანდრე ჩივაძე დაბრუნდა





ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომი » 3

# ლოკომოტივსაც შევეშვი და ფეხბურთის თამაშსაც

## ვიტალი დარასელია ფეხბურთიდან მიდის?

» 2

# ივანოვიჩის უილიამსის გზას გაუყვა



მოსალოდნელი ტრანსფერი

# ალექსიძეც დიორში ჩაირიცხება



საქართველოს ნაკრების ნახევარმცველ **დავით ოდიკაძის** შემდეგ უნგრულ „დიორ ეტოში" ჩვენი ეროვნული გუნდის კიდევ ერთ ფეხბურთელს ელიან. მადიართა ამ კლუბთან მალე **რატი ალექსიძე** გააფორმებს კონტრაქტს. ინფორმაცია უნგრულმა „ნემზეტი შპორტმაც" დაადასტურა. ვებგვერდ „კისალფოლდის" ინფორმაციით, „დიორში" მალე „ჩელსის" ყოფილი ვარსკვლავი ჩაირიცხება, რომელზეც საქართველოს ნაკრების თავკაცი **ექტორ კუპერი** დიდ იმედებს ამყარებს. გარდა ამისა, ალექსიძეზე წერს „დიორის" ოფიციალური ვებგვერდიც.

*„ჩელსის" ყოფილ ფეხბურთელს „დიორში" ელიან. 30 წლის ქართველი ფორვარდი რატი ალექსიძე, რომელმაც კარიერა თბილისის „დინამოში" დაიწყო და ბოლოს თბილისის „ლოკომოტივში" ასპარეზობდა, „დიორს" ვარჯიშებზე მალე შეუერთდება. ალექსიძე საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრია და 2004 წელს თანამეგობრობის თასი თბილისის „დინამოს" რიგებში მოიპოვა. რატი ალექსიძეს ამ გუნდის სახელით ჩემპიონობა და თასი არაერთხელ აქვს მოპოვებული",* - ვკითხულობთ „დიორ ეტოს" ოფიციალურ საიტზე.

ალექსიძის გამოჩენას უნგრულ გუნდში ამ დღეებში ელიან. კონტრაქტის ხანგრძლივობის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია უნგრელებს ჯერ არ გაუვრცელებიათ. „დიორის" ვებგვერდის ცნობით, ალექსიძის ტრანსფერი ფიფას ლიცენზირებული ქართველი აგენტის **გოგა გახოკიძის** მეშვეობით ხორციელდება.

როგორც ირკვევა რატი ალექსიძე 26 იანვარს გაემგზავრება უნგრეთში და „დიორ ეტოსთან" კონტრაქტს გააფორმებს. ცნობა წუხელ თბილისში მყოფმა გოგა გახოკიძემაც დაგვიდასტურა.

*„რატი ჩავა და კონტრაქტს გააფორმებს. „დიორ ეტოში" ალექსიძეზე ბევრი იციან და კარგი წარმოდგენა აქვთ. კონტრაქტის ხანგრძლივობაზე მოგვიანებით მეტის თქმა შემეძლება",* - „ლელოსთან" საუბარში აღნიშნა გოგა გახოკიძემ.

**დავით ცაბაძე**

# ლოკომოტივსაც შევეშვი და ფეხბურთის თამაშსაც

## ვიტალი დარასელია-უმცროსი ბურთს აღარ გააგორებს?



ვიტალი დარასელია (ბურთით)

**რატი ალექსიძის** გარდა თბილისის „ლოკომოტივი" კიდევ ერთმა გამოცდილმა ფეხბურთელმა დატოვა – **ვიტალი დარასელიამ,** თუმც ის სხვა გუნდში გადასვლას არ აპირებს...

დარასელია საზარდულის ტკივილმა ჯერ კიდევ შარშან, მიმდინარე სეზონის პირველ ეტაპზე შეაწუხა და მან საკმაოდ ბევრი მატჩი გამოტოვა. ტრავმა არა და არ ცხრებოდა.

გუშინ დარასელია რომ შევეხმიანეთ, აი, რა გვითხრა:

- "ლოკომოტივიდან" წავედი და ფეხბურთის თამაშსაც თავს ვანებებ. ტრავმა ვერა და ვერ მოვირჩინე, ზუსტად არც კი ვიცი, რა მჭირს, დიაგნოზი ვერ დამიდგინეს. ამიტომაც მივიღე ასეთი გადაწყვეტილება.

**- მსგავს გადაწყვეტილებას ერთი ხელის მოსმით არ იღებენ, დარწმუნებული ხარ, რომ საბოლოოდ მიდიხარ ფეხბურთიდან?**

- ამ ეტაპზე ასეა, ფეხბურთელის კარიერას ვამთავრებ.

დარასელია ჯერ მხოლოდ 30 წლისაა და, რა თქმა უნდა, აქვს შანსი, ისევ ითამაშოს ფეხბურთი. მისი დარი ფეხბურთელები ნამდვილად ამდიდრებენ ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატს და იმედია, დარასელია საკუთარ გადაწყვეტილებას გადახედავს.

**დავით თავართქილაძე**

ინტერვიუ

# პოლონეთის მოქალაქეობაზე არც მიფიქრია



დენის დობროვოლსკი

**რუსთავის "ოლიმპის" საყრდენი ნახევარმცველი დენის დობროვოლსკი თბილისის "ამერში" ნაძალადევის საფეხბურთო სკოლა "ბერიდან" მოხვდა. ის ძალიან განიცდის სკოლა რომ აღარ არსებობს.**

**პოლონური წარმოშობის ფეხბურთელი უკრაინიდან, რომელიც თბილისში აფხაზეთის ომის შემდეგ ლტოლვილის სტატუსით მოხვდა. დღეს რუსთავის "ოლიმპის" ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა და კმაყოფილია, ამ გუნდში რომ ირიცხება:**

- "ამერიდან" არანაკლებ ამბიციურ გუნდში მოვხვდი და ეს ჩემთვის საინტერესოა. სულ პირველობისთვის და გამარჯვებისთვის რომ თამაშობ, ასე უფრო იზრდები. სხვათა შორის, "ოლიმპში" გადასვლამდე, სხვა არანაკლებ საინტერესო ვარიანტები მქონდა, მაგრამ დარჩენა ვამჯობინე. "ოლიმპი" ყველაზე მეტად მომეწონა.

**- "ოლიმპი" კი იბრძვის, მაგრამ დიდი მიზნების მისაღწევად საჭირო შესაძლებლობა გაგაჩნიათ?**

- რატომაც არა, ჩემპიონატის დასრულებამდე ჯერ მთელი მეორე წრეა დარჩენილი და შანსი კიდევ გაგვაჩნია. ყოველ შემთხვევაში, უნდა ვიბრძოლოთ.

**- მართალია, რომ უკრაინაში გადასვლას გთავაზობდნენ?**

- იყო ასეთი ვარიანტი, მაგრამ დარჩენა მთხოვეს და ამ ეტაპზე მეც ასე გადავწყვიტე. "ოლიმპი" მშვენიერი გუნდია და თანაც, 3-წლიანი კონტრაქტი მაკავშირებს.

**- მართალია, თითქოს უკრაინის მოქალაქეობის მიღებას გთავაზობდნენ?**

- უკრაინის მოქალაქებაზე სერიოზულად არ მიფიქრია. ჩემები საქართველოში უკრაინიდან კი ჩამოვიდნენ, თუმცა წინაპრები პოლონელები მყავდა. პოლონეთიდან დიდი ხნის წინ წამოვიდნენ და იქაურ ნათესავებს არც ვიცნობ.

**- საქართველოში შემორჩი 23 წლამდე. სარისკო არ არის, აქ გაზრდა რომ ძნელია... ყველა ამაზე ლაპარაკობს.**

- რატომ არის გაზრდა შეუძლებელი? საკუთარ თავზე აქაც ვმუშაობ და საერთოდ, პირობებიც რომ არ იყოს, მაინც მოვინდომებდი. პერსპექტივა ყველგან არის, თუკი თავს არ დაზოგავ. მე ნაძალადევში, საფეხბურთო სკოლა "ბერში" გავიზარდე. სკოლის მეპატრონე ყველანაირად ცდილობდა ბავშვების ხელშეწყობას, თუმცა, რა თქმა უნდა, წამყვანი სკოლების პირობები არ გვქონია. მწვრთნელები და ხელმძღვანელობა ისეთი მონდომებულები იყვნენ, ენთუზიაზმი ჩვენც გადმოგვედო და გავიზარდეთ. ასე რომ, პირობები კარგია, მაგრამ შრომა უფრო მეტს ნიშნავს. სხვათა შორის, ეს სკოლა დაიხურა და გული ძალიან დამწყდა. ნაძალადევში ბევრი ნიჭიერი ბავშვია და იქ სკოლის დახურვით ქართული ფეხბურთი ბევრს დაკარგავს.

**- ახლა სკოლაში სიარული ძვირი სიამოვნებაა. შენს დროს როგორი ვითარება იყო?**

- შეღავათებს გვიკეთებდნენ, თორემ დღევანდელი ფასები რომ დაეწესებინათ, ბევრი ბავშვი ვერ ვივლიდით და ფეხბურთელი არც გამოვიდოდი. ნაძალადევში მით უფრო უნდა იყოს სკოლები, რომ იქ ბევრი ნიჭიერი ბავშვია. მათ გასაქანი სჭირდებათ.

**- ქართველები ევროპისა და რუსეთ-უკრაინის მოქალაქეობის მიღებაზე ფიქრობენ, ოღონდ აქაურობას გაეცალონ. შენ, წინაპრები პოლონეთში გყოლია და იქაური პასპორტის აღებაზე არ გიფიქრია?**

- ჯერ ერთი, საქართველოში ვარ დაბადებულ-გაზრდილი და აქაური მეგობრები მყავს. მეორეც, ასეთი შანსი გამაჩნია, მაგრამ ამაზე არც დავფიქრებულვარ.

**- რამდენჯერმე იყო ლაპარაკი ნაკრებში შენს მიწვევაზე. იმედი ხომ არ გადაგეწურა?**

- მხოლოდ ერთხელ მიმიწვიეს ახალგაზრდულ ნაკრებში, მაგრამ მაშინ "ამერში" შეკრება გვქონდა და ნაკრებში ვერ ჩამოვედი. ეროვნულზე კი რა გითხრათ. თუმცა, ხომ იცით, იმედი ბოლოს კვდება. ჯერ კი, იმედგადასაწურ ასაკში არ ვარ.

**- საქართველოს ჩემპიონატში რომელი საყრდენი ნახევარმცველი მოგწონს?**

- ლუკა რაზმაძე ძალიან მომწონს, ის საქართველოს ჩემპიონატში გამორჩეული ფეხბურთელი რომ არის, კუპერმა ნაკრებში ამიტომაც მიიწვია. ბრძოლისუნარიანია, მშვენიერი პასის გაკეთება იცის, ბურთის დროული და სწრაფი ამოტანა და შეტევების კარგად წამოწყება ეხერხება და ჩინებული დარტყმა აქვს. საყრდენ ნახევარმცველსაც მეტი რა მოეთხოვება?

**- რომელი ფეხბურთელის წინააღმდეგ გიჭირს თამაში?**

- შეიძლება გაგიკვირდეს, მაგრამ ჩვენთან არც ერთი გუნდი და ფეხბურთელი არ მეგულება, რომელთან თამაშიც იოლია. ამას გულწრფელად ვამბობ. რომელი გუნდი რა სიურპრიზს მოგიწყობს, ამის წინასწარ გამოცნობა შეუძლებელია. ასეთი პირველობა არ მახსენდება, აუტსაიდერებიც კი საშიშები არიან.

**მერაბ მამულაშვილი**

ნოუ-ჰაუ ფეხბურთში

# სამედიცინო ცენტრი კლუბისთვის

პეკინის ოლიმპიადის შემდეგ ერთ-ერთ უკრაინულ გაზეთში, დღევანდელ სპორტში არსებული ვითარება მოხდენილი ფრაზით შეაფასეს – "ფარმაკოლოგების ოლიმპიადა", "ფარმაკოლოგებს ომი" და ა.შ.

ეს ფრაზები ცხადად ასახავს, თუ რას წარმოადგენს 21-ე საუკუნის სპორტი. ეს სულაც არაა შეჯიბრება მხოლოდ დოპინგომანიაში. რა თქმა უნდა, "ფარმაკოლოგების ომი" დოპინგის ახალ-ახალი სახეობების გამოგონებასაც გულისხმობს, გამარჯვების მიღწევის გზები თანამედროვე სპორტში მეცნიერულ დონეზეა აყვანილი და ვიტამინიზაციას, აღდგენით პროცედურებს, თანამედროვე მეთოდებით მკურნალობას, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ანუ ერთიანობაში, სამედიცინო მომსახურებას.

სამწუხაროდ, საქართველოში თანამედროვე ტენდენციების განვითარებას კლუბების ფინანსური შეჭირვება აბრკოლებს. კლუბებს ნორმალური მომზადების საშუალება არ გააჩნიათ, ზოგიერთი ფეხბურთელებს ხელფასსაც ვერ უხდის და რომელ სამედიცინო მომსახურებაზეა შეიძლება იყოს საუბარი.

ამ კუთხით საქართველოში უდავოდ გამორჩეულია თბილისის "ვიტ ჯორჯია", რომლის დამფუძნებელი და პრეზიდენტი მეცნიერი კაცი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი **გურამ რუხაძეა.** მან სხვებზე უკეთ იცის არა მარტო სამედიცინო მომსახურების მნიშვნელობა (ზოგადად, ეს ყველამ იცის), არამედ ისიც, კონკრეტულად, როგორი მომსახურებაა საჭირო. ჩათვალეთ, რომ ამით "ვიტ ჯორჯია" დანარჩენ კლუბებს ჩემპიონატის დაწყებამდე 1:0-ს უგებს.

ვიტჯორჯიელები ჩვენში უჩვეული ათლეტურობით გამოირჩევიან. ეს სწორი სამედიცინო ჯგუფის მუშაობის შედეგია. მათ არა მარტო ვარჯიში, კვება და სხვა ათასი წვრილმანიც მეცნიერულად აქვთ გათვლილი. ამ ყოველივეს შედეგი სატურნირო ცხრილში ჩანს – "ვიტ ჯორჯია" წლებია სტაბილურად საქართველოს ჩემპიონატის ლიდერებშია.

გუშინ კი შევიტყვეთ, რომ სამედიცინო უნივერსიტეტის საჩოგბურთო კლუბ "სიტი-სპორტის" ბაზაზე, სპორტული-სამედიცინო რეაბილიტაციისა და დიაგნოსტიკის ცენტრი "სიტი-ცენტრი" გაიხსნა. ის, უპირველესად, საფეხბურთო სკოლა "საბურთალოს" მოემსახურება.

*"მსგავსი ცენტრები კლუბებს ბევრგან ემსახურება. კიევის "დინამოში" ვალერი ლობანოვსკიმ დიდი ჯგუფი ჩამოაყალიბა და სწორი მიდგომით, კლუბი ევროპულ დონეზე აიყვანა. სამედიცინო მომსახურებას უზარმაზარ ყურადღებას აქცევენ წამყვან ევროპულ კლუბებშიც, "მილანში", "იუვენტუსში", "ჩელსიში", იმავე "შახტიორშიც". თანამედროვე ფეხბურთში კლუბის განვითარებისთვის, ეს ჰაერივით აუცილებელია. მცირე ხნის წინ სწორედ "ლელოში" წავიკითხე, რომ დონეცკელთა სამედიცინო სამსახური ყოველწლიურად 3 მილიონი დოლარით ფინანსდება.*

*რადგან "საბურთალოს" დიდი გეგმები გააჩნია, სამედიცინო ცენტრის ჩამოყალიბებაც გადაწყდა. "სიტი-ცენტრში" "საბურთალოს" ფეხბურთელებს გამოკვლევას ჩავუტარებთ. მწვრთნელი ექიმების დასკვნის საფუძველზე ტვირთავს ფეხბურთელს და ა.შ. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, არ უნდა გამოგვეპარონ ბავშვები, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობაც მათი ვარჯიში უფლებას არ გვაძლევს.*

*"საბურთალოს" დამფუძნებლებმა გადაწყვიტეს, რომ კლუბის მშენებლობისთვის სამედიცინო ცენტრი აუცილებელი იყო. ჩვენ ცნობილი სპეციალისტი პალიკო კასრაძე და პროფესიონალების მთელი ჯგუფი მოვიწვიეთ. "სიტი-ცენტრში" გაიარეს სამედიცინო შემოწმება "ზესტაფონმა" და "გაგრამ". ასე რომ, პირველი ნაბიჯების მიუხედავად, ჩვენი მომსახურების მნიშვნელობა ყველამ კარგად გაიაზრა,"-* გვითხრა ემზარ ჭუმბურიძემ, რომელიც "საბურთალოს" სამედიცინო ჯგუფის ხელმძღვანელია.

**მერაბ მამულაშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა* lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომა

# ცვლილებები ასაკობრივ ნაკრებებში

## ჩივაძე საპატიო ვიცე-პრეზიდენტია

გუშინ ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის მორიგი (წელს პირველი) სხდომა გაიმართა. თავყრილობაზე რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღეს, რომელიც საღამოს ჩატარებულ პრესკონფერენციაზე გაჟღერდა. მასმედიის წინაშე ფედერაციის პრეზიდენტი **ნოდარ ახალკაცი**, გენერალური მდივანი **რევაზ არველაძე, ალექსანდრე ჩივაძე** და **კახა ცხადაძე** წარდგნენ.

ნოდარ ახალკაცი: დღეს გამართულ აღმასკომის სხდომაზე ბევრი საკითხი არ იყო განსახილველი, მაგრამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები კი მივიღეთ.

არიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც წარდგენა არ სჭირდებათ. სწორედ ასეთთა რიცხვშია ბატონი ალექსანდრე ჩივაძე. ის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთი დამფუძნებელია, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი იყო და ეროვნულ ნაკრებსაც თავკაცობდა. გამორჩეული სპეციალისტია და მოხარული ვარ, რომ ბატონი ალექსანდრე ფეხბურთში დაბრუნდა. დღეს ის აღმასკომმა ერთსულოვნად დაამტკიცა ფედერაციის საპატიო ვიცე-პრეზიდენტად. ის ქართულ ფეხბურთს კარგად იცნობს და დიდი სარგებელის მოტანა შეუძლია როგორც ნაკრები გუნდებისთვის, ასევე მთლიანად ჩვენი ფეხბურთისთვის.

ალექსანდრე ჩივაძესთან და ქართულ ფეხბურთთან დაკავშირებით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ უნდა გაცნობოთ. თავის დროზე, როცა ფეხბურთის ფედერაციას მამაჩემი ხელმძღვანელობდა, 2000 წელს დაგეგმილი იყო ქართული ფეხბურთის ასი წლის იუბილის აღნიშვნა. ამას ჩვენ მიერ მოპოვებული ისტორიული წყაროები ადასტურებენ. თუ ვინმეს ამასთან დაკავშირებით რაიმე მნიშვნელოვან ისტორიულ დოკუმენტზე მიუწვდება ხელი, მოგვაწოდონ და იუბილის საქმეშიც ჩავრთავთ. გაისად, 2010 წელს ჩვენს ფეხბურთს 110 წელი უსრულდება და გვინდა ეს იუბილე მასშტაბურად ავღნიშნოთ. საამისოდ დღეს სპეციალური კომიტეტიც შეიქმნა, რმელსაც აღმასკომის გადაწყვეტილებით ალექსანდრე ჩივაძე უხელმძღვანელებს.

ალექსანდრე ჩივაძე: დიდი მადლობა ფედერაციის ხელმძღვანელობასა და აღმასკომის მთელ შემადგენლობას ასეთი ნდობისთვის. რაც შემეძლება, მზად ვარ ქართული ფეხბურთისთვის გავისარჯო. მწვრთნელების კომპეტენციაში ვერ ჩავერევი, მაგრამ თუ რომელიმე საკითხზე ჩემი აზრი დააინტერესებთ, ყველანაირად მხარში დავუდგები.

**- ბატონო ალექსანდრე, 11 თებერვალს ჩვენს ნაკრებს ირლანდიასთან მნიშვნელოვანი მატჩი ელის. თქვენი ავტორიტეტი ნაკრების ფეხურთელებისთვის ერთგვარი სტიმულია. შეძლებთ თუ არა დუბლინში გამგზავრებას?**

- ვნახოთ, ამაზე გვექნება საუბარი. ახალ პოსტზე დღეს დამამტკიცეს და ჯერჯერობით გადაჭრით ვერაფერს გეტყვით. კახა ცხადაძეს კი, რომელსაც დღეს ახალგაზრდული ნაკრები ჩააბარეს, წარმატებებს ვუსურვებ.

ახალკაცი: დღეს დამტკიცდა ახალგაზრდულ და ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელებიც. აღმასკომის გადაწყვეტილებით 21-წლამდელთა მთავარი მწვრთნელი კახა ცხადაძე იქნება. მას ასისტენტობას ზაურ სვანაძე გაუწევს. 19-წლამდელთა ნაკრებს გელა შეყილაძე ჩაიბარებს, ხოლო 17-წლამდელებს - გიორგი დევდარიანი. აქვე მინდა ერთი განმარტებაც გავაკეთო. შეყილაძე 1992 წელს დაბადებულთა გუნდს, რომელიც ელიტრაუნდში გაიყვანა, ამ გათამაშებაშიც უხელმძღვანელებს და თუ ფინალში გავედით, იქაც. დევდარიანი კი 1993 წელს დაბადებულთა ნაკრებს შემოდგომისთვის, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის მოამზადებს.

4 თებერვალს დანიაში, აარჰუსში 21-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის წილისყრა გაიმართება. იქვე გაირკვევა ჩვენი ჯგუფი და სათამაშო კალენდარი. ცხადაძეს 1988 წელს და შემდგომ დაბადებული ასაკის ფეხბურთელებით მოუწევს ძლიერი გუნდის ჩამოყალიბება. ამ ნაკრებს ოლიმპიადის საგზურისთვის შეუძლია იბრძოლოს და ყველა დამეთანხმებით, რომ ეს მეტად საპასუხისმგებლო პოსტია. ამ ასაკში მრავლად არიან ფეხბურთელები, რომლებსაც საერთაშორისო გამოცდილება გააჩნიათ. თუმცა ახალგაზრდულის თავკაცი იმაზეც ინფორმირებულია, რომ ზოგ ფეხბურთელზე ფსონი არ უნდა დადოს. მჭედლიძე, ყენია და სხვები უკვე ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები არიან. თუმცა ამ ასაკში კიდევ არაერთია გამორჩეული. თუნდაც 1989 წელს დაბადებული დავით თარგამაძე, გიორგი ივანიშვილი და სხვები. მჯერა, ის შეძლებს ძლიერი გუნდის ჩამოყალიბებას და წარმატებებს ვუსურვებ. როგორც იტყვიან, ბურთი და მოედანი მის ხელშია.



ბოლნისის სიონის ჩემპიონობა ცხადაძეს ახალკაცმაც მიულოცა

### კახა ცხადაძე (7.09.1968)

| | |
|---|---|
| 1985-87 | „მეტალურგი“ რუსთავი |
| 1988-89 | „დინამო“ თბილისი |
| 1990-91 | „იბერია“ თბილისი - საქართველოს ორგზის ჩემპიონი |
| 1992 | „სპარტაკი“ მოსკოვი - რუსეთის თასის მფლობელი |
| 1992 | „დინამო“ მოსკოვი - რუსეთის ჩემპიონატის III პრიზიორი |
| 1993-96 | „აინტრახტი“ ფრანკფურტი - გერმანიის ჩემპიონატის III პრიზიორი |
| 1997 | „ალანია“ ვლადიკავკაზი (რუსეთი) |
| 1998-2000 | „მანჩესტერ სიტი“ (ინგლისი) |
| 2001-02 | „ლოკომოტივი“ თბილისი |
| 2003-04 | „ანჟი“ მახაჩყალა (რუსეთი) |
| 1990-98 | საქართველოს ნაკრების კაპიტანი - 23 (1) |
| **სამწვრთნელო კარიერა** | |
| 2005 | „დინამო“ თბილისი - საქართველოს ჩემპიონი, სუპერთასი |
| 2006 | „სიონი“ ბოლნისი -საქართველოს ჩემპიონი |
| 2007 | „სიონი“ ბოლნისი |
| 2008 | „სტანდარდი“ ბაქო (აზერბაიჯანი) |

კახა ცხადაძე: მადლობა ფედერაციას და აღმასკომს ასეთი ნდობისთვის. ახალგაზრდული ნაკრები ეროვნულის ხვალინდელი დღეა და ეს მართლაც საპასუხისმგებლო პოსტია. ამ ასაკის კონტინგენტი მართლაც გვაძლევს საშუალებას, რომ გარკვეული ამოცანები დავსახოთ და მისი რეალიზებისთვის ვიბრძოლოთ. წარმატებების იმედი რომ არ მქონდეს, ამ პოსტზე არც მომიწვევდნენ და არც დავთანხმდებოდი. ჩემს სამუშაო გეგმას წილისყრის შემდეგ წარმოვადგენ. თუ კლუბები დაგვთანხმდებიან, კუპერის დარად მეც მინდა „სამშაბათობის“ მაგვარი ვარჯიშები ჩავატარო.

რევაზ არველაძე: აღმასკომის ეს გადაწყვეტილება ჩემთვის ორმაგად სასიხარულოა. კახა ჩემი დიდი ხნის მეგობარია, ნაკრების უცვლელი კაპიტანი და ჩემი თაობის საყვარელი ფეხბურთელი. მწვრთნელისთვის იღბალი ბევრს ნიშნავს და მინდა მისი თანამდევი ყოფილიყოს. მას წარმატებებს ვუსურვებ.

**- სამწვრთნელო შტაბის მონახაზი უკვე გექნებათ...**

- ჩემი ასისტენტი ზაურ სვანაძე იქნება. საქართველოში დღიდან მისი ჩამოსვლისა, ჩვენ ერთად ვმუშაობთ. უსიტყვოდ გვესმის ერთმანეთის. რაც შეეხებათ შტაბის სხვა წევრებს, ამაზე კიდევ გვექნება საუბარი.

ახალკაცი: ახალგაზრდულ ნაკრებს ჩვენგან ყოველგვარი ხელშეწყობა ექნება. ამხანაგური მატჩებისთვის მარტის ბოლოს, აპრილის დასაწყისში, ივნისის და აგვისტოს ორ თარიღს გამოვიყენებთ. სულ 5 ამხანაგური მატჩი გამოდის, რაც შესარჩევი ციკლისთვის მოსამზადებლად, დიდად წაადგება ჩვენს 21-წლამდელთა ნაკრებს.

**- არაერთი ფეხბურთელია იმ ასაკში, რომელთა გადაბირება სხვა ქვეყნის ნაკრებებს სურთ. თუნდაც გია გრიგალავა... ასეთებს ალბათ მოიძიებთ კიდეც...**

ცახადძე: მთავარია, ფეხბურთელის სურვილი იყოს ჩვენს ნაკრებში თამაში. ვისაც ამისი სურვილი ექნება, ჩვენ მხარში დავუდგებით. ასეთთა მოძიებაში ჟურნალისტებსაც დიდი როლი შეუძლიათ ითამაშონ.

ახალკაცი: ეროვნულ ნაკრებში კლაუს ტოპმიოლერის მწვრთნელობისას "ნალჩიკის" მეკარე ალექსანდრე ჩიხრაძის მოწვევა გვინდოდა. თუმცა ჩვენი არაერთგზის მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. თავად ჩიხრაძემ განაცხადა, რომ საქართველოს ნაკრებში თამაშის შემთხვევაში კლუბში ლეგიონერთა კვოტაში შევიდოდა და უკვე ნაკლებად მოუწევდა თამაში.

არველაძე: მარტის ბოლოს კოპენჰაგენში უეფას კონგრესი გაიმართება. საქმე ისაა, რომ უეფას აღმასკომის 16-კაციან შემადგენლობაში 9 ადგილი თავისუფლდება და აღმასკომის ახალ წევრებს აირჩევენ. ევროპის ყველა ფედერაციას შეუძლია საკუთარი კანდიდატურის წარდგენა. ჩვენ გადავწყვიტეთ, უეფას აღმასკომის წევრად ნოდარ ახალკაცის კანდიდატურა წარვადგინოთ, დღეს ეს აღმასკომმაც მოიწონა. ამ 9 წევრს ევროპის 53 ქვეყის ფედერაცია აირჩევს. ამ არჩევნებში არაერთი გამორჩეული ფიგურა დამარცხებულა. სხვა ფედერაციებიდან არაერთი ინიციატივა იყო ნოდარ ახალკაცზე და მისი გამარჯვებისა გვჯერა.

ახალკაცი: მადლობა აღმასკომს ასეთი ერთსულოვნებისთვის. უეფას აღმასკომის არჩევნებში წარმატების იმედი რომ არ მქონდეს ამ ნაბიჯს არ გადავდგამდი. იმედი მაქვს მხარდაჭერა მექნება.

**- აღმასკომის დღევანდელ სხდომაზე პეტარ შეგრტის საკითხი ხომ არ განხილულა?**

- არა, პეტარ შეგრტი კონტრაქტი აქვს და ის ფედერაციის ტექნიკური დირექტორია. მასთან მიმართებაში თუ რამე გადაწყვეტილება იქნება მიღებული, კულისებს მიღმა ნამდვილად არ დარჩება.

**დავით ცაბაძე**

# მორიგი დიდი გამოწვევა

1989 წელს, 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ თბილისის „დინამოს“ პირველი მატჩი რუსთა სახალხო გუნდ მოსკოვის „სპარტაკთან“ ჰქონდა. „დინამომ“ შინ 2:0 მოიგო, ერთი გოლი სპარტაკელთა მეკარე **სტანისლავ ჩერჩესოვს კახა ცხადაძემ** გაუტანა თავური დარტყმით. ეს არ იყო უბრალო თამაში და ვერც ცხადაძის გოლი იქნებოდა ერთი ჩვეულებრივ ბადეში გახვეული ბურთი. ცხადაძემ იმ გოლით საქართველოს და საკუთარ თავს რწმენა მოუტანა – გამარჯვების და წინსვლის.

ცხადაძე იმ გოლის შემდეგ ველარ იქნებოდა რიგითი ფეხბურთელი. მისი კარიერაც არ ყოფილა ჩვეულებრივი, ცხადაძე სულ ბრძოლებში იყო, სულ ჰქონდა ამბიცია და პრობლემები, სადაც კი მივიდა, ყველგან ახალი ენერგია შეჰქონდა.

ცხადაძე პირველი ქართველი ფეხბურთელი შეიქნა, ევროპის ერთ-ერთ ელიტურ ლიგაში რომ მოხვდა. ინგლისი, გერმანია, იტალია და ესპანეთი – ტოპლიგები 90-იან წლებშიც ამ ქვეყნების იყო. ცხადაძე ფრანკფურტის „აინტრახტის“ ფეხბურთელი გახდა, რომელსაც თავისი ტრადიციები და ადგილი აქვს გერმანულ ფეხბურთში.

ცხადაძე ჯერჯერობით ბოლო ქართველია, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე რომ ითამაშა – 1992 წელს შვედეთში შოტლანდიასთან ითამაშა თანამეგობრობის ნაკრებში.

ცხადაძე ეროვნული ნაკრების კაპიტანი იყო. მისი სჯეროდათ უმცროს თანაგუნდელებს, მათთვის ის ნამდვილი ავტორიტეტი გახლდათ. საქართველოს ნაკრებს ჰქონდა გამონათებები, 90-იან წლებში ჩვენი ეროვნული გუნდი იყო ნიჭიერი ფეხბურთელების კრებული ძალიან მოუწესრიგებელ, დამწყებ სახელმწიფოში. არ იყო იოლი ასეთი ქვეყნის ნაკრების კაპიტნობა.

ცხადაძე ფატალურად უიღბლო გამოდგა ტრავმების მხრივ – ოპერაციები, სარეაბილიტაციო პერიოდები – ყველაფერი ეს ნერვებზეც ძოქმედებდა. კახას კარიერა ხშირად დამდგარა კითხვის ნიშნის ქვეშ, მაგრამ იყო ნებისყოფა და ძალა.

წლებმა თავის გაიტანა, სირთულეების მიუხედავად ცხადაძემ საკმაოდ დიდ ხანს ითამაშა ფეხბურთი და მწვრთნელობა დაიწყო.

პირველი დიდი გამოწვევა "დინამო" იყო. 2004 წელს „დინამო“ უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გავიდა, მომდევნო წელს კი გუნდს უკვე ცხადაძე წვრთნიდა და მისგან ცხადია არანაკლებს შედეგს ითხოვდნენ. ოღონდაც „დინამოდან“ ბევრი ისეთი ფეხბურთელი იყო წასული, რომლებიც წინა წელს მნიშვნელოვნად განაპირობებდნენ „დინამოს“ ძალას. 2005 წელს „დინამომ“ წარმატებით ვერ ითამაშა ევროსარბიელზე, ოდენ საქართველოს ჩემპიონობას დასჯერდა ცხადაძის ხელმძღვანელობით.

ზოგადად, ძნელია „დინამოს“ მწვრთნელობა, ყველაზე ტიტულოვან ქართულ კლუბში სტრესი გაცილებით მეტია, ვიდრე საქართველოს დანარჩენ წამყვან გუნდებში. „დინამოს“ მწვრთნელობას განსაკუთრებული გამოწრთობა და გაკაჟება უნდა...

„დინამოს“ და ცხადაძის გზებიც გაიყარა, მაგრამ ამბიცია დარჩა – კახა ბოლნისის „სიონში“ მივიდა და გუნდი ჩემპიონი გახადა. ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე კი მასზე გაცილებით მაღალბიუჯეტიან „ბაკის“ მოუგო (2:0,0:1) – ეს უკვე წარმატება იყო.

მწვრთნელ ცხადაძეს ჰქონდა შეცდომები, ალბათ ტრავმებისგან შექმნილი ნერვების გამო არაერთხელ დაუკარგავს წონასწორობა, მაგრამ ეს ჩავლილი ამბავია და იმედია, ცხადაძეს ასეთი შეცდომები აღარ მოუვა. ის უკვე ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელია, მას ეროვნული გუნდის მომავალი ჩააბარეს – მორიგი დიდი გამოწვევა ნაკრების აწონილი ექსკაპიტნისთვის.

**დავით თავართქილაძე**

დინამო

# თურქეთში მოგებით წავიდნენ

თურქეთში გამგზავრებამდე, თბილისის "დინამო" ბათუმში ადგილობრივ "დინამოს" შეხვდა და დიდი ანგარიშით, 4:0 დაამარცხა.

ანგარიში მეათე წუთზე გაიხსნა, როდესაც **დათო დილმელაშვილმა** კუთხური გაითამაშა. მართალია, მეკარემ **გურამ კაშიას** დარტყმა მოიგერია, მაგრამ **გულვერდ თომაშვილმა** მასპინძელთა კარი ახლო მანძილიდან აილო.

19-ე წუთზე **გიორგი მერებაშვილის** გადაცემით, ანგარიში **დონალდ ჯიუსმა** გაზარდა – 0:2.

როგორც ჩანს, ბოლნისის "სიონიდან" გადმოსული **ალეკო კოშკაძე** გუნდთან ადაპტაციას გადის და ნელ-ნელა იმ სასარგებლო თვისებებს ავლენს, რის გამოც თბილისელთა მთავარმა მწვრთნელმა, **რაინერ ცობელმა** გუნდში მიიწვია. შწორედ "დინამოს" ახალი ფლეიმეიქერის მშვენიერ თამაშს მოჰყვა მეორე ტაიმში სტუმართა კიდევ ორი გოლი – მისი საგოლე გადაცემებით, ორივე შემთხვევაში, გიორგი მერებაშვილმა ისარგებლა.

დინამო: **ოვონო (46.ლორია), - თომაშვილი (46. მინდორაშვილი), გ. კაშია, კრშკო, ჩარასი – ტომიჩი, დილმელაშვილი (46. ნემსაძე), კოშკაძე, ლომია (46. ჯიშკარიანი) – მერებაშვილი, ჯიუსი.**

საქართველოს ჩემპიონი დღეს ტრაბზონში გაემგზავრა, იქიდან კი – ანთალიაში.

**მერაბ მამულაშვილი**

სიონი

# მარცხი მგლებთან

**სიონი-მგლები 0:1**

0:1 ქირია (18. გ. თოდუას პასით)

სიონი: **ბობლიაშვილი, კაკაშვილი, ორბელაძე, სვანიძე, ჯ. მუჯირი, სანიკიძე, დიდავა, ხიდეშელი, შალამერიძე, დავითაშვილი, რ. გოცირიძე.**

*მეორე ტაიმში შევიდნენ:* **ი. შენგელია, ალადაშვილი, ბაჯელიძე.**

მგლები: **სომხიშვილი, ჭითანავა, აქუბარდია, რ. ონიანი, რაქვიაშვილი, გულორდავა, ჯოჯუა, ინჯგია, ბ. ნოზაძე, ქირია, გ. თოდუა.**

*მეორე ტაიმში შევიდნენ:* **გ. ჭედია, ბაკარანძე, ხუხია, გოგიბერიძე, დ. ჯანაშია, ბაჯელიძე.**

ქობულეთში მოსამზადებელ შეკრებაზე მყოფმა ბოლნისის „სიონმა“ ზღვისპირეთში პირველი ამხანაგური მატჩი გამართა. **ოთარ კორღალიძის** გუნდი ზუგდიდის „მგლებს“ გაეჯიბრა. შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. ანგარიშის გახსნამდე უპირატესობა „სიონისა“ იყო, მერე კი **ბესიკ შეროზიას** ბიჭებმა იძალეს. ზუგდიდელებს ანგარიშის გაზრდაც შეეძლოთ. ტრავმის შემდეგ გამოჯანმრთელებულ მეგოლე **გია თოდუას** ერთხელ **მინდია ბობლიაშვილმა** რთული ბურთი აუღო, ერთხელ კი ძელმა იხსნა ბოლნისელები. ბურთის გატანა შეეძლოთ **ვლადიმერ ჯოჯუას, გიორგი გულორდავასა** და ბელარუსის ჟოდინოს „ტორპედოდან“ დაბრუნებულ **გიორგი ჭედიას.**

ბოლნისელებზეც ვთქვათ მსუბუქი ტრავმების გამო „სიონს“ მცველები **რევაზ ქემოკლიძე** და **ირაკლი ვაშაკიძე** აკლდნენ. ასევე მცველი **სერგი ორბელაძე** კი დაშავდა და თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო. ქვემოქართლელთაგან **სულიკო დავითაშვილს, რევაზ გოცირიძესა** და **ირაკლი შენგელიას** შეეძლოთ გოლის გატანა, მაგრამ ზუგდიდელთა მეკარე **გიორგი სომხიშვილმა** ბოლომდე მშრალად შეძლო კარის შენახვა.

ბოლნისელები მომდევნო საკონტროლო მატჩს კვირას 25 იანვარს „ბათუმთან“ გამართავენ. ზუგდიდელები კი 29 იანვარს „სამტრედიას“ გაეჯიბრებიან.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამერი

# ფეხბურთმა კი არა, არაადეკვატურმა გარემომ დამღალა

## ზურაბ ფოცხვერია: ხელს ვერ ჩავიქნევ



ზურაბ ფოცხვერია

საქართველოში გაჩნდა კლუბი, რომელსაც ძალიან უნდოდა ყოფილიყო მართლა კლუბი, ჰქონოდა ყველაფერი, რაც აუცილებელია კლუბისთვის დაწყებული ბაზიდან დამთავრებული ყოველწლიურ ბროშურამდე (yearbook რომ ჰქვია), მაგრამ შარშან ასეთი კლუბის ჩარხი უკუღმა დატრიალდა...

თბილისის „ამერი“, საქართველოს თასის ორგზის მფლობელი ახლა პირველ ლიგაში თამაშობს და აღმოსავლეთ ზონაში მეორე ადგილზეა. “ამერს” ფინანსური პრობლემები რომ შეექმნა, თვითონ თქვა უარი უმაღლეს ლიგაზე, მაგრამ ამ გუნდის ისტორია ამით არ დასრულებულა – “ამერის” პრეზიდენტ ზურაბ ფოცხვერიას უყვარს ფეხბურთი და საქმე, რაც უკვე არის იმის წინაპირობა, რომ ადრე თუ გვიან “ამერისგან” ისევ უნდა ველოდოთ მოწინავეებში მოხვედრას. ცხადია, ეს ყველაფერი ვარაუდია, მანამდე კი “ლელოს” კითხვებს “ამერის” პრეზიდენტი ზურაბ ფოცხვერია პასუხობს.

**- რა ეტაპზეა ახლა “ამერის” საქმიანობა? გუნდის წამყვანი ახალგაზრდა ფეხბურთელებიც ტოვებენ და ამან ცოტა არ იყოს, ტენდენციის სახეც კი მიიღო...**

- ვისაც სხვა გუნდში უნდა გადასვლა, “ამერიდან” წავა, ვისაც არ უნდა, ის დარჩება. ერთი სიტყვით, “ამერში” ახლა განსაკუთრებული არაფერი ხდება.

**- “ამერიდან” “ზესტაფონს” მიაშურეს რატი წინამძღვრიშვილმა, გიორგი ელბაქიძემ და ბესიკ ჩიმაკაძემ, თუმცა მათი ტრანსფერი გადაწყვეტილი არ არის ...**

- „ზესტაფონი“ დაინტერესებულია ამ ფეხბურთელებით, ჩიმაკაძე და ელბაქიძე თურქულ შეკრებაზე წაიყვანა, უფრო კარგად გაეცნობიან მათ და თუ აყვანას გადაწყვეტენ, მოლაპარაკება მერე გაიმართება .

**- “ამერმა” თვითონ თქვა უარი უმაღლეს ლიგაზე, მაგრამ ახლა პირველ ლიგაში მიწინავეთა შორისაა და უმაღლესი ლიგის საგზური რომ მოიპოვოს, რა გადაწყვეტილებას მიიღებთ, კვლავ უარს იტყვით უმაღლეს ლიგაზე?**

- ჩვენ ვინარჩუნებთ პრინციპს – ვთამაშობთ გამარჯვებისთვის და ცხადია, ფეხბურთელებს არ ვეტყვით, თამაშებს ნულარ მოიგებთ-თქო. ხოლო თუ “ამერი” უმაღლესი ლიგის საგზურს მოიპოვებს, მხოლოდ ჩვენი სურვილი არ იქნება გადამწყვეტი – რა ვითარება იქნება ჩვენს კლუბში, ქართულ ფეხბურთში და საერთოდ ჩვენს ქვეყანაში – ამ ფაქტორებსაც უნდა გავუწიოთ ანგარიში.

**- “ამერს” უკვე აქვს გარკვეული ტრადიციები – ორჯერ მოიგო საქართველოს თასი, ითამაშა ევროსარბიელზე, გარდა ამის აქვს ინფრასტრუქტურა, მათ შორის ბაზა საგურამოში. თუ ვინმე მოგმართავთ წინადადებით, იყიდოს “ამერი”, ეს ქვენთვის საინტერესო შემოთავაზება იქნება?**

- ნებისმიერ ჩემს საქმიანობას განვიხილავ როგორც ბიზნესის ნაწილს. წინადადებებს ყოველთვის ყურადღებით ვუსმენ, თუმცა უმრავლესობა ვერ ხორციელდება. ამით იმის თქმა მსურს, რომ თუ ასეთი შემოთავაზება იქნება, ამასაც მოვუსმენ, თუმცა სიმართლე გითხრათ, “ამერის” გაყიდვაზე არ მიფიქრია, რადგან იმის რეალური პერსპექტივა არ ჩანს, რომ ვინმემ ასეთი წინადადებით მომმართოს – საქართველოში საფეხბურთო ბაზარი ფაქტობრივად არ არის.

**- პრობლემა არაერთია: ფული, სათანადო გარემო, სტიმული... არ დაგღალათ საფეხბურთო კლუბის ყოლამ? ეს ხომ წამგებიანი ბიზნესია საქართველოში და “ამერის” საქმეებიც ბოლო დროს კარგად ვერ წავიდა...**

- დამღალა არაადეკვატურმა გარემომ, რაც ძალიან სჭირდება ფეხბურთს და ნებისმიერ სხვა საქმეს. თვითონ ფეხბურთს მე არ დავუღლივარ და არც იმ პრობლემებს, რომელიც ამ სფეროშია – როცა მუშაობ, ყოველთვის ვერ იქნები სასიამოვნო განწყობაზე.

**- და რას ელოდებით? იმას, რომ სიტუაცია მალე უკეთესობისკენ შეიცვლება?**

- მხოლოდ ლოდინით არაფერი გამოვა, ვცდილობ, გამოვნახო გზები მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რაც საკმაოდ ძნელია. ხელი კი ჩაქნეული ნამდვილად არ მაქვს, ხელს, უბრალოდ, ვერ ჩავიქნევ.

**- გასაგებია, მაგრამ უახლოეს პერიოდში თუ არის მოსალოდნელი ის, რომ “ამერმა” უწინდელი მდგომარეობა დაიბრუნოს?**

- საამისო დაფინანსების წყარო ჯერ არ ჩანს.

**- “ამერმა” თავის უწინდელი მდგომარეობა რომ ვერ შეინარჩუნა, ამას მხოლოდ არაადეკვატურ გარემოს აბრალებთ?**

- რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო, ამ პრინციპის მომხრე ვარ. ყველაფერი გარე ფაქტორებს დავაბრალო და საკუთარ თავს არაფერი, ასე არ გამოვა, ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს.

**- მაშინ ასე გკითხავთ – რა იყო თქვენი მთავარი შეცდომა?**

- რაც მოხდა, იმას შეცდომებს ვერ დავაბრალებ – “ამერს” დაფინანსების წყარო შეუწყდა. მთავარი მიზეზი ფულია.

**- როცა “ამერს” ჰქონდა ასეთი წყარო, მაშინ მთელი რესურსი ორ-სამ წელიწადს მოახმარეთ, თანხები სწორად ვერ გადაანაწილეთ, ყველაფერი კარგად ვერ გათვალეთ – არსებობს ასეთი აზრიც...**

- როცა “ამერს” ვქმნიდით, ექვსწლიანი გეგმა დავსახეთ, ხოლო მერე რა მოხდებოდა, დამოკიდებული იყო ბევრ რამეზე. ჩვენნაირი ქვეყნისთვის ექვსი წელი ბევრია, ამ ექვს წელიწადში საქართველოში ძალიან ბევრი რამ მოხდა და ძალიან ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ჩვენ ეს ექვსწლიანი გეგმა მაინც განვახორციელეთ.

**- საქართველოს ისეთი რესურსები აქვს, ალბათ, საკლუბო ფეხბურთში ერთი ძირითადი მიმართულება უნდა აირჩიოს – იყოს ფეხბურთელთა ექსპორტიორი ქვეყანა. ისე ჩანდა, თითქოს “ამერმა” სხვა გზა აირჩია...**

- სამწუხაროდ, როცა საფეხბურთო სკოლებზე ჩამოვარდება სიტყვა, „ამერს” არც კი ახსენებენ, არადა ჩვენი საქმიანობა სწორედ საფეხბურთო სკოლით დავიწყეთ და მერე შევქმენით პროფესიული კლუბი. საფეხბურთო სკოლა ერთია, მაგრამ მოზარდს სხვა გარემოც სჭირდება, - ჯერ საქართველოში უნდა გაიაროს საფეხურები, რათა მოხვდეს კარგ უცხოურ გუნდში, სხვანაირად ქართველი ახალგაზრდა ფეხბურთელით არავინ დაინტერესდება.

**- თქვენ ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრიც ხართ. გვახსოვს თქვენი კატეგორიული განცხადება – თუ საეჭვო თამაშები სამართალდამცავ ორგანოებს არ გადაეცემა, აღმასკომს დავტოვებო. ფედერაციაში გვითხრეს, მასალები პროკურატურას გადავეცითო, მაგრამ ფაქტია, საქმე ამის იქით არ წასულა, არ ყოფილა ვინმეს დასჯის პრეცედენტი საფეხბურთო კორუფციის გამო...**

- პრეცედენტი მართლაც ვერ შეიქმნა, სამწუხაროდ, ამ მიმართულებით ეფექტურად მუშაობასაც სათანადო სიტუაცია სჭირდება.

**- საქართველოს ნაკრებში კლაუს ტოპმიოლერის მუშაობის დროს მას ხშირად ოპონირებდით. ახლანდელ ვითარებაზე რას გვეტყოდით?**

- ჩემს პოზიციას ხმამაღლა დავაფიქსირებ: სანაკრებო დონეზე ვერანაირ მნიშვნელოვან წარმატებას ვერ მივაღწევთ, სანამ არ გვექნება კარგი ეროვნული ჩემპიონატი. მეეჭვება, საქართველოს ამ ნაკრებში ექტორ კუპერმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიოს. მაგრამ მწვრთნელს შეუძლია სასიკეთო ტენდენციების შექმნა, რაც უკვე წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

**- რატომღაც ბევრს ჰგონია, კუპერი ეროვნულ ნაკრებში ქართული გუნდების ფეხბურთელებს რომ იძახებს, ეს უკვე კარგია – განა შეიძლება, ასეთი რამ თვითმიზანი იყოს?**

- ეს რომ თვითმიზანი იყოს მართლაც დიდი შეცდომა იქნება, ისევე როგორც ტოპმიოლერის დროს იყო – ნაკრებში ეროვნული ჩემპიონატის ფეხბურთელებს არ უნდა ეთამაშათ. თვითმიზანი უნდა იყოს შედეგი, ნაკრებში იმ ფეხბურთელების მიწვევა, რომლებიც კონკრეტულ მომენტში სხვებზე უკეთეს ფორმაში არიან და შესაბამისად სხვებზე მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ.

**- კუპერის სიაში ხვდებიან საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელები და არ ხვდებიან ისეთები, რომლებიც უკეთეს ლიგაში თამაშობენ და ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეჰყავთ...**

- რაც შეხება შემადგენლობას, ვფიქრობ, სუბიექტურობის ლუფტი უნდა არსებობდეს. სხვა საქმეა, საიდან მოდის არჩევანი – თუ ეს თვითმიზანია, მაშინ ცუდია...

**დავით თავართქილაძე**

ამბები

## მარცვალაძის დუბლი, იაშვილის პირველი

დაღესტნურმა კლუბმა „ანჟიმ“ თურქულ შეკრებაზე 5:2 გაანადგურა აზერბაიჯანული „ქარვანი“. ამ შეხვედრაში თავი ქართველმა თავდამსხმელებმა გამოიჩინეს, **ოთარ მარცვალაძის** ანგარიშზე დუბლია, **სანდრო იაშვილმა** კი „ქარვანის“ განადგურებას წერტილი დაუსვა. აღსანიშნავია, რომ ეს „ანჟის“ მწვანე მაისურით მარცვალაძის და იაშვილის სადებიუტო გოლებია. მარცვალაძემ მე-15 და 30-ე წუთებზე გაიტანა, იაშვილმა - მე-80-ზე.

თამაშით კმაყოფილი დარჩა „ანჟის“ თავკაცი **ომარ თეთრაძე**: „პირველ ტაიმში კარგად ვითამაშეთ, ანგარიში (4:0) ამაზე თავად მეტყველებს. მაფიქრებს დაცვის თამაში, ეს ხაზი ჯერ კიდევ მრავალ შეცდომას უშვებს. მეტოქე კი არცთუ ურიგო იყო, მხიარული, რომელიც კარგად ფლობს ბურთს“. სხვათა შორის, ქართველ თავკაცს ეს სიტყვები აზერბაიჯანულმა საიტებმა დაცინვად ჩაუთვალეს. პირველ ტაიმში ითამაშეს: **გიორგი ნავალოვსკიმ, კახა ალადაშვილმა, გოჩა ხოჯავამ** და ოთარ მარცვალაძემ. მეორე ტაიმში - **ედიკ საჯაიამ** და სანდრო იაშვილმა. არ გამოჩენილან **რევაზ ჯიქია** და **ზურაბ არზიანი**. სამწუხაროდ, აზერბაიჯანული წყაროები არ იუწყებიან გამოიჩინა თუ არა თავი „ქარვანის“ ნახევარმცველმა **მიხეილ მესხმა**.

## ჩვენი კაცი ჩეჩნეთში?

ოთხშაბათს რუსული პრემიერლიგიდან გავარდნილი ვლადივოსტოკის „ლუჩი“ წინასასეზონო შეკრებაზე თურქეთში გაემგზავრა. გუნდთან ერთად იმყოფება **ლევან გვაზავაც**, ქართველ ნახევარმცველს ჯერაც მოქმედი კონტრაქტი აკავშირებს კლუბთან და თუკი აქამდე ის ვლადივოსტოკელთა შემადგენლობაში არ ვარჯიშობდა, ანგინის ბრალი ყოფილა. შორეული აღმოსავლელები ანთალიაში მწვრთნელის გარეშე გაემგზავრნენ, რადგან ეს პოსტი ჯერაც ვაკანტურია, პრემიერლიგაში მოთამაშე გუნდიდან მხოლოდ 7 ფეხბურთელი დარჩა და მათ უმეტესობასაც სხვა კლუბში გადასვლა სურს. რუსეთში ეკონომიკური კრიზისი განსაკუთრებით ამ რეგიონს შეეხო და ეს სპორტზეც აისახა, ვლადივოსტოკელთა საკალათბურთო გუნდი საერთოდ დაიშალა... ბუნებრივია, არც ჩვენ გვემეტება 28 წლის ნახევარმცველი რუსეთის პირველი დივიზიონისთვის, მით უფრო რომ ლევანს შარშან შესამჩნევი პროგრესი ჰქონდა და ის რუსული პრემიერლიგის ერთ-ერთ საუკეთესო დრიბლიორადაც აღიარეს. 27 მატჩში ჩვენებურის ანგარიშზე 3 გოლი და 4 საგოლე პასი იყო.

როგორც ჩანს, გვაზავას ლუჩელობაც დროებითია და, შესაძლოა, გზაში დაწეულ ახალ თავკაცს (სავარაუდოდ, ის ლიტველი **ზელკიავიჩუსი** იქნება) შეკრებაზე ქართველი აღარც დახვდეს. ორშაბათიდან ანთალიაში მეორე საწვრთნელ შეკრებას იწყებს გროზნოს „ტერეკი“, რომლის რიგებში გადასვლასაც ჩვენებურს „სპორტ ექსპრესი“ უახლოეს დღეებში უწინასწარმეტყველებს. „ტერეკს“ **ვიაჩესლავ გროზნი** წვრთნის, სწორედ მას სურს გუნდში ქართველი ფეხბურთელი იხილოს. კლუბები უახლოეს დღეებში ფეხბურთელის ტრანსფერს შეათანხმებენ. რუსული „სოკერ ნიუსი“ ყურადღებას გვაზავას რუსულ პასპორტზე ამახვილებს: *„გვაზავას ერთ-ერთი პლუსი მისი რუსული პასპორტია, რაც ძალზე მნიშვნელოვანია ლეგიონერებზე ლიმიტის პირობებში“*. თუკი ეს ტრანსფერი შედგება, ლევან გვაზავა ჩეჩნური გუნდის პირველი ქართველი იქნება. შეგახსენებთ, რომ „ტერეკი“ შარშან გადავიდა პრემიერლიგაში და მე-10 ადგილი დაიკავა.

## უცნობი ქართველის უცნაური თავგადასავალი

რუსულ პრემიერლიგაში მე-4 ადგილზე გასულმა პერმის „ამკარმა“ შეკრებაზე მყოფი 23 წლის ფორვარდი **მიხეილ კირთავა** დაიწუნა. ეს ფეხბურთელი ისრაელის მოქალაქეა და „ამკარის“ ოფიციალური საიტის ცნობით, ჰაიფას „მაკაბის“ წევრია. მოგეხსენებათ, „მაკაბი“ ისრაელის ჩემპიონატის ლიდერია. კლუბში მთავარი მწვრთნელის ასისტენტი **გიორგი დარასელიაა**. ფეხბურთელი გვარად კირთავა იქ ნამდვილად არ ირიცხება. სხვათა შორის, მიხეილ კირთავას თურქულ შეკრებაზე აზერბაიჯანელი მსაჯის გამო უსიამოვნო ინციდენტი შეემთხვა - „ამკარმა“ 0:2 წააგო მეორე ბუნდესლიგის „ოფენბახთან“, კირთავა კი ამ თამაშში გააძევეს... „ფეარ პლეის“ პრინციპის დაცვისთვის. აზერბაიჯანელმა მსაჯმა **ფუად ჰასანოვმა** კირთავა ჯერ შელაპარაკებისთვის გააფრთხილა, შემდეგ კი მას წითელი ბარათი უჩვენა, ბურთის აუტზე განზრახ გადაგდებისთვის – ოფენბახელებს ფეხბურთელი ჰყავდათ დაშავებული. მსაჯის გადაწყვეტილებასაც ყველაზე მეტად გერმანელი ფეხბურთელები აპროტესტებდნენ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, ისევე როგორც თავად კირთავას რუსულ კლუბში.

## ვაჟა, ჩვენი კაპიტანი

ზედიზედ ორჯერ საფეხბურთო ლატარიაში, პენალტების სერიაში გამარჯვების შემდეგ **ვაჟა თარხნიშვილის** „შერიფმა“ თანამეგობრობის თასის ფინალში გააღწია. გუშინ ნახევარფინალში მოლდოვის ჩემპიონის და უზბეკური „პახტაკორის“ შეხვედრა 2:2 დასრულდა. მიუხედავად ორი გაშვებული გოლისა, ვაჟა თარხნიშვილმა საიმედოდ ითამაშა და ტირასპოლელები ორჯერ აშკარა გოლისგან იხსნა. პენალტების სერიაში „შერიფმა“ 4:3 იმარჯვა, ქართველმა ლეგიონერმა თავისი პენალტი გაიტანა: „ვაჟა, ჩვენი კაპიტანი უტყავს - არის! ვაჟამ გაიტანა თავისუფლად, ყოველგვარი პრობლემის გარეშე“, - ვკითხულობთ „შერიფის“ ოფიციალური საიტზე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## სარაევოში ერთი კუტალია დარჩა

ორიოდე დღის წინ “ლელო” ბოსნიაში მოთამაშე ქართველ ფეხბურთელზე წერდა. **ლევან კუტალია** სარაევოს “სლავიაში” ირიცხება, რომელიც ქვეყნის ჩემპიონატში მეორე ადგილზეა. როგორც დავადგინეთ, “სლავიაში” გამოდიოდა **ირაკლი კუტალიაც**, რომელიც, ლევანის მსგავსად, ბოსნიამდე, ზუგდიდის “მგლებში” გამოდიოდა.

*“ჩვენ ბიძაშვილები ვართ და ბავშვობიდან ერთ სახლში ვიზრდებით. თავიდანვე ერთად ვიყავით და ბოსნიაშიც ერთ გუნდში ვთამაშობდით. ივნისში წავედი და ერთწლიანი კონტრაქტი გამიფორმეს. მარჯვენა და მარცხენა ნახევარმცველის პოზიციაზე მათამაშებდნენ. თუმცა, მერე ყველაფერი აშერია, ჩემი მენეჯერი მოკლეს, მწვრთნელი აღარ მათამაშებდა და ნოემბრის ბოლოს “სლავიას” დავემშვიდობე. ახლა უგუნდოდ ვარ და ჯერ არსად მივსულვარ, მაგრამ ზუგდიდში ვარ და “ბაიაში’ ჩარიცხვის იმედი გამიჩნდა. ვნახოთ, რას მეტყვიან”*, - გვითხრა ირაკლი კუტალიამ.

## ორნი სომხეთში

**მიხეილ თაყაძე** კარიერას სომხეთში გააგრძელებს. ახალციხის “მესხეთის” მარჯვენა ნახევამცველი განძასარის “კაფანში” იანვარში მიიწვიეს, გასინჯვები გაიარა და ახლა გუნდს თურქულ შეკრებაზეც გაჰყვა. "კაფანი" ამჟამად ანთალიაში ემზადება. თაყაძე რამდენიმე საკონტროლო შეხვედრას გამართავს და სომხებთან კონტრაქტს ხელს მოაწერს.

ყველაზე ცნობილ სომხურ კლუბში, ერევნის “არარატში” ჩაირიცხა **გელა ძიძიგური**. ის მარჯვენა ნახევარმცველია და 24 წლის გახლავთ. თუმცა, ასაკის მიუხედავად, საქართველოს ჩემპიონატიდან ცნობილი არაა. ძიძიგური “არარატში” გასინჯვის შემდეგ ჩარიცხეს.

**მერაბ მამულაშვილი**

იუბილარი

ფირუზ კანთელაძე 60

# ნარსულს ნუ დავივიწყებთ!



ფირუზ კანთელაძე ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**...საფეხბურთო** ცნობარებს გადაშლი და ერთ უცნაურობასაც აღმოაჩენ: ქართველ მოთამაშეთა უმრავლესობა იანვარშია დაბადებული. ჩვენც, შეძლებისდაგვარად, ვცდილობთ ვინმეს „მრგვალი თარილი" არ გამოგვრჩეს და ვეტერან ფეხბურთელებს ლამაზ იუბილეს „ლელოს" ფურცლებიდან ვულოცავთ. ჰო, იანვარი ამ მხრივ მართლაც „გამორჩეულია" - ოთარ კორღალიძეს 50 წელი შეუსრულდა, ლევან ნოდიას - 60; ახლა კიდევ ერთ იუბილარს გვინდა მივულოცოთ - ამ ცოტა ხნის წინ 60 წელი შეუსრულდა თბილისის „დინამოს" ყოფილ ფეხბურთელს ფირუზ კანთელაძეს!

ტანმაღალი მცველი თორმეტი წლის განმავლობაში იცავდა ჩვენი უპირველესი გუნდის ღირსებას და „დინამოსთან" ერთად უამრავი ტიტულიც მოიპოვა; საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორი, საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი, ევროპის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის - ამ მიღწევებისთვის ხომ მართლაც მუხლჩაუხრელი შრომა იყო საჭირო; მით უმეტეს, რომ 60-70-იანი წლების „დინამოში" უმძაფრესი კონკურენცია იყო. ყოველივე ამის მიუხედავად, კანთელაძე წლების განმავლობაში „დინამოს" დაცვის ბურჯად ითვლებოდა და ერთდროულად სამი თაობის ფეხბურთელების გვერდით მოუწია თამაშმა.

...ზემოთაც ვახსენეთ, რომ „დინამოში" 12 წელინადი თამაშობდა; ჰოდა, ამ დროის განმავლობაში მხოლოდ ორი გოლი აქვს გატანილი, მაგრამ ორივე დასამახსოვრებელ მატჩებში; ჯერ ერევნის „არარატთან" გამოიჩინა თავი, როცა „დინამო" პირველად დაეუფლა საბჭოთა კავშირის თასს; მეორე გოლი (პირველის მსგავსად, პენალტით) კი უეფას თასზე „კარდიფ სიტის" კარში გაიტანა - „დინამოს" ახალ სტადიონზე ჩატარებულ პირველ ოფიციალურ შეხვედრაში.

ჩვენი საუბარი ქართული ფეხბურთის ტალანტების სამჭედლოში, „ნორჩი დინამოელის" საფეხბურთო სკოლაში შედგა; იქ, სადაც ბოლოს მოღვაწეობდა...

- ამჟამად პენსიაში გავედი; თუმცა თითქმის ყოველდღე აქ მოვდივარ და მეგობრებს ვხვდები. ბოლოს და ბოლოს, რვა წელინადი ვიმუშავე და აქაურობა ჩემთვის ძალიან ძვირფასია.

**- ბავშვთა მწვრთნელობას შეეშვით?**

- ცოტა გვიან, მაგრამ მაინც მივხვდი, რომ მწვრთნელობა ჩემი საქმე არ იყო. იცით, პატარებთან სხვანაირი მიდგომაა საჭირო - მეტისმეტად მკაცრი, მომთხოვნი უნდა იყო; ეს კი მე არ შემეძლო. ისე, როგორც არ შემეძლო ფეხბურთელის კარიერის დასრულების მერე მაშინდელ მილიციაში მუშაობის დაწყება. ხომ გახსოვთ, მაშინ როგორც იყო - „დინამოს" ფეხბურთელი მერე შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზით იწყებდა მუშაობას.

**- სახელმწიფოდან პენსია გასაგებია, მაგრამ სხვა ვინმე გეხმარებათ?**

- საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ვეტერანებს პენსია დაგვინიშნა; ოღონდ, მომიტევეთ - თანხის რაოდენობას ვერ დავაკონკრეტებ.

**- ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე თითქმის ვერ გხედავთ. საერთოდ, არ ესწრებით?**

- გეთანხმებით - ძალიან იშვიათად დავდივარ. ან, სხვა ვეტერანებს ამჩნევთ ხოლმე? მერწმუნეთ, ეს გულისტკივილია და არა - პროტესტი; სამწუხაროდ, ის ინტერესი აღარ არის, ადრე რომ იყო. თანაც, ხალხიც დაიღალა ამდენი წარუმატებლობით; არადა, 60-იან თუ 70-იან წლებშიც ჰქონია „დინამოს" კრიზისული პერიოდები, მაგრამ მალე დაუძლევია. ახლა კი...

**- არც საქართველოს ნაკრების თამაშებზე დადიხართ?**

- სამწუხაროდ, ნაკრებთან მიმართებაშიც იგივე სიტუაციაა. აი, საფრანგეთი ჩამოვიდა და სტადიონი გაივსო, სხვა შემთხვევებში კი ფეხბურთელებს ნახევრად ცარიელი ტრიბუნების წინ უწევთ თამაში. შესაძლოა, ვცდებოდე, მაგრამ წინსვლას ვერ ვხედავ - კვიპროსის დონის გუნდებთან ფრე სანატრელი არ უნდა გვქონდეს. მერე კიდევ, ეს რა იციან: ლამაზად ვითამაშეთ, მაგრამ წავაგეთო! დღეს ხომ იცით, მთავარი შედეგია.

**- ნაკრებს მაინცდამაინც უცხოელი მწვრთნელი უნდა ჰყავდეს?**

- ერთი შეხედვით, ტოპმიოლერსა და კუპერს არც ავტორიტეტი დაენწუნებოდათ და არც - გამოცდილება. მაგრამ, აბა, შედეგებს შეხედეთ: ქართველ მწვრთნელებს რით აჯობეს? ეგ კი არა, პირველ შესარჩევ ციკლში ჯგუფიდან ვერგასვლაზე ვბრაზობდით; თანაც, პირადად მე იმ თაობის დიდი იმედი მქონდა - ერთი-მეორეზე ნიჭიერი ბიჭები თამაშობდნენ. დღეს კი უცხოელი მწვრთნელი ჩამოგვყავს და ჯგუფში მხოლოდ ფარერებს ვასწრებთ.

**- გინდათ თქვათ, რომ ამას ქართველიც „მოახერხებდა"?**

- უცხოელი მწვრთნელი აქ უნდა ცხოვრობდეს, აქაურ ჩემპიონატის მატჩებს ესწრებოდეს, საზღვარგარეთ მოასპარეზე ლეგიონერებს ნახულობდეს; თანაც, ჩვენი მენტალიტეტიც ზედმიწევნით უნდა იცოდეს. ისე, უცნაურია - „სახელიანი" უცხოელი მწვრთნელის ხელში ჯგუფიდან გასვლა ოცნებად გვაქვს, იმავე ჩივაძის ხელმძღვანელობით კი ნაკრები მესამე ადგილზე გავიდა...

**- თანამედროვე ფეხბურთზე ვსაუბრობთ და, რაღა თქმა უნდა, დამცველებზე გკითხავთ. მცველების ერთ ხაზზე თამაში უფრო რთულია, თუ როგორც თქვენ დროს იყო?**

- ჩვენ დროს ერთი ცენტრალური მცველი უფრო წინ თამაშობდა, მეორე - უკან. რა თქმა უნდა, ფეხბურთი განვითარდა და ბევრი რამ შეიცვალა. მაინც მიმაჩნია, რომ „ხაზზე თამაში" უფრო რთულია - ამ შემთხვევაში ოთხივე მცველი სინქრონულად უნდა მოქმედებდეს. ანუ, მაქსიმალური ყურადღებაა საჭირო, თამაშგარეს ზღვარზე მოქმედი მეტოქის ფორვარდმა უპირატესობა რომ არ მიიღოს. ისე, ქართველებს ყოველთვის ისეთი ძლიერი ცენტრალური მცველები ჰყავდათ, „ხაზზე თამაში" ჩვენ დროში რომ ყოფილიყო, არც მაშინ გაგვიჭირდებოდა.

**- მით უმეტეს, თქვენ ერთდროულად რამდენიმე თაობასთან ერთად მოგიწიათ თამაშმა.**

- 17 წლის ასაკში „დინამოში" რომ მიმიწვიეს, ჩემ გარდა გუნდში ხუთი ცენტრალური მცველი იყო: მურთაზ ხურცილავა, ვახტანგ რეხვიაშვილი, ვახტანგ ჭელიძე, მალხაზ შერგელაშვილი და ზორბეგ ებრალიძე. თუმცა ებრალიძემ მერე, მეკარის გარდა, ალბათ ყველა პოზიციაზე ითამაშა. ჭელიძე უნიჭიერესი მცველი იყო; აღარაფერს ვამბობ ხურცილავაზე - საბჭოთა კავშირში საუკეთესო გახლდათ!

**- მერეც, ნიჭიერი მცველები გვყავდა...**

- შოთა ხინჩაგაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, თენგიზ სულაქველიძე - მართლაც გამორჩეულნი იყვნენ და ეს არაერთხელ დაამტკიცეს. უფრო გვიან გელა კეტაშვილი, კახა ცხადაძე და მურთაზ შელია გამოჩნდნენ და ამ ბიჭების თამაში მომწონდა. დღევანდელებიდან კი, რაღა თქმა უნდა, კახა კალაძე, რომლის ადგილიც, ჩემი აზრით, დაცვის ცენტრშია და არა - მარცხენა ფლანგზე.

**- მალხაზ ასათიანზე რა აზრის ხართ?**

- მოაზროვნე, ნიჭიერი ფეხბურთელია, მაგრამ დაცვაში... ცოდოა - ტიპური გამთამაშებელია...

**- საერთოდ, ყველა დროის საუკეთესო ცენტრალურ მცველად ვინ მიგაჩნიათ?**

- ძალიან მომწონდა ლეგენდარული იტალიელის, ჯიაცინტო ფაკეტის თამაშის სტილი; თანაც, ბედნიერება მხვდა წილად, რომ „დინამოს"შემადგენლობაში მეც ვიყავი, როცა მის „ინტერს" ვეთამაშეთ და მილანში მოვუგეთ! ფაკეტი მართლაც ძლიერი მცველი იყო, მაგრამ მურთაზ ხურცილავას უფრო წინ დავაყენებდი!

**- თანამედროვე მცველებიდან?**

- რიო ფერდინანდი მომწონს; აი, ჯონ ტერი, ცოტა არ იყოს, უფრო ავანტიურულ ფეხბურთს თამაშობს.

**- ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში არაერთი ცნობილი ფორვარდის მეურვეობა გიწევდათ. ყველაზე ძალიან ვისთან გიძნელდებოდათ თამაში?**

- დონეცკის „შახტიორში" ვიტალი სტარუხინი იყო, ჩემზე ბევრად დაბალი გახლდათ, მაგრამ თავით ჩინებულად თამაშობდა. თუმცა, ყველაზე უხერხულ მეტოქედ მაინც ოლეგ ბლოხინს დავასახელებდი - სისწრაფეც ჰქონდა, დრიბლინგიც და ზუსტი დარტყმაც. კიევის „დინამოსთან" მატჩის წინ ნოდარ ახალკაცი მუდამ გვაფრთხილებდა: ბლოხინთან რაც შეიძლება მჭიდროდ ითამაშეთ, სივრცე თავისუფალი რომ არ შეექმნასო.

**- ბლოხინი ახსენეთ და მაშინდელ კიევის „დინამოზეც" გვინდა გკითხოთ: ამ გუნდის ფეხბურთელები მატჩების წინ სტიმულატორებს მართლა იღებდნენ?**

- მეც მსმენია, რომ ბაზაზე რაღაც ლაბორატორია ჰქონდათ. თუმცა, სტიმულატორებზე თავს ვერ დავდებ - ალბათ, უფრო ჩვეულებრივ ვიტამინებს იღებდნენ; ძლიერი დატვირთვის მერე ძალების აღდგენაში რომ ეხმარებოდათ. საერთოდაც, სიტყვა „დოპინგი" იმ დროს მხოლოდ მძლეოსნობასთან ასოცირდებოდა. ახლა კი, რა ხდება? როგორ შეიძლება, ამდენი ფეხბურთელი გულის უკმარისობით გარდაიცვალოს? ფაქტია, რომ თანამედროვე ფეხბურთში ძალიან მომრავლდა უშუალოდ მოედანზე სიკვდილიანობა - ეს კი ნამდვილად სტიმულატორებთან არის პირდაპირ კავშირში.

**- თქვენს კარიერაზეც ვისაუბროთ. „დინამოს" ხშირად იწვევდნენ საერთაშორისო ტურნირებზე და ფეხბურთელებისთვის, ალბათ, დამატებითი შემოსავალიც იყო.**

- რამდენიმე ფაქტს დაგისახელებთ და დასკვნა თვითონ გამოიტანეთ. 1973 წელს ესპანეთში „კარაველას თასი" მოვიგეთ: ნახევარფინალში მადრიდის „ატლეტიკო" დავამარცხეთ, ფინალში - ლისაბონის „ბენფიკა". თანაც, კომერციული ტურნირი იყო სოლიდური საპრიზო ფონდით. თითოეულ ფეხბურთელს კი 100-100 დოლარი გვერგო...

**- დანარჩენი თანხა სად „წავიდა"?**

- სად, და - მოსკოვში, საკავშირო ფედერაციაში! ასეთ ტურნირებზე დელეგაციაში უშიშროების მაღალჩინოსანი უნდა ყოფილიყო; ჰოდა, ჩაიდებდა დოლარებს საქაღალდეში და მოსკოვში მიაქანებდა. მეტსაც გეტყვით: 1971 წელს ერთთვიან შეკრებაზე ინდონეზიაში ვიყავით და სწორედ იმ დროს ჩამოვიდა ბრაზილიური „კრუზეირო". მოკლედ, ამხანაგური მატჩი შემოგვთავაზეს - მოგებულს 70 000 დოლარი შეხვდებოდა, წაგებულს - ამ თანხის ნახევარი. 120 000-იანი სტადიონი ჩვენ გვქომაგობდა - საბჭოთა კავშირი ინდონეზიას ყველაფრით ეხმარებოდა და ამ ქვეყანას სულაც „განითლებას" უპირებდა. „კრუზეირო" ძლიერი გუნდი იყო და მსოფლიოს ჩემპიონი ტოსტაო თამაშობდა. მოკლედ, დავმარცხდით, მაგრამ თითოეულს 2 000 დოლარამდე რომ უნდა შეგვხვედროდა, ისევ 100-100 დოლარი მოგვიგდეს სამადლოდ. დანარჩენი კი უშიშროების წარმომადგენელმა კვლავაც მოსკოვში გააქანა.

**- „კარაველას თასი" ახსენეთ და თუ იცით, ეს პრიზი ამჟამად სად არის?**

- ჩემი ინფორმაციით, ჯანაშიას სახელობის მუზეუმში უნდა იყოს. 12 კილოგრამს იწონის, ოქროშია ამოვლებული და გემის ფორმა ხომ აქვს, აფრები პლატინის გახლავთ. მოკლედ, ძალიან თამაზი თასია.

**- იმ ტურნირის ვიდეო-მასალა არსებობს?**

- რომც ყოფილიყო, არავინ გამოაჩენდა. შესაძლოა, მოსკოვში, არქივში ჰქონოდათ, მაგრამ რატომ შეგვინახავდნენ? სხვათა შორის, საინტერესო თემას შეეხეთ. ხომ შეიძლება, რომ ჩვენმა ტელეარხებმა, ხანდახან მაინც გაუშვან ეთერში „დინამოს" ძველი მატჩები: „ლივერპულთან", „ჰამბურგთან", „ინტერთან", „ნაპოლისთან". თანაც, 90 წუთს თუ ვერ უჩვენებენ, ცალკეული ფრაგმენტები მაინც გვანახონ...

**გია ტუხაშვილი**



ინდივიდუალური მომზადება

**კარატეში**

ყალიბდება 10-კაციანი (ორივე სქესისთვის) ელიტური ჯგუფი, რომელიც ფიზიკური მომზადების გარდა, გაივლის ზოგად ფსიქოლოგიას, ავტოტრენინგს, თერაპიის რამდენიმე სპეციფიკურ ფორმას.

ჯგუფს აყალიბებს საერთაშორისო კატეგორიის ინსტრუქტორი, ექსპერტი მამუკა დავითიშვილი-ბაგრატიონი, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური მომზადება აღმოსავლეთის ქვეყნებში.

დაგვიკავშირდით: ოფისი (Tel/Fax) 963 189
ინსტრუქტორი 895 131 662

მისამართი: ქ. თბილისი, არმიის სპორტული კომპლექსი, უნივერსიტეტის 2.

ფუტზალი



აკაკი კაკაშვილი

## ფუტზალელები აზერბაიჯანში

### ქვიშის ფეხბურთი პირველ ნაბიჯებს დგამს

საქართველოს ფუტზალელთა ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის შეხვედრები კარს მოადგა. ტურნირი თებერვალში მალტაში გაიმართება. ჩვენი მეტოქეები იქნებიან მალტის (19 თებერვალი), საბერძნეთისა (20 თებერვალი) და ალბანეთის (22 თებერვალი) ნაკრებები.

საქართველოს ფუტზალელები ტურნირისთვის დიდი ხანია ემზადებიან. როგორც შევიტყვეთ, ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი, **აკაკი კაკიშვილმა** (რომელმაც ტრავმის გამო, დეკემბერში პორტუგალიის ნაკრებთან ამხანაგური მატჩები გამოტოვა) ვარჯიში განაახლა.

ამჟამად ნაკრები აზერბაიჯანში გაემგზავრა, სადაც საერთაშორისო ტურნირში ჩაერთვება. ფუტზალელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი, **ავთო ასათიანი** ამის გამო ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან **რევაზ არველაძეს** ძალიან ემადლიერება.

*"ყველამ ვიცით, მთელს ქვეყანასა და თუნდაც, ფეხბურთის ფედერაციაში რამხელა ფინანსური პრობლემებია. ამის მიუხედავად, ფედერაციის გენერალური მდივანი რევაზ არველაძე გვერდში მაგრად დაგვიდგა. მისი დამსახურებაა, აზერბაიჯანის ტურნირში მონაწილეობის საშუალება რომ მოგვეცა ზედ შესარჩევი ტურნირის დაწყებამდე. ეს კი ჩვენს განახლებულ და გაახალგაზრდავებულ ნაკრებს ჰაერივით სჭირდებოდა.*

*რაც შეეხება თავად ტურნირს, მასში მონაწილეობას მიიღებენ მასპინძელი აზერბაიჯანი, საქართველო, აგრეთვე აზიის ერთ-ერთი გამორჩეული გუნდი ყირგიზეთი და მოლდოვა. შეხვედრები 25, 26 და 27 იანვარს გაიმართება. ოთხთა ტურნირი ოფიციალური თამაშებისთვის მზადებაში ძალიან დაგვეხმარება",* - გვითხრა ასათიანმა.

ავთო ასათიანის საზრუნავი ახლა მხოლოდ ფუტზალი არ გახლავთ. 28 წლის სპეციალისტი პლაჟის ფეხბურთის ასოციაციის გენერალური მდივანიც გახლავთ.

*"სულ რაღაც წელიწადნახევარია, რაც საქართველოში პლაჟის ფეხბურთის ასოციაცია ჩამოვაყალიბეთ. პრეზიდენტი ზაზა ციციშვილია, მე კი გენერალური მდივანი ვარ, ესპანეთში, 2008 წლის მაისში, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩებიც გავმართეთ. გუნდში გვყავდა ჯანიანი ახალგაზრდები, აგრეთვე გამოცდილი ვეტერანები ანდრო მიზანდარი და გიორგი ლუდუშაური. პირველი ძალიან ტექნიკურია, რაც პლაჟზე მნიშვნელოვანია, ლუდუშაურს კი უძლიერეს დარტყმები აქვს, რაც ასევე საჭიროს ხდიდა მის დამატებას.*

*ჩვენი უბედურება ის იყო, რომ პლაჟის ფეხბურთის წესები კარგად არც ვიცოდით. თანაც ისეთ ძლიერ გუნდებს შევხვდით, მიკვირს, კიდევ უფრო დიდი ანგარიშით წაგებებს როგორ გადავურჩით. არადა, ისედაც მტკივნეული შედეგებით წავაგეთ - პორტუგალიასთან 3:15, ინგლისთან 1:4 და ესტონეთთან 1:3, მაგრამ ჩვენთვის ამ ეტაპზე მთავარი გამოცდილების მიღება იყო. შემდგომში თამაშსაც უფრო გავითავისებთ და მჯერა, ამ სახეობაში საკმაოდ ძლიერი ნაკრების ჩამოყალიბება შევძლებთ. თუმცა, საამისოდ ნორმალური ქვიშის მოედანია საჭირო, რომლის გასაკეთებლად, სხვათა შორის, განსაკუთრებით დიდი თანხა საჭირო არც არის"* - ამბობს ასათიანი.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერი

# ალტობელი მოურინიოს გვერდში უდგას

## ჟოზემ ფეხბურთელებს განავლის გროვა უწოდა


ჟოზე მოურინიო

მილანის "ინტერმა" 2009 წელი უსახურად დაიწყო. "ნერაძურიმ" "კალიარისთან" შინ ფრედ ითამაშა, "ატალანტასთან" სტუმრად 1:3 წააგო, ხოლო იტალიის თასის მეოთხედფინალში, დრამატულ მატჩში სძლია "რომას", 2:1. მილანური გრანდის სუსტი ასპარეზობა მიმომხილველებს უყურადღებოდ არ დარჩენიათ. გაზეთებმა **ჟოზე მოურინიოს** კრიტიკას მოუხშირეს.

გუშინდელმა "ლა რეპუბლიკამ" "ატალანტასთან" ერთი კვირის წინანდელი მატჩის შესახებ საინტერესო დეტალები მოიძია. გაზეთმა თამაშის შემდეგ გასახდელში გამართული საუბრის დეტალები გამოამზეურა. "ლა რეპუბლიკა" ირწმუნება, რომ განრისხებულმა მოურინიომ ფეხბურთელები განავლის გროვად მოიხსენია და ისიც გაიხსენა, თუ როგორ დაეუფლნენ ისინი სამ სკუდეტოს: *"პირველი ტიტული სასამართლოში მოიპოვეთ, მომდევნო ჩემპიონატში კონკურენტები არ გყავდათ, ხოლო მესამე ჯილდო ბოლო წამს ჩაგივარდათ ხელში."*

მოურინიომ გაოგნება ჟურნალისტებთან შეხვედრის დროსაც ვერ დამალა: *"ვერ ამიხსნია, რა ხდება. ჯობია, არაფერი ვთქვა. ჩემი გუნდის თამაშის შეფასება მიმომხილველებისათვის მიმინდია. მომიწევს, გავიზიარო მათი ყველაზე რადიკალური შეფასებაც, რადგან "ინტერმა" ამაზრზენად ითამაშა."*

"რომასთან" გამარჯვების შემდეგ, მოურინიოს ტონიც რამდენადმე შეიცვალა: *"დღევანდელი წარმატება პასუხია იმ სირცხვილზე, რომელიც ბერგამოში გადაგვხდა თავს. როდესაც ასეთ ფეხბურთს ვთამაშობთ, ცხოვრება ბევრად უფრო მშვენიერია – სტადიონზეც და სტადიონს მიღმაც."*

სათასო მატჩის მოგება საკმარისი არ არის. "ინტერმა" იტალიის ჩემპიონატში უნდა დაამტკიცოს, რომ კრიზისი დაძლეულია. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოურინიოს კიდევ არა ერთი კრიტიკული შენიშვნის მოსმენა მოუწევს და თავადაც ბევრი უწმაწური სიტყვა დაეხარჯება.

ჟოზეს "ინტერის" ლეგენდა **ალესანდრო ალტობელი** გამოექომაგა. აი, მისი კომენტარი, რომელიც "ლა რეპუბლიკამ" გამოაქვეყნა: *"მოურინიო უნიჭიერესი მწვრთნელია. თუ ფეხბურთელები დავალებას ვერ ასრულებენ, ამის გამო ჟოზეს გაკრიტიკება არ ღირს."* ალტობელის ისიც ჰკითხეს, მოურინიომ ფეხბურთელებს განავალი რომ უწოდა, ამაზე რას გვეტყვითო.

სინიორ ალესანდრომ მიუგო: *"არა მგონია, შეგირდებისათვის ასე უხეშად მიემართა. ეს ინფორმაცია საეჭვოდ მეჩვენება. "ინტერი" ზედიზედ სამი სკუდეტოთი სამართლიანად ამაყობს. დიდი ამბავი, თუ ჩემპიონი გუნდი აქაიქ ერთ ან ორ თამაშს დათმობს. რაც შეეხება ბერგამოულ შეხვედრას, მიმაჩნია, რომ მოურინიოს იქაც ჩინებული მატჩი ჰქონდა. თამაში ფეხბურთელებმა ჩააგდეს."*

დასასრულს შეგახსენებთ, რომ ალტობელიმ "ინტერში" 1977-88 წლებში 11 სეზონი გაატარა. ამ ხნის განმავლობაში მან შავ-ლურჯი მაისურით 317 შეხვედრა ჩაატარა და 128 გოლი შეაგდო.

ვარსკვლავი

# ბექჰემი სამარადისოდ

## გაძეტა დელო სპორტი იუწყება, რომ გალაქტიკო მილანში რჩება

რას აპირებს **დევიდ ბექჰემი**? "გაძეტა დელო სპორტის" მტკიცებით, ის საიჯარო კონტრაქტის ამოწურვის შემდეგაც მილანში დარჩება. გალაქტიკო ხელფასის საგრძნობ შემცირებაზეც თანახმაა, თუ იტალიელები ხანგრძლივ კონტრაქტს შესთავაზებენ.

იტალიის ყველაზე მაღალტირაჟიანმა სპორტულმა გამოცემამ ეს ინფორმაცია გუშინდელი ნომრის პირველ გვერდზე გამოიტანა. "ბექჰემი სამარადისოდ" (Beckham Forever) – ასე ერქვა "გაძეტას" მოწინავე სტატიას. დევიდი "მილანზეა" შეყვარებული, ის იტალიურს სწავლობს, რათა "როსონერიში" კიდევ არა ერთი სეზონი გაატაროსო, გვაუწყა გაზეთმა.

მოგეხსენებათ, "მანჩესტერ იუნაიტედისა" და "რეალის" ყოფილი ვარსკვლავი "ლოს ანჯელეს გალაქსის" საკუთრებაა. ის "მილანში" ორთვიანი იჯარით გადაიყვანეს. სპეკულაციები იმის თაობაზე, რომ დევიდი ამერიკაში აღარ დაბრუნდებოდა, იმთავითვე გავრცელდა. თავიდან ბექჰემმა ეს ხმები კატეგორიულად უარყო. "გალაქსის" ხელმძღვანელობამ ისიც განაცხადა: როდესაც ახალი სეზონისათვის სამზადისს შევუდგებით, ბექჰემი ჩვენთან ერთად იქნებაო. მაგრამ დღეს არც ერთი მხარეა ასეთი კატეგორიული და არც მეორე.

ბექჰემი არ მალავს, რომ მას სანაკრებო კარიერის გაგრძელება სურს. მილანში გადასვლის უმთავრესი მოტივიც ეს იყო: "გალაქსის" ფეხბურთელები ხანგრძლივ შვებულებაში გაუშვეს (გუნდი ამერიკული ლიგის ფლეი ოფს მიღმა დარჩა). უთამაშებელ ვარსკვლავს ნაკრებში ადგილის დაკარგვის საფრთხე დაემუქრა. **ფაბიო კაპელოსთან** მოთათბირების შემდეგ, ის ევროპაში დაბრუნდა. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ბექჰემის ორთვიანი იჯარა, შესაძლოა, ხანგრძლივ კონტრაქტად იქცეს.

დევიდმა "გალაქსისთან" კონტრაქტი 2007 წლის იანვარში გააფორმა. ის ამერიკაში 2007 წლის ზაფხულში გაემგზავრა. ხელშეკრულების თანახმად, სამი წლის შემდეგ, ფეხბურთელს სხვა კლუბში გადასვლა შეუძლია. ეს სამი წელი გაისად იანვარში იწურება. ერთი წლის შემდეგ "მილანს" მშვიდად შეეძლება ფეხბურთელის გამოსყიდვა, მაგრამ დევიდს ამდენხანს ლოდინი არ სურს. მომავალ იანვარში ის თითქმის 35 წლისა ექნება.

"გაძეტა დელო სპორტის" ამ სტატიაში მილანის ვიცე-პრეზიდენტის **ადრიანო გალიანის** კომენტარსაც ვხვდებით: *"ბექჰემი დიდი ფეხბურთელია. როდესაც ის ჩამოვიყვანეთ, გაგვაკრიტიკეს. მიმომხილველთა ნაწილმა მიიჩნია, რომ "მილანს" არასაფეხბურთო მოტივები ამოძრავებდა. დღეს კი ყველას გული სწყდება, რომ დევიდი მხოლოდ მარტამდე დარჩება ჩვენთან. დიახ, მარტამდე. შეთანხმება მხოლოდ ამ პირობით შედგა. მაგრამ ვიცოდით, რომ ის ორი თვის განმავლობაშიც დიდ სარგებელს მოგვიტანდა."*

გაკვირვებული გულშემატკივარი იკითხავს, თუ მარტში ბექჰემი "გალაქსიში" ბრუნდება, მაშ "ბექჰემი სამარადისოდ" რაღას ნიშნავსო. "გაძეტა დელო სპორტი" იხტიბარს არ იტეხს – კულისებს მიღმა მილანელები ძალღონეს არ იშურებენ, რათა ფეხბურთელი შეინარჩუნონ. კარგად ინფორმირებული წყაროები გვაუწყებენ, რომ ბექზი ნამდვილად იტალიაში დარჩებაო.

ამასობაში, დევიდმა "მილანის" ყოფილ თავდამსხმელი **სტეფანო ბორგონოვო** მოინახულა. მძიმე ავადმყოფობამ ეს უკანასკნელი ლოგინად ჩააგდო. ის გარესამყაროსთან ურთიერთობას მხოლოდ საუბრით ახერხებს, თუმცა საუბარშიც კომპიუტერი ეხმარება. გასულ წელს "მილანმა" ბორგონოვოს დასახმარებლად საქველმოქმედო მატჩი ჩაატარა. ამ შეხვედრაში ბექჰემსაც უნდა ეთამაშა, მაგრამ გადატვირთული კალენდრის გამო იტალიაში ვერ ჩავიდა. სამაგიეროდ, ახლა იხელთა დრო და ავადმყოფს შინ ეწვია. დევიდს ოქროს გული აქვსო, თქვა ამ ვიზიტის შემდეგ **კარლო ანჩელოტიმ.**


La Gazzetta dello Sport
Tutto il rosa della vita
Gasperini e il Genoa «Sognare fa bene»
BECKHAM FOREVER
Si sta innamorando del Milan. E' tentato di non tornare negli Usa



**ადრიანო გალიანი ჯერ არ ადასტურებს, რომ დევიდ ბექჰემი იტალიაში დარჩება**

ამბები

### ზენიტს არშავინი არ ეთმობა

ცნობილია, რომ ლონდონის "არსენალს" **ანდრეი არშავინის** შეძენა სურს. პეტერბურგის "ზენიტმა" ინგლისელთა ორი შეთავაზება უარყო. მათ ფეხბურთელი არც 10 მილიონ გირვანქად გაყიდეს და არც 12-ად. ორიოდე დღის წინ "მეთოფეებმა" "ზენიტს" მესამე, გაუმჯობესებული ვარიანტი შესთავაზეს: 12 მილიონ გირვანქას, პლუს 3 მილიონი არშავინის მიერ „არსენალის" შემადგენლობაში ჩატარებული თამაშებისა და მოპოვებული ჯილდოების მიხედვით. პეტერბურგული კლუბის ხელმძღვანელობას ოფიციალური კომენტარი არ გაუკეთებია. ერთ-ერთმა ადგილობრივმა რადიოსადგურმა კი გაავრცელა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ არშავინი არც ამ თანხად გაიყიდება. "არსენალის" თავმჯდომარემ **პიტერ ჰილ-ვუდმა** კატეგორიულად განაცხადა, რომ უფრო მეტის გადახდას აღარ აპირებს და თუ რუს თავდამსხმელს ვერ შეიძენს, სხვა ფეხბურთელებზე გადაერთვება.

### ბულარდი, ჰალ სიტის მეოთხე შენაძენი

"ჰალ სიტიმ" ფულჰემის შემტევი ნახევარმცველი **ჯიმი ბულარდი** შეიძინა. პრემიერლიგის ახალწვეულებმა ტრანსფერში 5 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. ბულარდი "ჰალ სიტის" ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი გახდა. 30 წლის მოთამაშემ ოთხწლინახევრიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. მისი დებიუტი დღეს, "მილუოლთან" ასოციაციის თასის მეოთხე რაუნდის მატჩისას უნდა შედგეს. ბულარდი "ფულჰემში" 2006 წელს "ვიგანიდან" გადავიდა. ლონდონელებმა მასში 2.5 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. ჯიმიმ ახალი კლუბის შემადგენლობაში მეოთხე მატჩისას მუხლის უმძიმესი ტრავმა მიიღო და 16 თვით ჩამოშორდა მინდორს. ბულარდს ინგლისის ნაკრებში 1 მატჩი აქვს ჩატარებული. იანვრის ტრანფერებისას "ჰალ სიტიმ" უკვე მეოთხე ფეხბურთელი შეიძინა. იქამდე კლუბის თავკაცმა **ფილ ბრაუნმა** შვეიცარიული "იანგ ბოისის" მცველი **კამილ ზაიათი,** "ვიგანის" ნახევარმცველი **კევინ კილბეინი** და "მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელი **მანუჩო** გადაიბირა. ამ უკანასკნელმა კლუბთან ექვსთვიანი საიჯარო ხელშეკრულება გააფორმა.

### ჰესკი ასტონ ვილას დარჩა

ინგლისის ნაკრების თავდამსხმელი **ემილ ჰესკი** "ასტონ ვილაში" გადავიდა. ეს ინფორმაცია ბირმინგემული კლუბის ოფიციალურმა ვებგვერდმა გაავრცელა. მასში ნათქვამია, რომ "ვილა" "ვიგანს" 3.5 მილიონ გირვანქას გადაუხდის, ფეხბურთელს კი სამწლიანი ხელშეკრულებას შესთავაზებს, რომლის თანახმად მისი ხელფასი მნიშვნელოვნად გაიზრდება. ჰესკი 31 წლისაა. 2004 წლის ზაფხულში, როდესაც მან "ლივერპული" დატოვა და "ბირმინგემ სიტის" მიაშურა, მიმომხილველებმა მიიჩნიეს, რომ ემილის კარიერა დასასრულს მიუახლოვდა. ყველასათვის მოულოდნელად, ფეხბურთელმა რამდენიმე შთამბეჭდავი სეზონი ჩაატარა. **ფაბიო კაპელომ** მას ინგლისის ნაკრებში უხმო. იანვრის ფანჯრის გახსნამდე ვარაუდობდნენ, რომ ჰესკი „ლივერპულში" დაბრუნდებოდა. მაგრამ "ასტონ ვილამ" ყველას დაასწრო. ბირმინგემელები ჩემპიონთა ლიგის საგზურისათვის იბრძვიან. გუნდის თავკაც **მარტინ ონილს** მიაჩნია, რომ ამისათვის გამოცდილი ფეხბურთელების შეკრებაა საჭირო.

მოსალოდნელი გარიგება

# იყიდება თუ არა ლივერპული?

## ინგლისის ყველაზე ტიტულოვან კლუბს ქუვეითელმა ინვესტორებმა დაადგეს თვალი...

"ლივერპულის" ამერიკელ მფლობელებს კლუბის გაყიდვა სურთ. ისინი ქუვეითელ ინვესტორთან ინტენსიურ მოლაპარაკებებს მართავენ – ეს ინფორმაცია გუშინდელმა "დეილი მეილმა" გაავრცელა. გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა **ჯორჯ ჯილეტი** და **ტომ ჰიკსი** სერიოზულად აზარალა. მათ პრობლემების მოგვარების უმარტივეს საშუალებად "ლივერპულის" გაყიდვა მიიჩნიეს. ამერიკელებმა მერსისაიდული გრანდი 2007 წლის 6 თებერვალს შეიძინეს. მათ აქციებში 218.9 მილიონი გირვანქა გადაიხადეს, ამას გარდა, 44.8-მილიონიანი ვალის გასტუმრებაც ითავეს. ჯილეტმა და ჰიკსმა თანხის უმეტესი ნაწილი უმსხვილესი ბანკებიდან სესხის სახით გამოიტანეს.

2008 წლის აპრილში ჟურნალმა "ფორბსმა" "ლივერპული" მსოფლიოს მეოთხე უძვირეს საფეხბურთო კლუბად დაასახელა. მასზე მაღლა "მანჩესტენ იუნაიტედი", "რეალი" და "არსენალი" აღმოჩნდნენ. "ფორბსის" აზრით, მერსისაიდელთა საბაზრო ღირებულება 1 მილიარდი დოლარი იყო, რაც იმდროინდელი კურსით 605 მილიონ გირვანქას შეადგენდა. იმავე პერიოდში აუდიტორულმა კომპანიამ "დელოიტ ენდ ტუშმა" კლუბების შემოსავლები დააჯამა და 133.9 მილიონი გირვანქით, "ლივერპული" მერვე ადგილზე გაიყვანა.

"დეილი მეილმა" იმ ქუვეითელი ბიზნესმენის ვინაობაც გაახმაურა, რომელსაც (სპეკულაციებით თანახმად) "ლივერპულის" შეძენა სურს. ამ პიროვნებას **ნასერ ალ ხარაფი** ჰქვია და ლონდონში ცხოვრობს. ის უკვე დიდი ხანია, ფიქრობს ინგლისის პრემიერლიგაში ფულის დაბანდებას. გასული წლის შემოდგომაზე მისი მრჩევლები "ნიუკასლის" ბოს **მაიკ ეშლისაც** შეეხმიანნენ, მაგრამ მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა.

"ლივერპულის" გულშემატკივრებს იმედი აქვთ, რომ მათ კლუბში ამერიკელთა მმართველობა მალე დასრულდება. ჯილეტსა და ჰიკსს ერთმანეთთან რთული ურთიერთობა აქვთ. შარშან ჯილეტი შეეცადა, თავისი 50-პროცენტიანი წილი არაბი ინვესტორებისათვის მიეყიდა. მას ჰიკსის თანხმობა სჭირდებოდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. ჰიკსს თვალში არ მოდის კლუბის აღმასრულებელი დირექტორი **რიკ პერი,** თუმცა ჯილეტი ამ უკანასკნელს უსიტყვოდ ენდობა. და ბოლოს, **რაფაელ ბენიტესი** ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე უარს აცხადებს, სანამ სატრანსფერო პოლიტიკას მთლიანად მას არ ჩააბარებენ. გულშემატკივარი შიშობს, რომ ამ ვითარებაში, ბენიტესმა, შეიძლება, სხვა სამსახური იშოვოს. ფანები ბენიტესის დარჩენას ჯილეტისა და ჰიკსის აბარგებას უკავშირებენ. კლუბის მოსალოდნელ გაყიდვასთან დაკავშირების ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.

რაკი "ლივერპულზე" ვსაუბრობთ, აქვე გეტყვით, რომ **სტივ ჯერარდი** არ სცნობს თავს დამნაშავედ ორიოდე კვირის წინ მომხდარ ინციდენტში. რამდენიმე ახალგაზრდა მამაკაცმა ერთ-ერთი ლუდხანის თანამშრომელს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ეს პიროვნება ისე დაშავდა, რომ საავადმყოფოში ამოჰყო თავი. პოლიციამ ეჭვმიტანილები, მათ შორის, "ლივერპულის" კაპიტანი, შემთხვევის ადგილზე დააპატიმრა. წინასწარი დაკავების საკანში გატარებული ერთი ღამის შემდეგ, ჯერარდი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს. სასამართლო მისი საქმის გამოძიებას აგრძელებს.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრანგული ამბები

# ვილი სანიოლი ფეხბურთიდან წავიდა

## გადავა თუ არა ლორიკ კანა ჰამბურგში?

„ბაიერნის“ მარჯვენა მცველი **ვილი სანიოლი** ფეხბურთიდან წავიდა. ამის შესახებ ოფიციალური განცხადება პირველად რეკორდმაისტერის ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ ჰაინც რუმენიგემ** გააკეთა. ფრანგი 2008 წლის ზაფხულის შემდეგ უქმობდა. მან ვერაფრით მოირჩინა მარცხენა მუხლის ქრონიკული ტრავმა და ამის იმედი არც უახლოეს მომავალში არსებობდა. ფეხბურთელსა და კლუბს შორის დადებული კონტრაქტი უახლოეს დღეებში ანულირდება. *„მას ოთხშაბათს შევხვდი. პირველად სწორედ მაშინ მითხრა, რომ კარიერის გაგრძელების აზრს ვერ ხედავდა,“* - თქვა რუმენიგემ. ვილი „ბაიერნში“ 2000 წლიდან თამაშობდა. რვა წლის განმავლობაში მან 184 თამაში ჩაატარა. მის ანგარიშზეა საფრანგეთის ნაკრებში ჩატარებული 58 შეხვედრაც. აღსანიშნავია, რომ **ოლივერ კანის** ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ სანიოლი 2001 წლის ჩემპიონთა ლიგის მომგები რეკორდმაისტერის უკანასკნელი წარმომადგენელი გახლდათ.

რამდენიმე დღის წინ გაცნობეთ, რომ ფრანგული „კლერმონის“ 23 წლის მცველს **კლერმან პინოს** ვარჯიშზე გული ცუდად გაუხდა. არადა, 16 იანვარს მან მეორე ლიგის კალენდარულ შეხვედრაში ჩვეულებრივ ისპარეზა. ის უმალ საავადმყოფოში გადაიყვანეს. კლინიკაში მოთავსების შემდეგ ფეხბურთელმა გონება დაკარგა და კომაში ჩავარდა. მოხდა სრულიად მოულოდნელი რამ, სამწუხაროდ, გუშინ, გამთენიისას, პინო გარდაიცვალა.

„ბორდოს“ მეკარე **ულრიხ რამემ** კლუბთან მოქმედი კონტრაქტი 2010 წლამდე გაახანგრძლივა. ვეტერანს წინა ხელშეკრულება სეზონის მიწურულს უმთავრდებოდა. ულრიხი ჟირონდელთა შორის შორეული 1997 წლიდან თამაშობს. ის საფრანგეთის ნაკრებში 1999-2003 წლებში თამაშობდა და „სამფეროვანთა“ ღირსება 12-ჯერ დაიცვა.

„ლიონის“ მცველი **კლებერ ანდერსონ ბერალდო** სეზონის ბოლომდე იჯარის წესით „კრუზეიროში“ გადავა, - გვამცნობენ ფრანგული გამოცემები. ფეხბურთელი წინა სეზონშიც ბრაზილიაში იყო განათხოვრებული და „სან პაულუს“ ღირსებას იცავდა. ანდერსონი „ლიონში“ 2007 წელს „ბენფიკიდან“ 3 მილიონ ევროდ გადავიდა. თუმცა საფრანგეთის ჩემპიონთა შორის ფეხის მოკიდება ვერაფრით მოახერხა. ჩაატარა რა პირველ სეზონში სულ რაღაც 12 თამაში.

„ლიონის“ ბრაზილიელ თავდამსხმელ **ფრედს** დიდი სურვილი აქვს, სატრანსფერო ფანჯრის დარჩენილ პერიოდში როგორმე მონახოს კლუბი, სადაც კარიერას გააგრძელებს. მას უკვე აქვს რამდენიმე წინადადება, მაგრამ არა ისეთი ამბიციური კლუბებიდან, თავად რომ სურს. ფრედს სამშობლოშიც ეპატიჟებიან. მაგალითად, მისი გადაბირება მოინდომეს „ფლუმინენსემ“ და „პალმეირასმა“. ფრედმა სამშობლოში თამაშზე თავაზიანი უარი განაცხადა, რადგან მას იმაზე ბევრად დაბალ ანაზღაურებას სთავაზობდნენ, ვიდრე „ლიონი“ უხდის. თანაც მას ევროპაში დარჩენა უნდა. *„ლიონს“ შევთავაზეთ, რომ ფრედის სატრანსფერო უფლებების 40 პროცენტს გამოვისყიდდით. თავად ფეხბურთელს კი ორწლიანი კონტრაქტი შევთავაზეთ,* - განაცხადა „ფლუმინენსეს“ გენერალურმა მენეჯერმა **ალეშანდრე ფარიამ**. - *ბრაზილიის პირობების გათვალისწინებით ჩვენი წინადადება მომხიბლავი იყო. რაც შეეხება ევროპულ კლუბებს, მათთან კონკურენცია ნამდვილად არ შეგვიძლია. სამწუხაროა, მაგრამ უნდა დავადასტურო, რომ მოლაპარაკება შეწყდა. ვეცდებით, ფეხბურთელთან მოლაპარაკებას ზაფხულზე, მაშინ, როცა „ლიონთან“ კონტრაქტი დაუმთავრდება“.*

„ლე მანის“ ხელმძღვანელობამ დაადასტურა, რომ მზადაა, გუნდის ძირითადი გოლკიპერი **იოან პელე** გაყიდოს. მისით დაინტერესებულია რამდენიმე ევროპული კლუბი. მათ შორის შეგვიძლია დავასახელოთ „რომა“, „პორტსმუთი“ და „ბორდო“. „ლე მანს“ მეორე კვალიფიციური მეკარეც ჰყავს, ლაპარაკია 29 წლის **როდოლფ როშეზე**. შეგახსენებთ, რომ „ლე მანის“ დუბლებში ქართველი კარის დარაჯი **გიორგი მაკარიძე** ირიცხება. საინტერესოა, იქონიებს თუ არა ეს ფაქტი გავლენას ჩვენებურის მომავალზე...

მარსელის „ოლიმპიკისა“ და ალბანეთის ნაკრების კაპიტანი, საყრდენი ნახევარმცველი **ლორიკ კანა**, შესაძლოა, „ჰამბურგში“ გადავიდეს, - გვამცნობს გერმანული გამოცემა „ველტი“. ინფორმაციას არსებულ ინტერესზე ფლობენ ფრანგული საინფორმაციო საშუალებებიც. **მარტინ იოლს** კვალიფიციური საყრდენი სჭირდება. მას შემდეგ, რაც **ნაიჯელ დე იონგმა** „მანჩესტერ სიტის“ 20 მილიონ ფუნტად მიაშურა, ჩრდილოგერმანული კლუბის ჰოლანდიელ დამრიგებელს თანამემამულის ღირსეული შემცვლელის შეძენა არ უნდა გაუჭირდეს. კანას შეძენა გერმანელებს 10-დან 12 მილიონამდე დაუჯდებათ. ალბანელის გარდა განიხილება ტოტენჰემელი **ჰადლსტოუნის** კანდიდატურაც.



ვილი სანიოლი ტრავმებს დანებდა

გერმანული ამბები

# შუსტერი შტუტგარტში?

## ჰოფენჰაიმის სტადიონი მზადაა. ფანებმა უკვე 20 ათასი აბონემენტი შეიძინეს



ოტმარ ჰიტცფელდი ბაიერნს უპირობო ფავორიტად ასახელებს

მადრიდის „რეალის“ ყოფილი დამრიგებელი **ბერნდ შუსტერი** შეიძლება სეზონის დასრულების შემდეგ „შტუტგარტს“ ჩაუდგეს სათავეში, ასეთ ინფორმაციას ავრცელებენ გერმანული საინფორმაციო წყაროები. ავტორიტეტული გამოცემები ამტკიცებენ, რომ შვაბური კლუბის პრეზიდენტმა **ერვინ შტაუდტმა** შუსტერთან კონტრაქტი უკვე გააფორმა. შეთანხმება ძალაში 1-ლი ივლისიდან შევა და გათვლილი იქნება ორ წელიწადზე. გერმანულმა საინფორმაციო სააგენტო SID-მა შტაუდტისგან ამ საკითხზე კომენტარი ითხოვა, რაზეც თავაზიანი უარი მიიღო. შეგახსენებთ, რომ სეზონი „შტუტგარტმა“ **არმინ ფეეს** ხელმძღვანელობით დაიწყო. ნოემბერში ეს უკანასკნელი თანამდებობიდან დაითხოვეს. გუნდს დროებით სათავეში **მარკუს ბაბელი** ჩაუდგა. მართალია, მას სათანადო სამწვრთნელო ლიცენზია არ გააჩნია, მაგრამ გერმანიის საფეხბურთო კავშირმა მასზე გამონაკლისი დაუშვა და სეზონის დასრულებამდე მუშაობის უფლება მისცა. მარკუსის ხელმძღვანელობით „შტუტგარტი“ ბუნდესლიგაში მე-10 ადგილზეა, ხოლო უეფას თასზე 1/16 ფინალში გაალწია, სადაც სანკტ პეტერბურგის „ზენიტს“ შეხვდება.

„შტუტგარტის“ მწვრთნელობის კიდევ ერთ კანდიდატად სახელდება „ფრაიბურგის“ თავკაცი **რობინ დუტი**. რაც შეეხება შუსტერს, მას ბუნდესლიგაში „კიოლნსა“ და „ლევერკუზენში“ უმუშავია. გერმანიის ფარგლებს გარეთ კი სათავეში ედგა დონეცკის „შახტარს“, „ლევანტესა“ და „რეალს“.

შვაბებმა კონტრაქტი სამ იმედისმომცემ ფეხბურთელს გაუგრძელეს. ლაპარაკია 18 წლის თავდამსხმელ **იულიან შიბერზე**, ვისთანაც კონტრაქტი 2011 წლამდე გაფორმდა. 19 წლის მარცხენა მცველ **კრისტიან ტრეშსა** და ამავე ასაკის ნახევარმცველ **დანიელ დიდავისთან** კი ხელშეკრულებები 2012 წლამდე დაიდო. მოთამაშეები სწორედ შვაბების აკადემიაში აღიზარდნენ. შიბერმა და ტრეშმა სამწვრთნელო შტაბს ბოლო მოსამზადებელ შეკრებაზე დაამახსოვრეს თავი. *„მოხარულები ვართ, რომ სამივემ გადაწყვიტა ჩვენს გუნდში დარჩენა. სამივე პერსპექტიული ფეხბურთელია. ისინი გამორჩეულად მაღალ პროფესიულ დონეზე უდგებიან მათზე დაკისრებულ საქმეს,“* - განუცხადა ოფიციალურ საიტს კლუბის გენერალურმა მენეჯერმა **ჰორსტ ჰელდტმა**.

„აინტრახტმა“ „ცრვენა ზვეზდის“ ფეხბურთელი **ნიკოლა პეტკოვიჩი** გადაიბირა. შეთანხმება 22 წლის ფეხბურთელსა და ფრანკფურტელებს შორის 2012 წლამდე გაფორმდა, - წერია „აინტრახტის“ ოფიციალურ საიტზე. გეტყვით, რომ ფეხბურთელის ანგარიშზე სერბეთის ახალგაზრდულ ნაკრებში ჩატარებული 7 შეხვედრაა. ის ეროვნული გუნდის ერთ-ერთ კანდიდატადაც მიიჩნევა.

„ვოლფსბურგი“ გაძლიერებას განაგრძობს. „მგლებმა“ „ჟილინასა“ და სლოვაკეთის ნაკრების მცველი **პეტერ პეკარიჩი** დაახლოებით ერთ მილიონ ევროდ შეიძინეს. 22 წლის ფეხბურთელმა კონტრაქტი 2013 წლამდე გააფორმა. „ვოლფების“ მთავარი მწვრთნელის **ფელიქს მაგათის** განცხადებით: *„ასაკის მიუხედავად, პეკარიჩი ეროვნული გუნდის ერთ-ერთ ყველაზე გამოცდილ მოთამაშედ მიიჩნევა. მას უზარმაზარი პოტენციალი გააჩნია. დარწმუნებული ვარ, ის მოახერხებს საკუთარი თავის რეალიზებას ბუნდესლიგაში“.*

**ნიკლას ბენდტნერი** „ჰოფენჰაიმში“ **ვედად იბიშევიჩის** შემცვლელად არ გადავა, გვამცნობს „სქაი სპორტსი“. **რალფ რანგნიკმა** რამდენიმე დღის წინ თავად დაადასტურა, რომ **არსენ ვენგერს** დაუკავშირდა და „რომელიღაც“ ფეხბურთელზე სიტყვა ჩამოუგდო. ადვილი სავარაუდო იყო, რომ საქმე სწორედ დანიელს ეხებოდა, აბა **ემანუელ ადებაიორს** „ჰოფენჰაიმი“ ვერასოდეს იყიდის... *„ვიცი, რომ გერმანელები რამდენიმე დღის წინ დაუკავშირდნენ „არსენალს“ და ნიკლასის ბედით დაინტერესდნენ. „ჰოფენჰაიმის“ გარდა დაინტერესებული კიდევ რამდენიმე კლუბია. მესმის ყველას ინტერესის, მაგრამ ტრანსფერი არ შედგება, მით უფრო ახლა, იანვარში,“* – განაცხადა ფეხბურთელის აგენტმა.

მოგეხსენებათ, ექვსი დღის წინ იბიშევიჩს ჰაიდელბერგის ზანკ ელიზაბეტის კლინიკაში დაშავებულ მუხლზე ოპერაცია ჩაუტარეს. ბუნდესლიგის ბომბარდირი გუშინწინ კლინიკიდან გამოწერეს. ჯერჯერობით ექიმების დასკვნით მას ექვსთვიანი პაუზის აღება მოუწევს.

სააგენტო AP იტყობინება, რომ „ჰოფენჰაიმის“ სტადიონი უკვე მწყობრშია და ბუნდესლიგის მეორე წრეს კლუბი მშობლიურ სოფელში (!) ჩაატარებს. პირველ წრეში "ჰოფეს" არენა გერმანიის პროფესიული ფეხბურთის ლიგის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა. გუნდი იძულებული იყო, საშინაო შეხვედრები მანჰაიმში ჩაეტარებინა. ბუნდესლიგის ლიდერს ამიერიდან ახალი სუპერთანამედროვე 30-ათასიანი სტადიონი ექნება. საინტერესოა, რომ სულ რაღაც ორ კვირაში ახალი არენის 20 ათასი აბონემენტი გაიყიდა.

„ვერდერის“ ფეხბურთელი **უგო ალმეიდა** შეიძლება დღე-დღეზე „ევერტონში“ გადავიდეს. მან პირადად დაადასტურა, რომ ამგვარი პერსპექტივით აღფრთოვანებული გახლავთ. *„ბავშვობიდან ვოცნებობდი პრემიერლიგაში თამაშზე. შანსი, რომ ამ საოცარი სანახაობის მონაწილე თავადაც გავმხდარიყავი, აქამდე არ მქონია. როცა დევიდ მოიესის ჩემით დაინტერესების ამბავი შევიტყვე, ჩემს აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა. უკვე ველაპარაკე ჩემს თანამემამულე ნუნუ ვალენტეს. მისგან კლუბზე დიდძალი ინფორმაცია მივიღე. სხვათა შორის, ჩემს ტრანსფერზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. მთავარია, რომ დღეს მე „ვერდერის“ ფეხბურთელი მქვია,“* - განუცხადა „სეტანტა სპორტსს“ 24 წლის პორტუგალიელმა.

როგორც დორტმუნდის „ბორუსიის“ ოფიციალური საიტი იუწყება, 2008 წლის გუნდის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელებულია პოლონელი ნახევარმცველი **იაკუბ (კუბა) ბლაშჩიკოვსკი**. საიტზე ხმის მიცემა ნებისმიერ მსურველს შეეძლო. კუბამ ხმათა 35 პროცენტი დააგროვა. მეორე ადგილზე გავიდა სერბი **ნევენ სუბოტიჩი**, რომელმაც გულშემატკივართა ხმების 26 პროცენტი მიიღო, სამეული შეავსო **ალექსანდრ ფრაიმ**.

დორტმუნდის „ბორუსიისა“ და მიუნხენის „ბაიერნის“ ყოფილი თავკაცი, ბუნდესლიგის ექვსჯერ მომგები **ოტმარ ჰიტცფელდი** დღეს შვეიცარიის ნაკრების მთავარი მწვრთნელია. მოგეხსენებათ, ეს ქვეყანა „გენერლის“ მეორე სამშობლოა. მისივე განცხადებით, მართალია, ის საკლუბო ფეხბურთიდან სამუდამოდ წავიდა, მაგრამ საფეხბურთო ცხოვრებას დღემდე ყურადღებით ადევნებს თვალს. მიუხედავად იმისა, რომ „ბაიერნი“ გერმანიაში ბევრს არ უყვარს, ჰიტცფელდისადმი ანტიპათიურად განწყობილი ადამიანის ნახვა ნებისმიერს გაუჭირდება, რადგან ოტმარი თავისი აკადემიური გარეგნობით, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ღიმილითა და ქარიზმით, გერმანიისთვის პროფესიონალიზმის ენციკლოპედიურ მაგალითს წარმოადგენს. განსაკუთრებით გულის ამაჩუყებელი იყო მისი გამომშვიდობება ბუნდესლიგასთან. იმ დღეს მისმა თაყვანისმცემელთა რიცხვმა ერთი-ორად იმატა. ყოველივე ამის გამო, ბუნებრივია, მისი აზრი გერმანულ ფეხბურთზე დღემდე ყველას აინტერესებს. მან შვეიცარიულ გაზეთთან ინტერვიუში თამამი პროგნოზი გამოთქვა. *„ვვარაუდობ, რომ „ბაიერნი“ ჩემპიონობას ტურნირის დასრულებამდე რამდენიმე დღით ადრე გაიფორმებს. კლინსმანმა მოახერხა და გუნდი ახალ საფეხურზე აიყვანა. დააკვირდით, "ბაიერნი" მაშინაც კი ახერხებს თამაშების მოგებას, როცა არცთუ ისე კარგად თამაშობს. ეს უკვე კლასის საკითხია. რაც შეეხება „ჰოფენჰაიმს“... ვედად იბიშევიჩის შეცვლა გუნდს გაუჭირდება. ვფიქრობ, ისინი ბუნდესლიგას, სადღაც მე-5, მე-6 ადგილებზე დაასრულებენ“.*

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ესპანეთი. ლიგა BBVA. XX ტური

# დავიდ ვილიას სიჯიუტე ძვირად დაუჯდა

## ვალენსიის ფორვარდს ექიმებისთვის რომ მოესმინა, მალიორკასთან აუცილებლად ითამაშებდა



| დღეს | |
|---|---|
| ვილიარეალი-ოსასუნა | 23:00 |
| ბარსელონა-ნუმანსია | 01:00 |
| **ხვალ** | |
| მალაგა-ატლეტიკო | 20:00 |
| რეკრეატივო-ბეტისი | 20:00 |
| ვალიადოლიდი-ესპანიოლი | 20:00 |
| ალმერია-ბილბაო | 20:00 |
| ხეტაფე-სპორტინგი | 20:00 |
| მალიორკა-ვალენსია | 20:00 |
| სევილია-რასინგი | 22:00 |
| რეალი-დეპორტივო | 00:00 |

სიმართლე გითხრათ, **ენრიკე სერესომ** რეპუტაცია გვარიანად შეილახა. ამ სეზონში **ხავიერ აგირეს** ულტიმატუმი მან უკვე ორჯერ წაუყენა. მექსიკელმა სპეციალისტმა პრეზიდენტის მიერ დაკისრებული ამოცანა ერთხელაც ვერ გადაჭრა. მიუხედავად ამისა, სენიორ სერესო მის გადაყენებას არ ჩქარობს. "ატლეტიკოს" მთავარი მწვრთნელი მთელი კვირის განმავლობაში მშვიდად და აუღელვებლად მუშაობდა. ჯერ კიდევ ხუთშაბათს აგირეს ექიმები ეუბნებოდნენ, რომ "მალაგასთან" მატჩში **მაქსი როდრიგესი** თამაშს ვერ შეძლებდა, მაგრამ გუშინ სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა და მადრიდული კლუბის ექიმებმა არგენტინელ ნახევარმცველს მწვანე შუქი აუნთეს. იმ შემთხვევაში, თუ სენიორ აგირე შეგირდის ძირითად შემადგენლობაში დაყენებას საჭიროდ ჩათვლის, მაქსი თავს არ დაზოგავს და გუნდის დასახმარებლად ყველაფერს გააკეთებს. რამდენიმე დღის წინ გაუწყეთ, რომ **სერხიო აგუერომ** "ალმერიასთან" ფრედ დასრულებული შეხვედრის შემდეგ მთავარი მწვრთნელის წინააღმდეგ გაილაშქრა. მართალია, ახალგაზრდა არგენტინელმა ამის შემდეგ ბოდიში მოიხადა, მაგრამ ბოროტი ენების თქმით, ბატონი ხავიერი მასზე ძალიან გაბრაზებული იყო და დაემუქრა, ანდალუსიელებთან არ გათამაშებო. მოგვიანებით, "ატლეტიკოს" პრესსამსახურმა ეს ინფორმაცია უარყო, თუმცა ჯერჯერობით არავინ იცის, მექსიკელი რა გადაწყვეტილებას მიიღებს. აგირესა და კუნის დაპირისპირებას აგუეროს მადრიდის "რეალში" შესაძლო გადასვლის შესახებ ხმების გავრცელება საეჭვოდ დაემთხვა. კლუბის მესვეურთა კატეგორიული წინააღმდეგობის მიუხედავად, საზოგადოებაში ჭორები სულ უფრო და უფრო ინტენსიურად ვრცელდება. თითქოს, **ვისენტე ბოლუდა** "რეალის" პრეზიდენტობის თითოეულ კანდიდატს მოელაპარაკა და მათგან სერხიოს გადაბირების თანხმობა მიიღო. "დიარიო მარკაში" ეწერა, რომ სამეფო კლუბის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ენრიკე სერესოს გაურიგდა და აგუერო მომდევნო სეზონიდან ესპანურ სტადიონებზე თეთრი მაისურით იასპარეზებს. პარადოქსულია, მაგრამ იმავე "დიარიო მარკას" ფურცლებზე "როხიბლანკოს" პრეზიდენტის სენიორ სერესოს განცხადებაც გამოქვეყნდა. მისი თქმით, სერხიო აგუეროს გაყიდვა გამორიცხულია.

უშუალოდ წინასამატჩო მიმოხილვას დავუბრუნდებით და მოგახსენებთ, რომ აგირეს მაქსი როდრიგესის მსგავსად **მანიშეც** დაუბრუნდა. პორტუგალიელმა ნახევარმცველმა წინა ორი შეხვედრა დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა. სადისციპლინო კომიტეტმა მას "ბილბაოსთან" ჩადენილი უხეშობის გამო სწორედ ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა. არადა, ჩვეულებრივ, წითელი ბარათი მხოლოდ ერთი შეხვედრის გამოტოვებას უდრის... თუმცა მანიშე ისეთი აუტანელი ხასიათის კაცია, პრობლემები მომავალშიც არაერთხელ შეექმნება.

მეორე წრის პირველი შეხვედრისთვის "რეალი" "ატლეტიკოზე" არანაკლებ სერიოზულად ემზადება. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ **ფაბიო კანავარო** "დეპორთან" ვერ იასპარეზებს. იტალიელმა ვეტერანმა ტრავმა სრულიად კურიოზულ სიტუაციაში მიიღო. ის თანაგუნდელებთან ერთად ბაზაზე გასართობად თამაშობდა. ამ დროს, აზარტში შესულმა **როისტონ დრენტემ** ვერ მოზომა და კანავაროს მარჯვენა ტერფში მტკივნეულად ჩაარტყა. ფაბიოს ფეხი იმდენად ძლიერად სტკიოდა, რომ თამაშის გაგრძელება ვერ შეძლო და მინდორი ექიმების დახმარებით დატოვა. საგულდაგულოდ ჩატარებულმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ აპენინელს სერიოზული არაფერი აწუხებს, თუმცა ტერფი მაინც გასიებული აქვს და სავარაუდოდ, გალისიელებს ვერ შეებრძოლება. ამის გამო **ხუანდე რამოსი** იძულებულია, შემადგენლობაში ცვლილებების განხორციელებაზე იფიქროს. იმ შემთხვევაში, თუ კანავარო დროულად ვერ გამოჯანმრთელდება, მთავარი მწვრთნელი მის ნაცვლად, ალბათ, **კრისტოფ მეტცელდერს** ათამაშებს. არც ის არის გამორიცხული, გერმანელი ისევ სათადარიგოთა სკამზე დატოვონ და დაცვის ცენტრი **პეპესთან** ერთად **სერხიო რამოსს** ჩააბარონ. ამ შემთხვევაში, სენიორ ხუანდეს სერხიო რამოსის ფლანგზე შეექმნება პრობლემები. დაგვეთანხმებით, ესპანელი სპეციალისტი სერიოზული დილემის წინაშე დგას. და მაინც, თუ რამოსი ფლანგიდან ცენტრში გადაინაცვლებს, მის ადგილზე სავარაუდოდ, ახალგაზრდა **მიგელ ტორესს** ვიხილავთ. პარასკევის ვარჯიშზე **ირჟი დუდეკმა** გუნდისგან განმარტოებით სპორტულ დარბაზში ივარჯიშა. პოლონელმა გოლკიპერმა გასულ ოთხშაბათს, ვარჯიშზე კოჭი იტკინა, რის გამოც სრულფასოვნად მომზადებას ვერ ახერხებს.

მცირე საკადრო პრობლემები **პეპ გვარდიოლასაც** აქვს. გუშინ საბოლოოდ გაირკვა, რომ **რაფა მარკესს** 15-დღიან იძულებით შვებულებაში გასვლა სჭირდება. მექსიკელ მცველს რაიმე სახის კონკრეტული ტრავმა არ აწუხებს. კატალონიური გრანდის მთავარი ექიმის, **რიკარდ პრუნას** თქმით, მარკესს ზოგადი გადაღლილობა აწუხებს. მას ახლა დასვენების და ძალის მოკრებვის საშუალება რომ არ მისცენ, შესაძლოა, ხვალ დაგვიანებული იყოს და რაფამ სერიოზული ტრავმა მიიღოს. გასაკვირი არ არის, რომ კატალონიური გიგანტის მესვეურები, საკუთარ მოთამაშეებს თვალის ჩინივით უფრთხილდებიან. მარკესის გარდა, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მცირე პრობლემები "ბარსელონის" სხვა ფეხბურთელებსაც აქვთ. მაგალითად, **ჩავის** მთელი ორი დღე წვივის კუნთი სტკიოდა, მაგრამ ტკივილმა გაუარა და ვარჯიში განაახლა, თუმცა ბაზაზე მისულმა ჟურნალისტებმა შენიშნეს, რომ ერნანდესი უჩვეულოდ ინერტულად ვარჯიშობდა. ის ზარმაცი არასოდეს ყოფილა. საქმე ალბათ, პოსტტრავმულ ბანალურ შიშსა და სიფრთხილეს ეხება.

ესპანელი ჟურნალისტების დიდი ნაწილი ახლა იმას იკვლევს ათამაშებს თუ არა გვარდიოლა **სამუელ ეტოოს**. მოგეხსენებათ, კატალონიური გრანდის მთავარმა მწვრთნელმა კამერუნელი ფორვარდი უგულოდ ვარჯიშის გამო მოედნიდან გააძევა. თუ სენიორ პეპის მკაცრ ხასიათს გავითვალისწინებთ, არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ სამუელს სათადარიგოთა სკამზე მოუხდება დაჯდომა. როგორც გითხარით, ჟურნალისტები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ გვარდიოლას გადაწყვეტილება დაადგინონ და საზოგადოებას ინფორმაცია მიაწოდონ. შეუპოვრობის მიუხედავად, ბატონმა პეპმა ამ საკითხთან დაკავშირებით ზოგადად ისაუბრა და არაფერი დააკონკრეტა: *"გულწრფელად ვითხოვე, რომ აჟიოტაჟი არ აგეტეხათ. მიუხედავად ამისა, ვხედავ, რომ ყველას სამუელ ეტოო აკერია პირზე. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ეტოო უკანასკნელი არ არის, ვისაც მწვრთნელმა ვარჯიში დაატოვებინა. კიდევ ერთხელ გთხოვთ, დამშვიდდეთ და ეს თემა დაივიწყეთ. მით უმეტეს, ინციდენტი ამოწურულია. ვიცი, შემადგენლობა ყველას აინტერესებს, მაგრამ 11 კაცის ვინაობას მატჩის დაწყებამდე ორი საათით ადრე გაგიმხელთ."*

"სევილიასთან" სათასო შეხვედრის მე-20 წუთზე **დავიდ ვილიამ** ტრავმა მიიღო და მოედანი დატოვა. "ვალენსიის" ექიმების მოთხოვნით, **უნაი ემერიმ** მრისხანე ესპანელი ფორვარდი ვარჯიშებიდან გაათავისუფლა, რაც იმას ნიშნავს, რომ დავიდი "მალიორკასთან" მატჩს გამოტოვებს. "ღამურების" ერთ-ერთ ლიდერს მარცხენა ბარძაყის კუნთი აქვს დაჭიმული. "მალიორკასთან" მატჩს ვინ ჩივის, გამორიცხული არ არის, ვილიას სამკვირიან იძულებით შვებულებაში მოუხდეს გასვლა. "ვალენსიის" ერთ-ერთმა ექიმმა საკმაოდ საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა. დავიდს კუნთი მანამდეც აწუხებდა. მთავარმა ექიმმა მისი დასვენება ითხოვა, მაგრამ უნაი ემერიმ და თავად ფორვარდმა კატეგორიული უარი განაცხადეს. სიჯიუტემ ფატალური შედეგი რამდენიმე დღეში გამოიღო, დავიდს ტრავმა გაუმიზეზდა და ახლა უფრო დიდი ხნით მოუწევს ლოდინი. არადა, ექიმებისთვის რომ დაეჯერებინა, სამდღიანი პაუზა სავსებით საკმარისი იქნებოდა. "ვალენსიას" ბალეარელებთან მატჩში, შესაძლოა, **ხოაკინიც** დააკლდეს. მას მარჯვენა კოჭი სტკივა. ტრავმა სერიოზული არ არის, თუმცა ხოაკინმა ბოლო ორი ვარჯიში გამოტოვა. სანჩესი დროულად რომც გამოჯანმრთელდეს, სავარაუდოა, რომ სენიორ ემერი მოუმზადებელი ფეხბურთელის ძირითად შემადგენლობაში დაყენებას მოერიდება. "ვალენსიის" ტრავმირებულ ფეხბურთელთა სია ამითაც არ ამოიწურება, სხვადასხვა სახის პრობლემის გამო **დავიდ სილვამ, დავიდ ალბელდამ, მიგელ ბრიტომ და ფერნანდო მორიენტესმა** სრული დატვირთვით ვერ ივარჯიშეს. დაგვეთანხმებით, "ღამურებს" მართლაც სერიოზული საკადრო პრობლემები აქვთ.

**ილია ნიკოლაიშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 19 | 16 | 2 | 1 | 59-13 | 50 |
| 2. სევილია | 19 | 11 | 5 | 3 | 28-16 | 38 |
| 3. რეალი | 19 | 12 | 2 | 5 | 41-27 | 38 |
| 4. ვალენსია | 19 | 10 | 4 | 5 | 38-27 | 34 |
| 5. ვილიარეალი | 19 | 9 | 6 | 4 | 32-25 | 33 |
| 6. ატლეტიკო | 19 | 9 | 4 | 6 | 42-30 | 31 |
| 7. მალაგა | 19 | 9 | 4 | 6 | 31-27 | 31 |
| 8. დეპორტივო | 19 | 9 | 3 | 7 | 23-27 | 30 |
| 9. ბილბაო | 19 | 7 | 5 | 7 | 27-29 | 26 |
| 10. რასინგი | 19 | 6 | 7 | 6 | 21-23 | 25 |
| 11. სპორტინგი | 19 | 8 | 0 | 11 | 26-39 | 24 |
| 12. ვალიადოლიდი | 19 | 7 | 2 | 10 | 27-30 | 23 |
| 13. ბეტისი | 19 | 6 | 3 | 10 | 25-26 | 21 |
| 14. ხეტაფე | 19 | 5 | 6 | 8 | 24-30 | 21 |
| 15. ალმერია | 19 | 5 | 6 | 8 | 20-28 | 21 |
| 16. რეკრეატივო | 19 | 5 | 5 | 9 | 17-28 | 20 |
| 17. ნუმანსია | 19 | 6 | 2 | 11 | 24-37 | 20 |
| 18. ესპანიოლი | 19 | 3 | 6 | 10 | 17-32 | 15 |
| 19. მალიორკა | 19 | 3 | 5 | 11 | 18-37 | 14 |
| 20. ოსასუნა | 19 | 2 | 7 | 10 | 20-29 | 13 |




იტალია. სერია A. XX ტური

# ინტერი იბრას გარეშე

## რომას ფრანჩესკო ტოტი უბრუნდება

| დღეს | |
|---|---|
| რეჯინა-კიევო | 21.00 |
| იუვენტუსი-ფიორენტინა | 23.30 |
| **ხვალ** | |
| ბოლონია-მილანი | 18.00 |
| ჯენოა-კატანია | 18.00 |
| ლაციო-კალიარი | 18.00 |
| ლეჩე-ტორინო | 18.00 |
| ნაპოლი-რომა | 18.00 |
| პალერმო-უდინეზე | 18.00 |
| სიენა-ატალანტა | 18.00 |
| ინტერი-სამპდორია | 23.30 |

**კაკას** გარშემო ატეხილი ვნებათაღელვა ნელ-ნელა ჩაცხრა და იტალიური საფეხბურთო საზოგადოების მთელი ყურადღება სერია A-ს მორიგ ტურზე გადავიდა. ამ უქმეებზე მართლაც საინტერესო შეხვედრები გაიმართება და ღირს მათზე თვალის გადავლება. პირველ რიგში, ეს დღევანდელ დაპირისპირებაზე ითქმის, ლამის პაექრობაში ტურინის „იუვენტუსი" ფლორენციის „ფიორენტინას" მიიღებს.

„ვიოლას" სეზონის განახლების შემდეგ ქულა არ აულია, ორ შეხვედრაში ორი მარცხი განიცადა და სატურნირო ცხრილში პოზიციები მკვეთრად გაიუარესა. მიუხედავად ამისა, ძნელია იმის ვარაუდი, რომ გუნდს კრიზისი ან თუნდაც ჩავარდნა აქვს. საქმე იმაშია, რომ „ფიორენტინას" არც ერთ ამ შეხვედრაში თავი არ შეურცხვენია. ფლორენციელებმა „ლეჩესთან" საკმაოდ ნორმალურად ითამაშეს, „მილანთან" კი მართლაც კარგად გამოიყურებოდნენ. ბევრის აზრით, იმ შეხვედრაში თუ ვინმე იმსახურებდა გამარჯვებას, ეს „ვიოლა" იყო. რა გასაკვირია, რომ **ჩეზარე პრანდელი** შემადგენლობაში ცვლილებების შეტანას არ აპირებს. გუნდი კვლავ 4-4-2 სისტემით ითამაშებს. თავდასხმაში **ჯილარდინოს იოვეტიჩი** შეუწყვილდება, ვინაც „როსონერისთან" პაექრობაში თავი ძალიან კარგად დაგვამახსოვრა. ძალიან ტექნიკურია, ბურთს კარგად იმორჩილებს და არც პასი ემლება. აქვე აღვნიშნავთ, იოვეტიჩი ჩერნოგორიელია და მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. ნახევარდაცვაში შემდეგი ოთხეული გაირჯება: **ფელიპე მელო, მონტოლივო, კუყმანოვიჩი** და **მარიო სანტანა**. ამ შემთხვევაშიც იგივე შეგვიძლია ვთქვათ - ძალიან პერსპექტიულ შუა ხაზთან გვაქვს საქმე და ამაზე იტალიური პრესა ხშირად წერს. ოთხივე ტანმაღალია, ძალიან ტექნიკური და ფიზიკურად ძლიერი. თითოეულ მათგანს დაყენებული დარტყმა აქვს, მოკლედ, პრანდელის კარგი მასალა აქვს სამუშაოდ და ბევრი რამე სწორედ მასზეა დამოკიდებული. თუ კლუბის მესვეურებმა ეს შემადგენლობა შეინარჩუნეს და განვითარების საშუალება მისცეს, სამომავლოდ „ფიორენტინასგან" თავისუფლად შეიძლება დიდი გუნდის მიღება. თუმცა იქამდე დროა და უმჯობესია, ორიოდე სიტყვა „ვიოლას" მეტოქეზეც ვთქვათ.

„იუვენტუსი" მიმდინარე სეზონში ტრავმებმა გაანამა. დაშავებულთა დიდ არმიას გასულ ტურში კიდევ ერთი ფეხბურთელი, **ჯორჯო კიელინი** დაემატა. ჯერჯერობით უცნობია, რამდენ ხანს მოუწევს დასვენება იტალიის ნაკრების უკანახაზელს. მის არყოფნაში **რანიერი** დაცვაში შემდეგ ოთხეულზე შეაჩერებს არჩევანს: **დე ჩელიე, ლეგროტალიე, მელბერგი, გრიგერა**. შეამჩნევდით, უკანა ხაზში დე ჩელიე ახალი სახეა. პაოლო ნომინალური ნახევარმცველია, თუმცა „ფიორენტინასთან" დაცვაში მოუწევს ასპარეზობა. საქმე იმაშია, რომ **მოლინაროს** ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს და ამ უიქენდზე დასვენება მოუწევს. კლაუდიო რანიერი ნახევარდაცვასა და თავდასხმაში ცვლილებებს ერიდება და კვლავ ძველ გვარდიას დაეყრდნობა. შუა ხაზში **ნედვედი, ძანეტი, მარკიზიო** და **მარკიონი** ითამაშებენ, თავდასხმაში კი შეუცვლელი **დელ პიერო** და **ამაური**. იტალიურმა პრესამ „იუვეს" თავკაცს კრიტიკაც შეაპარა, მართალია მოზომილი, მაგრამ იმის მომასწავებელი, რომ პირველივე ჩავარდნისას რანიერის მაგრად შეუტევენ. მაგალითისთვის „გაძეტას" ჟურნალისტის მოსაზრებას გთავაზობთ: „*დელ პიეროსა და ამაურის წყვილი ეფექტურობას კარგავს და ეს რანიერის ბრალია. კაგი იქნება, თუ ამ ფეხბურთელებს ამოსუნთქვის საშუალება მიეცემათ და ასპარეზზე იაკვინტა და ჯოვინკო გამოვლენ. ვინჩენცო ძალიან კარგ ფორმაშია და ამას ვარჯიშებზეც ამტკიცებს. მას მეტი სათამაშო დრო სჭირდება და ეს სენიორ კლაუდიოს კარგად უნდა ესმოდეს. არ შეიძლება ფეხბურთელებისთვის პრივილეგიის მინიჭება, ეს გუნდისთვის დამღუპველია*". კრიტიკა გაისმა ამაურის მისამართითაც. ჟურნალისტის თქმით, კარვალიო მოედანზე ზანტად მოძრაობს, სირბილი ეზარება და მუდმივად ბურთს ელის. თანამედროვე ფორვარდი ასე არ თამაშობს და მისთვის ჭკუის სასწავლებლად სათადარიგო სკამი ზედგამოჭრილი იქნებოდაო. თუმცა, იქვე ვარაუდობენ, რომ ეს დუეტი „ფიორენტინასაც" აუცილებლად პირველივე წუთებიდან შეუტევს. მოკლედ, წინ საინტერესო პაექრობა გველის. ერთი შეხედვით, ფავორიტი „იუვენტუსია", მაგრამ წააგებს „ფიორენტინა" ზედიზედ მესამე შეხვედრას?

ტური „ინტერი"-„სამპდორიას" ჯახით დასრულდება. „ნერაძურის" მიმართ პრესა ცხოველ ინტერესს იჩენს და ეს იმ ჩავარდნას უკავშირდება, რომელიც გუნდს სეზონის განახლებისას შეემთხვა. ორ თამაშში მხოლოდ ერთი ქულა, ეს ძალიან ცოტაა და მორიგი წაფორხილება „ინტერს" კრიზისში მყოფი გუნდის იარლიყად დაუჯდება. კრიზისი კი იტალიაში ნამდვილ ისტერიას ნიშნავს - დაიწყება გაუთავებელი მსჯელობა გუნდში არსებულ პრობლემებზე, ამოტივტივდება შიდა დაპირისპირებები და ა.შ.

ეს ყველაფერი ინტერისტებს ნამდვილად არ სურთ და მაქსიმალურად შეეცდებიან, რომ „სამპა" ბეჭებზე გააკრან. თუმცა, ამის გაკეთება იოლი არ იქნება, რადგან გენუელები ისედაც რთულ მდგომარეობაში არიან და ქულისთვის სამკვდრო-სასიცოცხლოდ იბრძოლებენ. მოურინიოს საკადრო პრობლემა აქვს და თანაც ძალიან სერიოზული. **ზლატან იბრაჰიმოვიჩს** დისკვალიფიკაცია აქვს და „სამპდორიას" ვერ შეერკინება. პორტუგალიელი მის ნაცვლად სასტარტოში **მარიო ბალოტელის** დააყენებს და ბრაზილიელ **ადრიანოს** შეუწყვილებს. ძირითადში ბრუნდება **დეიან სტანკოვიჩი**, ვინაც **სალი მუნტარის, ხავიერ ძანეტის** და **ესტებან კამბიასოს** მხარდამხარ ითამაშებს. დაცვაში სავარაუდოდ **კივუ, მაიკონი, კორდობა** და **სამუელი** გაირჯებიან. "ინტერის" ნახევარდაცვა, "ატალანტასთან" შეხვედრაში ამაზრზენად გამოიყურებოდა და მოურინიო პირველ რიგში სწორედ ამ რგოლში ელის მდგომარეობის გამოსწორებას. ამაზე მისი სიტყვებიც მოწმობს: „*თამაშის სადავეები პირველივე წუთებიდან უნდა ვიგდოთ ხელთ და მეტოქეს შევუტიოთ. ამისთვის ბურთზე კონტროლის დაწესებაა საჭირო და ნახევარმცველები ყურადღებით უნდა იყვნენ. "სამპდორიას" ურიგო გუნდი არ ყავს და შედეგებმა შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს. განსაკუთრებით კარგად ძლიერ მეტოქესთან გამოსდით თამაში და დარწმუნებული ვარ, რომ ძალებს არც ჩვენთან დაზოგავენ. "ინტერის" მიზანი სამი ქულაა, ფრე ჩვენთვის მარცხის ტოლფასი იქნება*".

"მილანი" "ბოლონიას" სტუმრობს და შეეცდება წარმატებული სვლა გააგრძელოს. "ფიორენტინას" დამარცხება "როსონერისთვის" უმნიშვნელოვანესი იყო, თუმცა მთავარ გამარჯვებად მაინც კაკას შენარჩუნება უნდა მივიჩნიოთ. რიკარდო "ბოლონიას" პირველივე წუთებიდან შეუტევს და ეცდება "მილანში" დარჩენა გოლით აღნიშნოს. შეტევაში მის მხარდამხარ **ალეშანდრე პატო** და წინ წაწეული **კლარენს ზეედორფი** იმოქმედებენ. კვლავ სათადარიგო იქნება **რონალდინიო**, ვინაც ბოლო დროს არცთუ კარგ ფორმაშია და როგორც ჟურნალისტები ამბობენ, ვარჯიშებზეც ინერტულია. ძირითადში მოიაზრება **მასიმო ამბროზინი, დევიდ ბექჰემი** და **ანდრეა პირლო**. სიახლეა დაცვის ხაზში: მარცხენა ფლანგზე **მარეკ იანკულოვსკის** ადგილს **ჯუზეპე ფავალი** დაიკავებს, ცენტრში **პაოლო მალდინის ფილიპ სენდეროსი** შეუწყვილდება, მარჯვნივ კი **ჯანლუკა ძამბროტა** იმოქმედებს. "ბოლონია" ბოლო დროს ძალიან კარგად ათამაშდა, წინა ტურში **სინიშა მიხაილოვიჩის** გუნდმა გასვლაზე კერკეტი "კატანია" დაამარცხა. "როსობლუ" არც "მილანთან" დაზოგავს თავს და ვნახოთ, რა გამოვა ამ საქმისგან. რაც მთავარია, **მარკო დი-ვაიო** სრულ მზადყოფნაშია და შეეცდება **კრისტიან აბიატიც** დაამწუხროს.

სხვა მატჩებიდან "ნაპოლი"–"რომას" დაპირისპირება უნდა გამოვარჩიოთ. სასიამოვნო ინფორმაცია გვაქვს "ჯალოროსის" გულშემატკივრებისთვის, ძირითად შემადგენლობაში **ფრანჩესკო ტოტის** გამოჩენას უნდა ველოდოთ, რომელიც ტრავმისგან განიკურნა და სრულ მზადყოფნაშია. სავარაუდოდ, სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლებს **მირკო ვუჩინიჩი**, კაპიტნის უკან კი **ჟულიო ბაპტიშტა** და **დავიდ პიზარო** იმოქმედებენ. შეუტევს "ნაპოლიც", **ედი რეხა** 3-5-2 ტაქტიკას გამოიყენებს და შეტევაში **ლავეცი – ზალაიეტას** ტანდემს გაამწესებს. ერთი სიტყვით, წინ საინტერესო მატჩები გველის და ისღა დაგვრჩენია, მოვლენათა განვითარებას დაველოდოთ.

**ლაშა წიკლაური**


ეროვნული ბიბლიოთეკა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 19 | 14 | 4 | 2 | 33-15 | 43 |
| 2. იუვენტუსი | 19 | 12 | 4 | 3 | 32-14 | 40 |
| 3. მილანი | 19 | 11 | 4 | 4 | 31-20 | 37 |
| 4. ჯენოა | 19 | 10 | 5 | 4 | 29-17 | 35 |
| 5. ნაპოლი | 19 | 10 | 3 | 6 | 27-18 | 33 |
| 6. ფიორენტინა | 19 | 10 | 2 | 7 | 26-17 | 32 |
| 7. ლაციო | 19 | 9 | 4 | 6 | 30-25 | 31 |
| 8. რომა | 19 | 9 | 3 | 7 | 26-25 | 30 |
| 9. პალერმო | 19 | 9 | 2 | 8 | 26-23 | 29 |
| 10. ატალანტა | 19 | 8 | 3 | 8 | 26-23 | 27 |
| 11. კალიარი | 19 | 7 | 4 | 8 | 22-22 | 25 |
| 12. კატანია | 19 | 7 | 4 | 8 | 19-23 | 25 |
| 13. უდინეზე | 19 | 6 | 5 | 8 | 26-29 | 23 |
| 14. სიენა | 19 | 6 | 4 | 9 | 14-19 | 22 |
| 15. სამპდორია | 19 | 5 | 5 | 9 | 16-23 | 20 |
| 16. ბოლონია | 19 | 4 | 7 | 8 | 22-29 | 19 |
| 17. ლეჩე | 19 | 3 | 8 | 8 | 16-28 | 17 |
| 18. ტორინო | 19 | 4 | 3 | 12 | 18-33 | 15 |
| 19. კიევო | 19 | 3 | 4 | 12 | 12-28 | 13 |
| 20. რეჯინა | 19 | 3 | 4 | 12 | 17-37 | 13 |




WENTTO
ერთი ტელეფონი 2 სიმ ბარათით
BLUETOOTH
MP 3
MP 4
TOUCHSCREEN
CAMERA 2 MPX.
1 GB MICRO SD
DG 699
ფასი 249 ლარი
მანქანის დამტენი. მე -2 აკუმულიატორი
კაბურა. USB-კაბელი. ყურსასმენი.
სტაციონარი სატენი.
ერთ წლიანი გარანტიით
მოზის და ვენტოს მაღაზიებში
თბილისი: ვენტო- 365 395
მოზი: 20 25 25
ქუთაისი: 899 18 38 20
ბათუმი: 7 66 21


თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი

მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

ლეო მესი

# ჩემი ბერნაბეუზე გადასვლის წინაპირობა არ არსებობს

## არგენტინელი ვარსკვლავი არიგო საკის განცხადებას, თითქოს ფლორენტინო პერესი მის ყიდვას ცდილობს, წინასაარჩევნო პროპაგანდის ნაწილად მიიჩნევს

ლიონელ მესი ფიფას გამოკითხვის მიხედვით პლანეტის რიგით მეორე საუკეთესო ფეხბურთელი გახდა. არგენტინელ სუპერვარსკვლავს კრისტიანო რონალდომ აჯობა. მიუხედავად იმისა, რომ პორტუგალიელმა ფორვარდმა წინა სეზონში ბევრი გოლი გაიტანა და "მანჩესტერ იუნაიტედს" დუბლის შესრულებაში დაეხმარა, მსოფლიო საზოგადოების დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ პირველობას არგენტინელი უფრო იმსახურებდა. ლეოს მხარდამჭერებს მიაჩნიათ, რომ მესი გაცილებით უფრო მაღალი დონის მოთამაშეა და გადაწყვეტილებები მხოლოდ გოლების რაოდენობით და გუნდის მიერ მოპოვებული ტიტულებით არ უნდა განისაზღვრებოდეს. რა თქმა უნდა, საკამათო თემაა. ფეხბურთელის, მით უმეტეს ფორვარდის ამოცანაა, რაც შეიძლება მეტი გოლი გაიტანოს და ამით გუნდს სწორედ ტიტულების მოპოვებაში დაეხმაროს, მაგრამ მედალს ორი მხარე აქვს: თუ რომელიმე ფეხბურთელი ფანტასტიკურად ასპარეზობს, მაგრამ უმაღლესი მწვერვალების დასაპყრობად მხოლოდ ერთი კაცის ძალისხმევა არ ჰყოფნის, მაშინ ეს ინდივიდი რატომ უნდა დაიჩაგროს? ეს, ალბათ, რიტორიკული კითხვაა და მასზე პასუხის გასაცემად თავს არავინ შეიწუხებს. ჩვენი აზრით, ფიფას მიერ გამოკითხულმა მწვრთნელებმა რონალდოს მხარი მართლაც იმიტომ დაუჭირეს, რომ მისი მეცადინეობით "მანჩესტერმა" ფანტასტიკური სეზონი ჩაატარა. მესის მხარდამჭერები კი იმით აპელირებენ, რომ ლეო ახალ სეზონში რონალდოზე შეუდარებლად კარგად თამაშობს და ყოველდღე ამტკიცებს, რომ ის არის 2008 წლის საუკეთესო მოთამაშე. რა შეიძლება ითქვას?! როცა საქმე გემოვნებას ეხება და ესა თუ ის გადაწყვეტილება სწორედ გემოვნებიდან გამომდინარე მიიღება, ძალიან ძნელია კამათმა ლოგიკურ დასკვნამდე მიგვიყვანოს, ფეხბურთი ხომ მათემატიკასავით ზუსტი დარგი არ არის. უსაზღვრო ემოციებისა და არაამქვეყნიური ვნების გამო ეს თამაში მეტაფიზიკასთან უფრო ახლოს არის, ამიტომ ლოგიკა, ალბათ, ფიფას მიერ გამოკითხული მწვრთნელების საბოლოო შედეგში არ უნდა ვეძიოთ. გამოკითხვის პასუხი ისეთი უნდა მივიღოთ, როგორიც არის. მესის ქომაგებს კი შეუძლიათ მშვიდად იყონ. სრული სერიოზულობით შეიძლება ითქვას, რომ ლეო კარიერის განმავლობაში პლანეტის საუკეთესო მოთამაშე აუცილებლად გახდება. თანაც არაერთხელ. გუშინ სამხრეთამერიკელ გენიოსს "დიარიო სპორტის" კორესპონდენტი შეხვდა და ინტერვიუ ჩამოართვა. ჩვენს კატალონიელ კოლეგას აინტერესებდა, თავად მესი ფიფას გამოკითხვის შედეგს რამდენად სამართლიანად მიიჩნევდა. "ბარსელონის" მეგა ვარსკვლავმა დიპლომატიურად განაცხადა, რომ რონალდომ ეს აღიარება დაუზარელი შრომითა და ფენომენალური ნიჭით დაიმსახურა...

**- ლეო, ვიცი თქვენთვის ფიფას გამოკითხვაზე ლაპარაკი ძალიან რთული იქნება, მაგრამ უმორჩილესად გთხოვთ, უარს ნუ გვეტყვით და რამდენიმე კითხვაზე გვიპასუხეთ...**

- რა პრობლემაა, უსიამოვნო რატომ უნდა იყოს. რიგით მეორე საუკეთესო ფეხბურთელად დამასახელეს, ბოლოსწინა ადგილზე კი არ გავსულვარ (იცინის). მზად ვარ, თქვენს ნებისმიერ კითხვას ვუპასუხო. შეგიძლიათ, თქვენთვის ყველაზე საინტერესო კითხვით დაიწყოთ.

**- კეთილი. მაშინ მართლაც პირდაპირ გკითხავთ, თქვენი აზრით, კრისტიანო რონალდომ პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული დამსახურებულად მოიპოვა?**

- ღმერთმანი ასეთ პირდაპირობასაც არ ველოდი (იცინის). აჟიოტაჟის ატეხას ნუ ეცდებით. გარწმუნებთ, სკანდალის აგორება არ გამოგივათ. მე პროფესიონალი ვარ და ჩემს კოლეგებს პატივს ვცემ. კოლეგებში როგორც მწვრთნელებს, ასევე ფეხბურთელებს ვგულისხმობ. კრისტიანო რონალდომ ყველა წარმატებას თავდადებული შრომითა და ფენომენალური ნიჭის სინთეზით მიაღწია. ჩემი აზრით, თავდადება ნიჭზე არანაკლებ მნიშვნელოვანია. ყოველ შემთხვევაში, უდავო ფაქტია, რომ თავდადების გარეშე წარმატებას ვერც ერთ საქმეში ვერ მიაღწევ. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ კრისტიანო სწორედ თავდადებული ბიჭია და მან ტიტული დამსახურებულად მოიპოვა. მე მწვრთნელების გადაწყვეტილებას დიდ პატივს ვცემ. პირველი ადგილი მათ რონალდოს მიანიჭეს, მორჩა და გათავდა. აქ საკამათო არაფერია. შესაძლოა, ვინმე ფიქრობდეს, რომ ამ ტიტულს მე უფრო ვიმსახურებდი, მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკის დრო არ არის. ბუნებრივია, მეც ძალიან მინდოდა გამემარჯვა, თუმცა ეს ამჯერადაც არ მოხერხდა. არა უშავს, მეორე ადგილს არასოდეს დავჯერდები, პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულის მოსაპოვებლად კიდევ უფრო დიდი მოტივაციითა და ენთუზიაზმით ვივარჯიშებ. კადნიერებაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ამის შანსი კიდევ არაერთხელ მომეცემა. მადლობა ღმერთს, ჯერ ძალიან ახალგაზრდა ვარ (იცინის).

**- სანამ გამოკითხვის შედეგები გამოქვეყნდებოდა, გამარჯვების იმედი თუ გქონდათ?**

- რა თქმა უნდა. მეგონა, რომ გამარჯვების მშვენიერი შანსი მქონდა, მაგრამ მე იმასაც ვითვალისწინებდი, რომ სერიოზული კონკურენციის გადალახვა დამჭირდებოდა. მხოლოდ კრისტიანო რონალდო ხომ არ არის? ჩვენთან ერთად კიდევ არაერთი მსოფლიო დონის ფეხბურთელი იყო ნომინირებული. თუნდაც ესპანური "არმადა" ავიღოთ. ფერნანდო ტორესის გოლით სელექციონმა ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ესპანეთის ეროვნული გუნდის წარმატებაში ჩავიმ და ინიესტამ არანაკლებ დიდი წვლილი შეიტანეს. სულაც არ გამიკვირდებოდა, რომ წლის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული რომელიმე მათგანს მოეპოვებინა. ჩავი და ინიესტა გენიალური ფეხბურთელები არიან. ისინი არგენტინის ნაკრებში უპრობლემოდ მოხვდებოდნენ. სხვათა შორის, ამას წინათ მარადონამაც მითხრა, რომ ჩემი თანაკლუბელები საოცარ ფეხბურთს თამაშობენ. ჩავი და ინიესტა ჩემსავით ტანმორჩილი ბიჭები არიან. ისინი ფუტკრებივით შრომობენ და გულშემატკივრებს ფანტასტიკური ფეხბურთით ახარებენ. მათი თამაშით მეც არაერთხელ აღფრთოვანებულვარ. ყოფილა შემთხვევა, როცა კარგად ვერ გავხსნილვარ, მაგრამ ჩავისა და ინიესტას დაუჯერებლად რთული პასი გაუკეთებიათ და მეკარესთან პირისპირ გაუყვანივარ. მერწმუნეთ, ამას იშვიათად თუ ვინმე მოახერხებს.

**- როგორც ხედავთ, იმისთვის, რომ პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელის წოდება მოგანიჭონ, ტიტულების მოპოვებაა საჭირო. როგორ ფიქრობთ, შესწევს "ბარსელონას" იმის უნარი, რომ საკუთარ კოლექციას მიმდინარე სეზონის ბოლოს პრიმერა დივიზიონის ოქრო და ევროპის ჩემპიონთა თასი შემატოს?**

- რა თქმა უნდა. ჩვენ ნამდვილად შეგვწევს ამის უნარი. მგონი, "ბარსელონის" ჯადოსნური თამაში ჩემი სიტყვების ნათელი დადასტურებაა. ბედნიერი ვარ, რომ დღეს ჩვენი გუნდი ყველაზე გამართულ, სალ და ლამაზ ფეხბურთს თამაშობს. ეს მართლაც დიდი ბედნიერებაა, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, "ბარსას" ერთი წამით მოდუნების უფლებაც არ აქვს. კალაპოტიდან რომ ამოვვარდეთ, 12-ქულიანი უპირატესობა ისე განიავდება, მომხდარის გააზრებასაც ვერ მოვასწრებთ. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყოველი შეხვედრა მაქსიმალური კონცენტრაციითა და პასუხისმგებლობით ჩავატაროთ. პირადად ჩემთვის, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, დიდი სხვაობით რომ ვართ წინ. თითოეულ მატჩს ისე ვთამაშობ, თითქოს მის შედეგზე მთელი ჩვენი გუნდისა და კატალონიური საფეხბურთო სამყაროს ბედი იყოს დამოკიდებული. დარწმუნებული ვარ, ამ თვალსაზრისით ერთადერთი გამონაკლისი არ გახლავართ. ნებისმიერი პროფესიონალი იგივეს გეტყვით და საქმითაც დაგიმტკიცებთ, რომ დიდი წარმატებები არა ერთბაშად, არამედ ნაბიჯ-ნაბიჯ წიიღწევა. ჩვენ ნამდვილად შეგვიძლია, ამ გზით ვიაროთ და სეზონის ბოლოს ბარსელონის ცენტრში საკლუბო ფეხბურთის ყველაზე პრესტიჟული ტიტულები გამოვფინოთ.

**- რამდენიმე დღის წინ პეპ გვარდიოლამ სამუელ ეტოო ვარჯიშიდან გააგდო. თქვენი აზრით, ეს ფაქტი გუნდის განწყობასა და თამაშზე ცუდად იმოქმედებს?**

- იმედია, არა. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ პრობლემები არ შეიქმნას და ყველა დასახულ მიზანს ერთობლივი ძალისხმევით მივაღწიოთ. სამუელს ამ საქმეში ერთ-ერთი ფუნდამენტური მისია აკისრია.

**- ძალიან მაინტერესებს, ამ კონფლიქტზე რა კომენტარს გააკეთებთ?**

- ჯერ ერთი, კონფლიქტზე საუბარი სრულიად უადგილოა. ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო. კომენტარს რაც შეეხება, მე, რა თქმა უნდა, არაფერს ვიტყვი. აი, მაგალითად, თქვენი გაზეთის რედაქტორმა რომელიმე თქვენი თანამშრომელი რაღაცის გამო რომ დასაჯოს, ვთქვათ, ხელფასი დააკლოს, თქვენ როგორ კომენტარს გააკეთებთ? დარწმუნებული ვარ, ზოგადი კომენტარებით შემოიფარგლებით და არც არავის გაამტყუნებთ და არც არავის გაამართლებთ. ეს ჩვეულებრივი კოლეგიალობის პრინციპია. მით უმეტეს, საფეხბურთო გუნდი იმდენად სათუთი ორგანიზმია, რომ ბევრი ლაპარაკი და გაუმართლებელი კომენტარების კეთება საქმეს ნამდვილად არ მოუხდება.

**- ისეთი ამომწურავი პასუხი გამეცით, დარწმუნებული ვარ, "რეალში" მომხდარ სკანდალურ ამბებზეც არ ისურვებთ საუბარს...**

- არ მინდა, დაუკმაყოფილებლობის გრძნობა დაგიტოვოთ, მაგრამ სამეფო კლუბზე როგორ უნდა ვილაპარაკო?! მე ხომ ამ გუნდის წევრი არასოდეს ვყოფილვარ? არა მგონია, თქვენს მიერ ხსენებული სკანდალური ისტორიებით სამეფო კლუბში ვინმე კმაყოფილი და ბედნიერი იყოს... თუმცა, ეჭვი არ მეპარება, მადრიდელები ყველა პრობლემას მოაგვარებენ და გუნდი გაცილებით უკეთ ითამაშებს. სხვათა შორის, პრეზიდენტთან დაპირისპირების თემა "ბარსელონისთვისაც" არ არის უცხო. გაიხსენეთ, ჟოან ლაპორტას რამხელა პრობლემები ჰქონდა. მას იმპიჩმენტით ემუქრებოდნენ, მაგრამ ბოლოს თანამდებობაზე დასარჩენად აუცილებელი მხარდაჭერა მოიპოვა და პოსტი შეინარჩუნა. მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ასეთი მღელვარება ფეხბურთელებზე ცუდად მოქმედებს.



ლეო მესი

**- როგორც ამბობენ, "რეალის" ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების საუკეთესო შანსს ფლორენტინო პერესი ფლობს...**

- არ ვიცი, ეს სამეფო კლუბის მრავალმა ათეულმა ათასმა სოსიომ უნდა გადაწყვიტოს. ჩემთვის აბსოლუტურად სულერთია, ვინ გახდება "რეალის" პრეზიდენტი. ეს საკითხი საერთოდ არ მაინტერესებს.

**- არიგო საკიმ ესპანელ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, ფლორენტინო პერესი საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში ლეო მესის შეძენასაც შეეცდებაო...**

- ზოგადად ცხოვრებაში გამორიცხული არაფერია, მაგრამ მგონი, ეს გამონაკლისი შემთხვევაა. ვერ წარმომიდგენია, "ბარსელონიდან" სამეფო კლუბში როგორ უნდა წავიდე. აშკარად წარმოუდგენელი რამაა. არ ვიცი, ფლორენტინოს რა გეგმები აქვს, მაგრამ მე "რეალში" გადასვლა არასოდეს მიფიქრია. შესაძლოა, ეს ჩვეულებრივი წინასაარჩევნო პროპაგანდის ნაწილი იყოს. თუ მართლა ასეა, გული დამწყდება. არ მინდა, ვინმეს ბრძოლაში მისი იარაღი გავხდე. იმედია, ამ თემაზე ბევრს არ ილაპარაკებენ. "სანტიაგო ბერნაბეუზე" ლიონელ მესის გადასვლის არანაირი წინაპირობა არ არსებობს. "ბარსამ" მე იმდენი რამ მომცა, ამ გადაწყვეტილებას ვერ მივიღებ.

**- თქვენი და "ბარსელონის" ურთიერთობა ერთ ლამაზ ზღაპარს ჰგავს. თუ არ დაგვზარდებით, იქნებ ბავშვობა და "ბარსაში" მოხვედრის ისტორია გაიხსენოთ?**

- მაღალი და ტანადი არც ახლა ვარ, მაგრამ ბავშვობაში ჯუჯა ვიყავი. ვგრძნობდი, რომ ფეხბურთის თამაში შემეძლო და არგენტინული კლუბების საყმაწვილო გუნდების მწვრთნელებს კარს ვუნგრევდი. ალბათ, დღეს ბევრს გაეცინება, მაგრამ მაშინ ყველამ დამიწუნა. მიმანიშნებდნენ, დაბალი ხარ და შენგან ფეხბურთელი არ დადგებაო. წარმოიდგინეთ, 12-13 წლის ასაკში ენთუზიაზმით და ოცნებებით აღსავსე ბავშვი ასეთ ვერდიქტს რომ მოისმენს. სასოწარკვეთილი ვიყავი. ჩუმად ვტიროდი ხოლმე. გენეტიკურად ჰორმონალური დარღვევა გადმომყვა და სიმაღლესთან დაკავშირებით მართლაც სერიოზული პრობლემა მქონდა. ჩემი ასაკის ბავშვებთან შედარებით ლანირაკს ვგავდი. ყველას ეგონა, რომ მე მათზე 3-4 წლით უმცროსი ვიყავი. რა თქმა უნდა, საყმაწვილო გუნდების მესვეურები ფიქრობდნენ, რომ ლეო არ გაიზრდება და დრო და ენერგია ტყუილად უნდა ვხარჯოთო. ამ დროს, ბარსელონიდან კლუბის სელექციონერთა ჯგუფი ჩამოვიდა, რომელსაც სენიორ რექსაჩი ხელმძღვანელობდა. ახლობლების დახმარებით, კატალონიელმა სკაუტებმა გამსინჯეს. მახსოვს, რექსაჩს სახე შეეცვალა და მაშინვე მითხრა, შენ ჩემთან ერთად ბარსელონაში უნდა წამოხვიდეო. 13 წლის ვიყავი, მაგრამ მივხვდი, რომ ჭოჭმანი არ უნდა დამეწყო და გულში შიშის ნატამალი არ შემეშვა. მშობლები დამთანხმდნენ და სენიორ რექსაჩთან ერთად გავფრინდით. მან "ბარსას" საყმაწვილო სკოლაში მიმიყვანა. კლუბის დირექტორატის მაღალჩინოსნებს შეხვდა და უთხრა, ამ ბავშვს ექიმები დაახმარეთ, ჰორმონალური პრობლემები აქვს, სიმაღლეში ცოტათი მოამატებინეთ და წლების შემდეგ პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელი გეყოლებათო. თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ფაქტობრივი ინვალიდობისგან "ბარსელონამ" და რექსაჩმა მიხსნეს. ესპანელმა ექიმებმა ჩემი სიდაბლის მიზეზს მიაგნეს და სწორი მკურნალობით სიმაღლეში მოვიმატე. ისლა დამრჩენია, სენიორ რექსაჩს იმედი გავუმართლო. მისი პროგნოზი აუცილებლად უნდა ახდეს, ანუ, მე, ლეო მესი, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი უნდა გავხდე.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფალი ჭიდაობა

# მსუბუქი წონები ისევ ჩვენია


ოსტატი და შეგირდი - ნუგზარ სხირელი და ვლადიმერ ხინჩეგაშვილი


გურამ სალარაძე აჯილდოებს ბესიკ გოჩაშვილს

**თბილისში** რამდენიმე დღის წინ დასრულებულ საქართველოს ჩემპიონატზე თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შორის, ტრადიციულად, კარგად იასპარეზეს გორელმა ფალავნებმა. ისინი ჩვეულებისამებრ ამჯერადაც მსუბუქ წონით კატეგორიებში დომინირებდნენ და ორი ოქროსა და ერთი ბრინჯაოს მედლის მოპოვებაც მოახერხეს. მიუხედავად იმისა, რომ გორის გუნდში ამჯერად არ ყოფილან ნამყვანი მოჭიდავეები გია გოგშელიძე, ოთარ თუშიშვილი და ბესიკ გოჩაშვილი. მათ ნაცვლად ხალიჩაზე გასულმა ახალგაზრდა ფალავნებმა მაინც აჩვენეს მაღალი შედეგი. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ გასული წლის ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს პრიზიორი კადეტებსა და ახალგაზრდებში, 17 წლის ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (55 კგ) და მალხაზ მუზიაშვილი (66 კგ). ბრინჯაოს მედალი ერგო გიორგი მაყიშვილს (69 კგ). გორელ სპორტსმენებს და მათ პირად მწვრთნელს მათივე დარბაზში ვეწვიეთ და საქართველოს ჩემპიონატზე საკუთარი ასპარეზობის თაობაზე ვესაუბრეთ.

**ვლადიმერ ხინჩეგაშვილი:** - ჩემპიონატი საკმაოდ საინტერესო ორთაბრძოლებით დატვირთული გამოდგა. პირადად მე ოთხი პაექრობა გავმართე და განსხვავებით პირველი ორისგან, როგორც მოსალოდნელი იყო, ნახევარფინალურმა და ფინალურმა შერკინებებმა უფრო დაძაბულ რიტმში ჩაიარა. საბედნიეროდ, ყველაფერი ჩემთვის კარგად დასრულდა და წონაში, რომელშიც ჩემი თანაქალაქელი და უფროსი მეგობარი ბესიკ გოჩაშვილი ასპარეზობს, ოქროს მედალი ისევ გორის გუნდს შევუნარჩუნე.

**— პირველი ტურნირი იყო ეს უფროსებში?**

— არა, პირველად შარშანდელ საქართველოს ჩემპიონატზე ვიასპარეზე. მაშინ ჩემმა მწვრთნელებმა გადაწყვიტეს, რომ ეს ჩემთვის გამოცდილების მისაღებად იქნებოდა საჭირო. ამიტომ, მართალია, მედალი არ მომიპოვებია, მაგრამ საყვედურები მაინც არ გამოუთქვამთ, ანუ როგორც თვითონ ნუგზარ სხირელმა მითხრა, მაშინ მათი მხრიდან მხოლოდ თხოვნა იყო, ახლა კი მოთხოვნა და ჩემპიონიც გავხდი. უფროსებთან მიღებულმა გამოცდილებამ ალბათ გარკვეული გავლენა შარშან ზაფხულში ჩემს მიერ მიღწეულ შედეგზეც იქონია, როდესაც ჩემ ასაკში (კადეტებში) მიღწეულ ევროპის ჩემპიონობას ერთ თვეში მივაყოლე ახალგაზრდებში ასევე ევროპული ოქრო და მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი.

**მალხაზ მუზიაშვილი:** *„ავადმყოფობის გამო ორი სეზონი გამიცდა და ქვეყნის ჩემპიონატის წინ, რადგან ასპარეზობის საშუალება მეძლეოდა, ხალიჩისადმი ერთგვარი მონატრების და დიდი ენთუზიაზმის გრძნობით შევუდექი ვარჯიშს. ვინაიდან 66 კგ წონით კატეგორიაში ოთარ თუშიშვილი არ ასპარეზობდა, ფავორიტად ერთხმად მიიჩნევდნენ შარშანდელ ევროპის პრიზიორს კობა კაკალაძეს. ცხადია, ჩემს უშუალო კონკურენტად მეც მას მივიჩნევდი. კობას ნახევარფინალში გადავეყარე და საყოველთაო შეფასებით დამაჯერებლადაც გავიმარჯვე. კაკალაძესთან მოგების მერე თანაგუნდელები უკვე ჩემპიონობას მილოცავდნენ და მართლაც ფინალში აღარ გამჭირვებია დასახული მიზნის შესრულება."*

**გიორგი მაყიშვილი:** - **ცუდია, რომ ჩემპიონი ვერ გავხდი, მაგრამ რა**საკვირველია ამ ხელმოცარვას თავისი მიზეზები ჰქონდა. მოგეხსენებათ, ჭიდაობაში არცთუ უმნიშვნელო როლს გამარჯვებაში კენჭისყრა, ანუ მონეტა ასრულებს. ნახევარფინალში მონეტა ჩემი მეტოქის სასარგებლოდ დაჯდა და მეც ველარ გამოვასწორე ვითარება. თუმცა, რა თქმა უნდა, აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ფალავანი თუ ძლიერია, გამარჯვება ყველა შემთხვევაში უნდა მოიპოვოს და ეს ფაქტორი ჩემს მარცხს არ ამართლებს. სხვათა შორის, შარშანდელ საქართველოს ჩემპიონატზეც მალხაზ ქურდიანთან წავაგე, ოღონდ ფინალში და ვერცხლის მედალს დავჯერდი.

**— როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ არენაზე ტიტულებს მრავლად აგროვებ, მაგრამ ბოლო ხანს მეორე-მესამე ადგილები უფრო მრავლად გაქვს და ჩემპიონობამდე სულ ცოტა გაკლდება...**

— ამ თვალსაზრისით ცოტა, ანუ ერთი ნაბიჯი მართლაც არ მყოფნის, მაგრამ ზოგადად თუ ვიმსჯელებთ, ჩემპიონობამდე ბევრი მიკლია. სამუშაო საკმაოდ მაქვს.

**ნუგზარ სხირელი:** - რასაკვირველია საქართველოს ჩემპიონატზე ჩვენი გუნდის გამოსვლით კმაყოფილი ვარ. მით უფრო, რომ იმ წონით კატეგორიებში, რომლებშიც ვდომინირებდით, მიუხედავად ლიდერთა არყოფნისა, ისევ პირველები ვართ. მახარებს ხინჩაგაშვილის წარმატება. 17 წლის ფალავანმა ქვეყნის ჩემპიონობა დამაჯერებლად მოიპოვა. ადრე ასეთი წარმატება ჩვენივე აღზრდილს დავით პოლოსონანს ჰქონდა, მაშინ მან ისე მოუგო საქართველოში თავისი წონის იმდროინდელ ფავორიტს, რომ ეჭვი შეიტანეს ასაკით დიდი ხომ არ არისო. ლადოს ასაკში, ცხადია, არავინ დაეჭვებულა, რადგან ცოტა ხნის წინათ ევროპასა და მსოფლიოს გააცნო უკვე თავი.

**— ლადოს წარმატებები მართლაც ნამდვილად თავბრუდამხვევად მოდის...**

— ჰოდა, თავბრუ რომ არ დაეხვეს, ცოტას დავასვენებთ. კერძოდ, ვურჩევთ, რომ ევროპის ჩემპიონატზე უფროსებში ასპარეზობისაგან თავი შეიკავოს. მას წლეულს ახალგაზრდებშიც საინტერესო შეჯიბრებები ელის. მათ შორის ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდებში, რომელიც წლეულს საქართველოში ტარდება და მასპინძლებს ღირსეულად გვმართებს გამოსვლა.

სასიამოვნო იყო მალხაზ მუზიაშვილის ხალიჩაზე ასეთი ომახიანი დაბრუნება ორწლიანი ავადმყოფობის შემდეგ. კაკალაძეს მან შესანიშნავ სტილში მოუგო. სხვათა შორის, იგი 74 კგ-ში ჭიდაობდა და წონის დაკლება თავისივე ინიციატივა იყო. კარგია, რომ სწორად გათვალა და გაუმართლა. გიორგი მაყიშვილისა კი მიკვირს, ნეტავი, თვითონ არ მობეზრდა II-III ადგილები? არადა აშკარაა, რომ მეტი შეუძლია, თუმცა მონდომება აკლია. მისი ჭიდაობის ტაქტიკა, შეიძლება ითქვას, ტაბლოზეა აგებული. რომ შეიძლებოდეს ტაბლოს გადავეფარებოდი, რომ დრო არ დაენახა და დაუყოვნებლივ გააქტიურდებოდა. სხვათა შორის ქურდიანთანაც ბოლო წამებში ისე გააქტიურდა, რომ შეხვედრა ათი წამით გვიან რომ დამთავრებულიყო, ორთაბრძოლას შემოატრიალებდა.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

**სპორტული ფედერაციების საყურადღებოდ!**

**„ლელო" ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი სპორტის სახეობის დღევანდელობა და წინსვლა, ფედერაციის ღვაწლი.**

**დაწვრილებითი ცნობებისთვის ისარგებლეთ ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.**

ფიგურული ციგურაობა




# ელენემ ევროპის ჩემპიონატი ჩააფლავა

18 წლის ქართველ მოციგურავეს, **ელენე გედევანიშვილს** ევროპის ჩემპიონატის წინ ფავორიტთა შორის მოიხსენიებდნენ, მან კი ისე ისრიალა... 24 სპორტსმენს შორისაც ვერ მოხვდა, რომ თავისუფალ პროგრამაში გამოსვლის უფლება მიეღო. არადა, ეს ცუდად დაწყებული სეზონის ლოგიკური გაგრძელებაა - ელენემ ამ სეზონში პარიზში მსოფლიოს თასის ეტაპზე 10 მონაწილეს შორის მე-7 ადგილი დაიკავა, საქმეს ვერ შველის ორ მეორეხარისხოვან შეჯიბრებაში კარგად გამოსვლა (ფინეთში მე-4 ადგილი და გერმანიაში გამარჯვება), რადგან იქ მას სუსტი მეტოქეები ჰყავდა.

მოკლე პროგრამაში ჩვენებურის პირადი რეკორდი 60,19 ქულაა. ასე კარგად მან ლიონში, 2006 წლის ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზა, მას შემდეგ რეკორდი ხელუხლებელია, მაგრამ ამხელა ჩამორჩენა საკუთარ მიღწევასთან ელენეს არასოდეს ჰქონია - გუშინ ჰელსინკის „ჰარტვალ არენაზე" პროგრამის შესრულებისთვის ჩვენებურმა მხოლოდ 37,20 ქულა მიიღო! ეს 41 მონაწილეს შორის მხოლოდ 25-ე ადგილისთვის გამოდგა საკმარისი. არადა, პროგრამულ კომპონენტებში ელენემ საკმაოდ კარგი შეფასება - 22,64 ქულა მიიღო (მე-7 შედეგი), მაგრამ ტექნიკურ ელემენტებში მხოლოდ 15,56 ქულა დაუწერეს, ამ მაჩვენებლით კი ქართველმა ოდენ 6 მოციგურავეს აჯობა. გედევანიშვილი მესამედ გამოდიოდა ევროპის ჩემპიონატზე, პირველად საფრანგეთში მან ნამდვილი სენსაცია მოახდინა, როცა მე-5 ადგილი დაიკავა, 2007-ში ჩვენებური მე-8 ადგილით დაკმაყოფილდა, შარშან კი იგი მე-7 იყო.

ფინური პუბლიკის გასახარად, არცთუ კარგად გამოვიდა ევროპის ორგზის ჩემპიონი, იტალიელი **კაროლინა კოსტნერი**, რომელმაც მხოლოდ 51,36 ქულას მოუყარა თავი. ასე რომ, შეჯიბრების პირველი დღის შემდეგ ორი ფინელი დაწინაურდა, **ლაურა ლეპისტო** 56,62 ქულით პირველია, ხოლო **სუზანა პოიკიო** 56,06 ქულით - მეორე. კოსტნერი ჯერჯერობით მესამე ადგილზეა.

ვაჟთა ევროპის ჩემპიონატი, სადაც წარუმატებელი დებიუტი ჰქონდა **ბექა შანყულაშვილს** (38-ე ადგილი), ფრანგმა **ბრაიან ჟუბერმა** მოიგო 232,01 ქულით. მეორე ადგილზე იტალიელი **სამუელ კონტესტი** გავიდა (220,92), პოდიუმზე მოხვდა ბელგიელი **კევინ ფანდერ პერენი** - 219,36 ქულა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ტყვიის სროლა

# სტუმარმა ისევ გვაჯობა

შარშან წლის მიწურულს პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში საქართველოს თასის ღია გათამაშებაზე აზერბაიჯანელმა **რუსლან ლუნიოვმა** პირველი ადგილი დაიკავა და მთავარი პრიზიც მოიპოვა. ბაქოელი სტუმარი ამჯერად საქართველოს ღია ჩემპიონატზეც გვეწვია და ჩვენს ბიჭებს ისევ აჯობა: გუშინ ექვსი სერიის შემდეგ იგი 567 ქულით პირველი შევიდა ფინალში. ლიდერს 2 ქულით ჩამორჩა **დავით ახვლედიანი**, 4 ქულით - - **ლევან ქადაგიძე**. გვეიმედებოდა, რომ ქართველი ჩუბინები გადამწყვეტ ეტაპზე უკეთ იასპარეზებდნენ. მოხდა კი პირიქით - ლუნიოვმა უახლოეს მდევართან სხვაობა 10 ქულამდე გაზარდა და 668,8 ქულით ოქროს მედალიც დაიმსახურა. „ვერცხლი" ახვლედიანს ხვდა, 657 ქულით მესამე ადგილი ქადაგიძეს ერგო. მეოთხე-მეხუთე ადგილები **ილია მაჭარაშვილმა** და **გივი ბურჭულაძემ** გაინაწილეს.

ჭაბუკებში საპრიზო სამეული ასეთია: **ბექარ გოგინაშვილი** - 556, **ჯუმბერ ოქრუაშვილი** - 539, **მიხეილ გიორგანაშვილი** - 537 ქულა.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო


მარცხნიდან: დავით ახვლედიანი, რუსლან ლუნიოვი, ლევან ქადაგიძე

კალათბურთი

საქართველოს თასი

# 2009 წელი რუსთავში დღეს იხსნება



გუშინდელ პრესკონფერენციაზე

ავტორის ფოტო

დღეს 2009 წლის საკალათბურთო სეზონი სათასო მატჩებით დაიწყება. მეოთხედფინალებში ერთმანეთს "ენერჯი"-შსს, ნტდ-"დინამო", "ავიამშენი"-"ბათუმი" და "სასოფლო"-თსუ უნდა დაპირისპირებოდნენ. თუმცა, ხვალ, ოთხიდან მხოლოდ სამი შეხვედრა გაიმართება – თსუ ფინანსური პრობლემების გამო ტურნირში მონაწილეობას არ მიიღებს. შესაბამისად, "სასოფლო" დღეს დაისვენებს და ნახევარფინალში "ენერჯი"-შსს-ს შორის გამარჯვებულს დაელოდება.

გუშინ ტოტალიზატორ "აჭარაბეთში" წინასათასო პრესკონფერენცია გაიმართა, რომელსაც 5 მწვრთნელი დაესწრო.

ჟურნალისტებთან შეხვედრა "სასოფლოს" თავკაცმა **მიხეილ კობეშავიძემ** გახსნა:

- აქამდეც არაერთხელ მითქვამს და დღესაც გავიმეორებ, რომ ყოველ მატჩზე მოსაგებად გავალთ. ყველა მეტოქესთან სერიოზული ბრძოლაა საჭირო. გვაქვს დანაკლისი – მენისკი აქვს დავით გვიმრაძეს, ოპერაცია სჭირდება და სეზონის ბოლომდე ვერ დაგვეხმარება. შამაგიეროდ, ამერიკიდან დაგვიბრუნდა მიხეილ ბერიშვილი, რომელიც უკვე ჩვენთან ვარჯიშობს. მას კოჭის მცირე ტრავმა აქვს და თასის მატჩებში დაგვეხმარება თუ არა, ჯერ არ ვიცით. არ გვეყოლება ტატო ჩაჩიბაია, რომელმაც ოპერაცია გაიკეთა და სარეაბილიტაციო ეტაპს გადის.

პრესკონფერენციის შემდეგ მიხეილ კობეშავიძე ჩაფიქრებული იყო – რადგან გავიგე, რომ თსუ თასზე თამაშს არ აპირებს, ხვალ თბილისში ვარჯიში დავნიშნე. თუკი თსუ-ს ოფიციალურად არ უთქვამს უარი ტურნირში მონაწილეობაზე, ხომ შეიძლება ბოლო მომენტში გადაიფიქროს, რუსთავში ჩავიდეს, ჩვენ იქ არ დავხვდეთ...

ასეთი რამ თითქმის წარმოუდგენელია, თუმცა პრესკონფერენციაზე ისიც ითქვა, რომ კალათბურთის ფედერაციის დებულების მიხედვით არგამოცხადების შემთხვევაში თსუ-ს 1000-დოლარიანი ჯარიმა "ერგება".

რუსთავის "ენერჯის" ამბები მთავარმა მწვრთნელმა **დავით უსტიაშვილმა** გვაცნობა:

- შემადგენლობაში ცვლილებები არ მომხდარა. 4 იანვარს შევიკრიბეთ და მას შემდეგ ვემზადებით. გვაქვს მცირე ტრავმები, რომლებმაც სრულყოფილად მომზადებაში ხელი შეგვიშალა. ტრავმირებულია კოტე ტულუშიც, რომლის მოედანზე გამოსვლა კითხვის ნიშნის ქვეშაა.

საქართველოს თასის შარშანდელი მფლობელი "ავიამშენია", რომლის მწვრთნელმა, **ლევან ქალისურმა** საუბარი **დავით ბერიშვილის** დამატებით დაიწყო:

- თსუ-დან დავით ბერიშვილი გადმოვიბირეთ, რომელიც თავის ტყუპისცალს, ირაკლის შეუწყვილდება. გუნდთან ერთად ვარჯიშობს ირაკლი ხოშტარია. მან ერთ-ერთ ამხანაგურ შეხვედრაში ითამაშა. პირველ მატჩში დაგვაკლდება თორნიკე ნინიაშვილი, რომელმაც საქართველოს ჩემპიონატში მსაჯთან მომხდარი ინციდენტის გამო დისკვალიფიკაცია მიიღო. როგორ ფორმაში ვართ და რა შედეგს მივაღწევთ, უშუალოდ თასის შეხვედრებისას გამოჩნდება.

რუსთაველთა დარად არც "დინამოს" შემადგენლობაში მომხდარა ცვლილებები. მოვუსმინოთ დილმელთა თავკაც **ზაზა ცაგარეიშვილს:**

- თასის გათამაშებას საქართველოს ჩემპიონატისთვის მზადებისთვის გამოვიყენებთ. შეიძლება მეოთხედფინალში ირაკლი სორდია დაგვაკლდეს, რომელმაც გუშინდელი ვარჯისისას თითი დაიზიანა. თუ ექიმი მოედანზე გამოსვლის უფლებას დართავს, სორდიას აუცილებლად ვათამაშებთ.

ბოლოს "ნტდ\თბილისის" მთავარმა მწვრთნელმა **ნუგზარ კანდელაკმა** ისაუბრა:

- გუნდი 5 იანვარს შევკრიბეთ და მას შემდეგ ინტენსიურად ვვარჯიშობთ. შემადგენლობაში ერთი ცვლილებაა – დავიმატეთ ცენტრი, სერგო ათუაშვილი, რომელიც აქამდე ესტონეთსა და ლიტვაში თამაშობდა. მცირე ტრავმები აქვთ ტაპირ ბახშიევსა და პლასიდე როდუმტას, თუმცა არა ისეთი, მოედანზე გამოსვლაში ხელი რომ შეუშალოს. ცხადია, სხვა გუნდების მსგავსად ჩვენი მიზანიც თასის მოგებაა.

| მატჩების განრიგი | |
|---|---|
| **24 იანვარი, რუსთავი** | |
| 1. 12:00 | სასოფლო-თსუ |
| 2. 14:00 | ნტდ-დინამო |
| 3. 16:00 | ავიამშენი-ბათუმი |
| 4. 18:00 | ენერჯი-შსს |
| **25 იანვარი, რუსთავი** | |
| 13:00 | 2-3 |
| 15:00 | 1-4 |
| 27 იანვარი, თბილისი, სპორტის სასახლე 16:15 | |

| ყველა ფინალი | |
|---|---|
| **2003 წელი** | |
| ბასკო-აზოტი | 85:77 |
| **2004 წელი** | |
| დინამო-სტუ | 75:72 |
| **2005 წელი** | |
| სტუ-ავიამშენი | 90:84 |
| **2006 წელი** | |
| თსუ-ავიამშენი | 81:79 (დ.დ.) |
| **2007 წელი** | |
| ავიამშენი-თსუ | 110:90 |

ვაჟა სიმონიშვილი




ლეგიონერი



# მარცხი ბასკებთან

ესპანეთის ჩემპიონატში მორიგი მატჩი გამართა **ვლადიმერ ბოისას** "მენორკამ". ბალეარის კუნძულელებმა საშუალო დონის "ბილბაოს" უმასპინძლეს. გულშემატკივარი დარბაზში მონატრებული გამარჯვების იმედად მივიდა, მაგრამ შინ განბილებული გაბრუნდა – "მენორკამ" ბასკებთან 64:68 დათმო. მატჩის ბედი მესამე პერიოდში გადაწყდა, რომელიც სტუმრებმა 16:9 მოიგეს. მეოთხე ათწუთეული "მენორკამ" 20:17 კი მოიგო, მაგრამ საბოლოო წარმატებისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

ვლადიმერ ბოისამ შეხვედრა სასტარტო შემადგენლობაში დაიწყო და მოედანზე 16 წუთი გაატარა. მან 1 სამქულიანი, 2 ორქულიანი ააცილა და მოედანი უქულოდ დატოვა. ვოვას აქტივში 3 მოხსნა დაფიქსირდა.

მატჩის სნაიპერი "მენორკას" გამთამაშებელი **პუხ ჯეტერი** გახდა, რომელმაც 17 ქულა ჩააგდო. ესპანეთის პირველობაზე 18 მატჩის შემდეგ ბალეარელებს მხოლოდ 5 მოგება აქვთ და სატურნირო ცხრილში მე-13 ადგილზე არიან.

ვაჟა სიმონიშვილი

სუმო



# გაგამარუს დივიზიონის მოგება შეუძლია

**ტოჩინოშინი** (ლევან გორგაძე) გააფთრებით იბრძვის იანვრის ბაშოზე, მან დარჩენილი ორი ორთაბრძოლაც უნდა მოიგოს, რომ კაჩი კოშის (დადებითი ბალანსი) შეწვდეს და რეიტინგში ალმასვლა გაინაღდოს. ლევანმა გუშინ ოსი რიკიში **არანი** დაამარცხა.

ტოჩინოშინი მე-11 მაეგაშირაა, მას დღეისათვის 6-7 ბალანსი აქვს, ასე რომ, მიზანი მიღწევადია. არანს ელიტის ყველაზე ახალგაზრდა წევრმა იორიკირის ილეთით აჯობა. დღეს ლევანის მეტოქე მე-9 მაეგაშირა **ტოსანოუმია** (5-8). ტოსანოუმი 37 წლის სრულდება, ერთ დროს მას სეკივაკეს ტიტულითაც უჭიდავია, ახლა კი მისი კარიერის დაისის დროა. სამ ურთიერთშეხვედრაში ორჯერ ქართველი გამოვიდა გამარჯვებული.

კოკაი კი კვლავ გვაკვირვებს, გუშინწინ მან მე-8 მარცხი იგემა და ამით მაკე კოში (უარყოფითი ბალანსი) გაიფორმა. გუშინ კი მან კარიერაში პირველად მოუგო კომუსუბი **კისენოსატოს** (6-7), თანაც მაშინ, როცა იაპონელთა იმედს გამარჯვება ყველაზე მეტად ესაჭიროებოდა. კოკაის 5-8 ბალანსი აქვს. დღეს მისი მეტოქე პირველი მაეგაშირა **კოტოშოგიკუა** (5-8).

იმპერატორის თასს კი ერთ-ერთი იოკოძუნა შემართავს. ეს მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც მონღოლმა **ასაშორიუმ** ზედიზედ მე-13 გამარჯვება მოიპოვა, მისი დანევა მხოლოდ ასაშორიუს თანამემამულეს, იოკოძუნა **ჰაკუჰოს** (12-1) ძალუძს, რომელმაც გუშინ ბულგარელი კოტოოშუ წააქცია.

გუშინ ბაშო დაასრულა მე-13 მაკუშიტა **გაგამარუმ** (თეიმურაზ ჯუღელი), რომელმაც ბწყინვალე საბოლოო შედეგი დააფიქსირა - 6-1. ბოლო ბრძოლაში მან ოშიდაშით დოჰიოდან **ტაკაკოიამა** გააძევა. სავარაუდოდ, ეს შედეგი საკმარისი არ იქნება ძურიოს დივიზიონის საგზურის მოსაპოვებლად. სამაგიეროდ, მას მესამე დივიზიონის მოგების შანსი გაუჩნდა. მაკუშიტაში მხოლოდ პირველი ნომერი **ფუკუოკა** (6-0) დარჩა დაუმარცხებელი, თუკი დღეს ფუკუოკა წააგებს, მაშინ 7 რიკიშს შორის საჩემპიონო პლეი ოფი გაიმართება და მათ შორის გაგამარუც იქნება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

**ჰაცუ ბაშო (იანვრის სუპერტურნირი)**
11-25 იანვარი. ტოკიო (იაპონია)

XIII დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: კოკაი (მ 4)-კისენოსატო (კ) 1:0 (იორიკირი); ტოჩინოშინი (მ 11)-არანი (მ 6) 1:0 (იორიკირი); ჰაკუჰო (ი)-კოტოოშუ (ო) 1:0; ასაშორიუ (ი)-ჩიოტაიკაი (ო) 1:0; გოეიდო (მ 3)-კაიო (ო) 1:0; ჰარუმაფუჯი (ო)-ტაკეკაძე (მ 3); კიოკუტენჰო (მ 1)-ბარუტო (ს) 1:0; კოტოშოგიკუ (მ 1)-მიაბიამა (მ 2); იოშიკაძე (მ 2)-ფუტენო (მ 5) 1:0; ტაკამისაკარი (მ 5)-ვაკანოსატო (მ 4) 1:0; ჰომაშო (მ 16)-ჰოკუტორიკი (მ 7) 1:0; ტამანოშიმა (მ 15)-ტოსანოუმი (მ 9) 1:0.

სატურნირო მდგომარეობა: 13-0: ასაშორიუ (იოკოძუნა). 12-1: ჰაკუჰო (იოკოძუნა). 10-3: გოეიდო (მაეგაშირა 3); ტამანოშიმა (მ 15); ჰომაშო (მ 16). 9-4: კოტოოშუ (ოძეკი); ჰოკუტორიკი (მ 7); ტოჩიოძანი (მ 12). ... 6-7: ტოჩინოშინი (მ 11)... 5-8: კოკაი (მ 4).

XIV დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: კოკაი (მ 4)-კოტოშოგიკუ (მ 1); ტოჩინოშინი (მ 11)-ტოსანოუმი (მ 9); ასაშორიუ (ი)-კაიო (ო); ჰაკუჰო (ი)-ჩიოტაიკაი (ო); კოტოოშუ (ო)-ჰარუმაფუჯი (ო); ბარუტო (ს)-მიაბიამა (მ 2); კისენოსატო (კ)-გოეიდო (მ 3); კიოკუტენჰო (მ 1)-ფუტენო (მ 5); იოშიკაძე (მ 2)-ბუშუიამა (მ 6); ტაკეკაძე (მ 3)-არანი (მ 6); ვაკანოსატო (მ 4)-ასასეკირიუ (მ 8); ტოჩიოძანი (მ 12)-ტაკამისაკარი (მ 5); დეჯიმა (მ 7)-ტამანოშიმა (მ 15).

ძიუდო

მსოფლიოს თასი

# ცვლილებებით მობრძანდა...

- ახალი წესებით მეტ სპორტსმენს ეხსნება გზა დიდი სარბიელისკენ
- კოკა წყალს ველარ მოიტანს, ვაზარს კბილებით იცავენ, იუკოს და იპონს გაუმარჯოს!

**დღეს და ხვალ თბილისის სპორტის სასახლეში ძიუდოისტთა მსოფლიოს თასი გათამაშდება. ქომაგები ბევრ სიახლეს იხილავენ ტატამზე. ახალი სეზონიდან თუ რა ცვლილებებია ძიუდოში, ამის შესახებ გვესაუბრება ევროპის ძიუდოს კავშირის ტალინელი სპორტული დირექტორი ინდრეკ პერტელსონი, რომელიც ტურნირმდე რამდენიმე დღით ადრე გვეწვია.**



**- მსოფლიოს თასის გათამაშებაზე უწინ მხოლოდ მასპინძელს შეეძლო თითოეულ წონაში 4-4 სპორტსმენის გამოყვანა. ახლა კი ამის საშუალება სხვა გუნდებსაც მიეცათ. რამ გამოიწვია ეს?**

- სპორტი კარგა ხანია, პროფესიად იქცა. ათლეტებს თავის რჩენა უჭირთ. საერთაშორისო სარბიელზე გასვლის შანსი მხოლოდ ერთეულებს ეძლეოდათ, სხვათა უფლებები კი, ფაქტობრივად, იზღუდებოდა. ახლა უფრო მეტ სპორტსმენს ეხსნება გზა დიდი სარბიელისკენ.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ახალ ოლიმპიურ ციკლში სალიცენზიო ქულების დარიცხვის სისტემა საგრძნობლად შეიცვალა. ლონდონის თამაშებისთვის საგზურს იღებს არა სახელმწიფო, როგორც უწინ, არამედ სპორტსმენი, ამიტომაც მოიხსნა შეზღუდვები - ამჯერად ერთბაშად ქვეყნის ოთხ ძიუდოისტს სალიცენზიო ქულების დაგროვებისა და რეიტინგის გაუმჯობესების შანსი ეძლევა, რაც ნაკრების მესვეურებს მსოფლიოს და კონტინენტური ჩემპიონატებისთვის გუნდების დაკომპლექტებასაც გაუადვილებს.

**- სარეიტინგოდ ქულები როგორ დაირიცხება?**

-აქმთელი სისტემაა შექმნილი, ამიტომ მხოლოდ პირველი ადგილებისთვის მოგახსენებთ: მსოფლიოს თასზე გამარჯვებისთვის სპორტსმენს 100 ქულა ერიცხება, სუპერთასზე - 200, დიდ სლემზე - 300, მასტერსზე - 400, კონტინენტის ჩემპიონატზე - 180, მსოფლიოს ჩემპიონატზე - 500 და ოლიმპიურ თამაშებზე - 600 ქულა. საგულისხმოა ისიც, რომ ძიუდოისტს წლის ბოლოს დაგროვილი ქულების 25 პროცენტი ჩამოეჭრება, რომ სხვებთან თანაბარ მდგომარეობაში აღმოჩნდეს.

ევროპის ჩემპიონატის ჩათვლით ძველი რეიტინგი იმოქმედებს და შეჯიბრებებზე განთესვაც ამის მიხედვით მოხდება. პირველი მაისიდან კი ახალი რეიტინგი ამოქმედდება, 2009 წლის ოთხ თვეში მოგროვებული ქულებით.

**- უწინ მწვრთნელი შეგირდს ტატამამდე მიჰყვებოდა, ახლა ეს აიკრძალა. რატომ?**

- რამდენიმე ფაქტორთან არის დაკავშირებული. კერძოდ, ძიუდოს ფუძემდებლის ძიგარო კანოს სურვილი იყო, მებრძოლები სხვათა დაუხმარებლად დაპირისპირებოდნენ ერთმანეთს. ახალი წესით ეს სამართლიანობა აღდგა. ცვლილების ინიციატორებმა ისიც გაითვალისწინეს, რომ შეჯიბრების მსვლელობისას ბევრი მწვრთნელი თავს ვერ იკავებს - ადგილზე ხტის, მსაჯს ედავება...

**- კი მაგრამ, ეს ხომ ემოციაა, რაც უხდება კიდეც შეჯიბრებას...**

- გეთანხმებით, მაგრამ ზოგჯერ ყოველივე დასაშვებ ნორმებს სცილდება: მწვრთნელი იგინება, რაც ყურს სჭრის ქომაგებს დარბაზში, ასევე, ტელემაყურებლებს... ერთი სიტყვით, რადგანაც ეს საკითხი დადგა დღის წესრიგში, გამოდის, რომ მტკივნეული პრობლემაა და მისი მოგვარებაც აუცილებელია. ვნახოთ, პირველი შეჯიბრებები რა შედეგებს მოგვცემს.

**- იქნებ, ჭიდაობის წესებში შეტანილ სხვა ცვლილებებზეც გვითხრათ რამე.**

- დავიწყოთ იმის, რომ გაუქმდა კოკა და პირველ გაფრთხილებაზე მეტოქეს ქულა არ ეძლევა. ალბათ, დამეთანხმებით, რომ ხშირად „კოკა“ დავას იწვევდა, რადგან უფრო სუბიექტური იყო. თანაც იგი თავიდან შეფასების სისტემაში არც ყოფილა, ამიტომაც მის გაუქმებაზე იაპონელებს პროტესტი არ გამოუთქვამთ. საერთოდ, ახლა იმაზეც ფიქრობენ, რომ მხოლოდ ორი შეფასება დატოვონ - იუკო და იპონი, თუმცა ძიუდოს ფუძემდებლები ჯერჯერობით ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგებიან - ვაზარს კბილებით იცავენ. ვნახოთ, მომავალში რა მოხდება.

სამართლიანად მიმაჩნია პირველი შიდოს შეფასების სისტემიდან ამოღება. მიზანი უნდა იყოს არა პასიურობისთვის სპორტსმენის დასჯა, არამედ აქტიურობით ქულების მოგროვება. ისიც საკმარისია, რომ მეორე გაფრთხილება ქულას იძლევა.

იცით, რომ შარვალში ხელის ჩავლებაც აიკრძალა. ესეც მართებულად მიმაჩნია, რადგან ბევრი სპორტსმენი ამით მხოლოდ შეტევის იმიტაციას ახდენდა, არადა, ფაქტობრივად, თავს იცავდა და მეტოქეს შეტევის საშუალებას არ აძლევდა. კიდევ ერთხელ გავიმეორებ - შარვალში ხელის ჩავლება არ შეიძლება, თორემ ფეხზე ხელის წავლებით ილეთის ჩატარება არავის აუკრძალავს. ახალი წესის შემოღება ძიუდოს უფრო დინამიკურს და ვაჟკაცურს გახდის, თორემ წლების განმავლობაში მოჭიდავეები ისე მოიხარნენ წელში, რომ ტატამზე კითხვის ნიშანს დაემსგავსნენ, ერთმანეთს ჭიდაობის საშუალებას არ აძლევდნენ. ახლა კი სპორტსმენები პირისპირ წელგამართული დადგებიან და უფრო ეფექტური ორთაბრძოლების მოწმენიც გავხდებით. ცხადია, პირველ შეჯიბრებებზე ამის მიღწევა გაჭირდება, მაგრამ თანდათან ყველაფერი დაიხვეწება.

რამდენჯერ გვინახავს, შეჯიბრებები ადრე დილიდან გვიან საღამომდე რომ გაგრძელებულა. წლევანდლიდან ასე აღარ იქნება, რადგან რეპეშაჟში მხოლოდ მეოთხედფინალში დამარცხებული სპორტსმენები ჩაებმებიან, ანდა, სულაც ნახევარფინალში წაგებულებმა პირდაპირ შეიძლება მიიღონ ბრინჯაოს მედლები. მნიშვნელოვანია ისიც, რომ დამატებითი დრო სამ წუთამდე შემცირდა. ვისაც მოგება შეუძლია, ესეც სრულიად საკმარისია. თანაც გულშემატკივრებიც არ გადაიღლებიან.

რაც გითხარით, ყველა ამ ცვლილებას თბილისის ტურნირზე ვიხილავთ. იმედია, გულშემატკივრები დადებითად აღიქვამენ მათ. თუმცა წესებში სხვა სიახლეც არის მოსალოდნელი. ყველაფერი იმისთვის კეთდება, რომ ძიუდო უფრო მოქნილი და თვალსასეირო გახდეს.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

ჭადრაკი

# მოსაწყენად ვინ მოგაცლის...

მეშვიდე ტური: ვაჟები: **დავით ბენიძე-ლევან ფანცულაია-1:0; ლევან ბრეგაძე-მიხეილ მჭედლიშვილი-0:1; ინგა ჭარხალაშვილი-კონსტანტინე შანავა-0:1; შოთა აზალაძე-დავით არუთინიანი-0,5:0,5; თორნიკე სანიკიძე-გიორგი მარგველაშვილი-0,5:0,5; გიორგი ბალათუროვი-მერაბ გაგუნაშვილი-0:1; დავით მალალაშვილი-გაიოზ ნიგალიძე-1:0.**

გუშინ დაფებს მხოლოდ ვაჟები უსხდნენ, რადგანაც ქალბატონები ისვენებდნენ, - შეგახსენებთ, რომ ქალთა ტურნირი 11 წრედ ტარდება და ისინი ვაჟებზე ადრე ასრულებენ პაექრობას, აქედან გამომდინარე, ტურნირის შუა წელში, როგორც მიღებულია ჭადრაკში, დასვენების დღე ცხადდება. ქალბატონთა არყოფნას შეიძლებოდა ინტერესი დაეცხრო ტურნირისათვის, მაგრამ ასე არ მოხდა. გარეშე მყოფს ნამდვილი სპორტული ასპარეზობა სურს იხილოს და თუ სტარტზე აშკარა დეფიციტი შეინიშნებოდა ამ მხრივ, „მიტელშპილში“ დუღს და გადადუღს ასპარეზი. არ დაგიმალავთ და ამ საქმეში ჩვენი წვლილიც შეინიშნება - გარიგებული ყაიმების წინააღმდეგ ხმამაღლა გავილაშქრეთ, რასაც ფედერაციის რეაქცია მოჰყვა,- მოჭადრაკეებს მკაცრი გაფრთხილება მიეცათ და დასჯით დაემუქრნენ. შედეგი აშკარაა, რასაც თავად მონაწილენიც მიდასტურებენ პრივატულ საუბრებში. სხვათა შორის, შესაძლოა, დღეს მავანმა თითზეც კი იკბინოს, რომ პირველ ტურებში თავი არ გადადო და იფიქრა, რომ საჭირო ქულათა მარაგს მომდევნო შეხვედრებში, შედარებით სუსტ მოჭადრაკეებთან პაექრობაში მოიპოვებდა. ბევრს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, თუმცა ის, რაც **ლევან ფანცულაიას** დაემართა, რას მივაწეროთ, რთული სათქმელია. **დავით ბენიძესთან** ეტლების ენდშპილში ერთი ზედმეტი პაიკით და მოგებული პოზიციით გადავიდა, მაგრამ ისეთი სვლა გააკეთა, რომელსაც ვერავინ იფიქრებდა - ინიციატივა დათმო და მეტოქის პაიკი ლაზიერში გაექცა(?!) არადა, ამის პერსპექტივა არ იყო... ასეა თუ ისე, ლევანი შეცდა და ზედიზედ მეორედ წააგო.

მეშვიდე ტურში 5 შედეგიანი პარტია ვიხილეთ, რაც აქამდე არ მომხდარა. როგორც იტყვიან, ფავორიტებმა წელი წამოიდგეს და კლანჭებიც გამოაჩინეს.

*ვაჟთა სატურნირო მდგომარეობა შვიდი ტურის შემდეგ:* **1-2. მერაბ გაგუნაშვილი, მიხეილ მჭედლიშვილი - 4,5-4,5; 3-5. ლევან ფანცულაია, გიორგი მარგველაშვილი, ლევან ბრეგაძე - 4-4; 6-11. დავით მალალაშვილი, დავით არუთინიანი, დავით ბენიძე, გიორგი ბალათუროვი, შოთა აზალაძე, თორნიკე სანიკიძე - 3,5-3,5; 12-13. კონსტანტინე შანავა, გაიოზ ნიგალიძე - 3-3; 14. ინგა ჭარხალაშვილი - 1,5.**

დღეს ერთმანეთს ხვდებიან: ქალებში: სოფიო გვეტაძე - სალომე მელია; სოფიკო გურამიშვილი - მერი არაბიძე; ნონა გაფრინდაშვილი - ნაზი პაიკიძე; სოფიკო ხუხაშვილი - მარიამ დანელია; ნინო ხურციძე - მირანდა მიქაძე; მაია ლომინეიშვილი - ქეთი წაწალაშვილი.

ვაჟებში: **ლევან ფანცულაია - შოთა აზალაძე; მიხეილ მჭედლიშვილი; კონსტანტინე შანავა - ლევან ბრეგაძე; დავით მალალაშვილი - ინგა ჭარხალაშვილი; დავით არუთინიანი - თორნიკე სანიკიძე; გიორგი მარგველაშვილი - გიორგი ბალათუროვი; გაიოზ ნიგალიძე - მერაბ გაგუნაშვილი.**

**ზვიად შათირიშვილი**

რაგბი

ინტერვიუ ლევან დათუნაშვილთან

# მეორე ადგილზე ლაპარაკიც არ უნდა იყოს

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის მეორე დივიზიონში მოასპარეზე „ორიაკში“, საქართველოს ნაკრების მეორეხაზელი ლევან დათუნაშვილი მიმდინარე სეზონის დაწყებამდე ჩაირიცხა. თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა. რამდენიმე თამაშშიც მიიღო მონაწილეობა და გუნდი ერთპიროვნულად ლიდერობდა. მერე ლევანი შემადგენლობიდან გაქრა და გუნდმაც ნელ-ნელა ლიდერის პოზიციები დათმო. ყოველივე ამის მიზეზებსა და სანაკრებო თემაზე ლევან დათუნაშვილმა თვითონ გვიამბო.**

- სეზონის დაწყებამდე მოსამზადებელ ეტაპზე „ორიაკმა“ ოთხი შეხვედრა გამართა, რომელთაგან სამში მივიღე მონაწილეობა. მერე ოფიციალურ შეხვედრებშიც ვითამაშე, მაგრამ ერთ-ერთ ტურში „ალბის“ წინააღმდეგ მატჩში კოჭი დავიზიანე. ტრავმის მოშუშებას ორი თვე დასჭირდა. ამასობაში მწვრთნელებმა ოპტიმალური შემადგენლობა ჩამოაყალიბეს. გუნდი წარმატებით განაგრძობდა ასპარეზობას. ამიტომ მწვრთნელები შემადგენლობას არ ცვლიდნენ. შესაბამისად, თამაშის შანსიც არ მომეცა.

**- ეს დასაწყისში. ბოლო ხანს „ორიაკმა“ რამდენიმე წარუმატებელი შეხვედრა გამართა და ამჟამად საპლეიოფო ხუთეულის მიღმაა დარჩენილი...**

- დიახ ასეა. „ორიაკმა“ ზედიზედ ოთხი შეხვედრა წააგო და ლიდერობა დაკარგა. ამის მიზეზი მარტივია. ერთი და იმავე შემადგენლობით მოასპარეზე გუნდი უბრალოდ დაიღალა. არადა, ათი ტურის განმავლობაში სულ პირველ ადგილზე ვიყავით. როგორც ჩანს, მწვრთნელებს სერიოზული ცვლილებების განხორციელება მოუწევთ. როგორც მათი ლაპარაკიდან ვხვდები, შემადგენლობაში ბევრი ისეთი მორაგბე გამოჩნდება, ვისაც აქამდე თამაშის შანსი არ ჰქონია. არადა, „ორიაკში“ ძალიან დიდი კონკურენციაა. ერთ ადგილზე ხუთი მოთამაშე მოდის. ბევრი ლეგიონერი გვყავს. მათ შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი სამხრეთაფრიკელები არიან. მათთან კონკურენცია კი რაოდენ რთულია, ყველამ კარგად იცის.

**- „ორიაკის“ ხელმძღვანელები მიზნად ელიტურ, პირველ დივიზიონში გადასვლას ისახავენ?**

- არა, წლეულს ამაზე არც ვოცნებობდით. ამჯერად გუნდის ხელმძღვანელების მიზანი კარგი, მობილური გუნდის შექმნა იყო, რომელიც მომავალ სეზონში უკვე რეალურად იბრძოლებდა პირველ დივიზიონში გადასასვლელად. იმ მოთამაშეებს, რომლებსაც ერთწლიანი კონტრაქტი ჰქონდათ და მოეწონათ ხელშეკრულებები გაუგრძელეს. ისე, პლეი ოფში თუ გავალთ, ვფიქრობ, კარგი შედეგი იქნება. თანაც გამოცდილებას შევიძენთ, რაც მომავალ სეზონში ფსიქოლოგიურად დიდად წაგვადგება.

**- როგორც ჩანს, მომავალ სეზონშიც „ორიაკში“ აპირებთ თამაშს. დარჩებიან თუ არა გუნდში სხვა ქართველებიც: გიორგი ჟღენტი და მალხაზ ურჯუკაშვილი?**

- „ორიაკთან“ თავიდანვე ორწლიანი ხელშეკრულება მქონდა გაფორმებული და, ცხადია, ის ძალაშია. რაც შეხებათ ჟღენტს და ურჯუკაშვილს, მათი საკითხი გადაწყვეტილი ჯერ არ არის. სავარაუდოდ, ალბათ, ორივე „ორიაკში“ გააგრძელებს კარიერას.

**- რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ეროვნულ ნაკრებში ხართ გამოძახებული, რომელიც 7 და 14 თებერვალს ერთა თასზე შესაბამისად გერმანიისა და პორტუგალიის ნაკრებებს დაუპირისპირდება. კლუბიდან რაიმე პრობლემა ხომ არ შეგექმნება?**

- არა, პრობლემას კლუბი არ შემიქმნის. უკვე ყველაფერზე მოვილაპარაკე მწვრთნელთან და კლუბის პრეზიდენტთან. მართალია, დიდი ხნის უთამაშებელი ვარ, მაგრამ, გარწმუნებთ, ბევრად უკეთეს ფორმაში ვარ ვიდრე შარშან, ფედერალ 1-ის „მონლუსონში“ რომ ვთამაშობდი. მშვენიერი სავარჯიშო პირობები გვაქვს. გუნდი კვირაში რვაჯერ ვარჯიშობს, რაც საშუალებას გვაძლევს მუდამ ტონუსში ვიყოთ.

**- როგორ ფიქრობთ, შეძლებს საქართველოს ნაკრები მსოფლიო თასის საგზურის მოპოვებას?**

- მსოფლიოს თასის საგზურს პირველ და მეორე ადგილზე გასული გუნდები იღებენ. ჩვენ ამჟამად იმდენად ძლიერი ნაკრები გვყავს, მეორე ადგილზე ლაპარაკიც არ უნდა იყოს. თუმცა სიტუაცია უფრო ცხადი პირველი წრის დასრულების შემდეგ გახდება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჩოგბურთი

# ოქსანამ ფლორიდა დატოვა

18 წლის ოქსანა კალაშნიკოვა (394) საბოლოოდ დაემშვიდობა ლუცის (აშშ) საერთაშორისო ტურნირს (25 ათასი $). ერთეულთა თანრიგის საკვალიფიკაციო ბატალიების და ძირითადი ბადის პირველ წრეში მარცხის შემდეგ, ოქსანამ წყვილთა თანრიგის მეოთხედფინალშიც წააგო. ჩვენებურმა და ამერიკელმა **ლენა ლიტვაკმა** (405) მეორე ნომრად განთესილ ამერიკელებთან (**ქრისტინა ფუსანო, ანჯელა ჰეინესი**) დათმეს - 3:6, 5:7 და ნახევარფინალის საგზური ვერ მოიპოვეს. კალაშნიკოვა ფლორიდიდან კალიფორნიის ქალაქ ლაგუნა ნაიჯელში წავა, სადაც საერთაშორისო ტურნირში (25 ათასი $) იასპარეზებს, იქ ოქსანა საკვალიფიკაციო ბადიდან ჩაებმება ტურნირში.



**ნიკოლოზ ნეფარიძე**

გამოიწერეთ

ნებისმიერი ნომრიდან და მიიღეთ თქვენთვის სასურველ მისამართზე ფასნამატის გარეშე!

3 თვით - 39 ლარი
6 თვით - 78 ლარი
1 წლით - 156 ლარი

„ელვა ჯი“
www.elva.ge
tel: 38 26 73, 38 26 74
fax: 38 08 63

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა



# ანა ვენუსის გზას გაუყვა

ავსტრალიის ღია პირველობის ქალთა ბადეში ბოლო ორი დღის განმავლობაში ზედიზედ მეორე სენსაცია მოხდა. ამჯერად ტურნირს გამოეთიშა შარშანდელი ფინალისტი, სერბი **ანა ივანოვიჩი**.

როლან გაროსის ჩემპიონმა 19 წლის რუს **ალისა კლეიბანოვასთან** შეხვედრაში უამრავი შეცდომა დაუშვა და მარცხი მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დააბრალოს. საკმარისია აღინიშნოს, რომ სამსეტიან შეხვედრაში ივანოვიჩმა ცხრაჯერ (!) წააგო გეიმი საკუთარ მოწოდებაზე და ამას 50 უნებლიე შეცდომა დაუმატა. ანას დონის ჩოგბურთელს ასეთი თამაში არ ეკადრება.

ივანოვიჩს გაუმართლა, თორემ მეორე სეტში დაასრულებდა ბრძოლას. სერბმა 0:3-დან შეძლო ანგარიშის გათანაბრება. შემდეგ კლეიბანოვა 6:5-ზე მატჩზე აწვდიდა, მაგრამ თამაშის ორ სეტში მოგების რეალური შანსი დაკარგა. ტაი-ბრეიკში ივანოვიჩმა გატეხა რუსის წინააღმდეგობა და თითქოს ფსიქოლოგიური უპირატესობაც უნდა მოეპოვებინა, მაგრამ მატჩი იმავე სცენარით გაგრძელდა. კლეიბანოვა ისევ 3:0 დაწინაურდა, მაგრამ წინა სეტში დაშვებული შეცდომები აღარ გაიმეორა და დამაჯერებლად მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე.

კლეიბანოვას კარიერაში ეს "დიდი სლემის" რიგით მესამე ტურნირია. სხვათა შორის, ის უკვე მეორედ ითამაშებს ასეთი დონის ტურნირის მერვედფინალში. შარშან რუსმა უიმბლდონზე გააღწია ამავე ეტაპზე.

*"ეს მატჩი უმნიშვნელოვანესი იყო ჩემს ცხოვრებაში. ეს ღამე არასოდეს დამავიწყდება"*, - განაცხადა მატჩის შემდეგ კლეიბანოვამ, რომელიც მერვედფინალში **ელენა დოკიჩს** შეხვდება.

დოკიჩმა კიდევ ერთხელ გაახარა ავსტრალიური პუბლიკა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ შედგა დიდ ჩოგბურთში სკანდალურად ცნობილი ავსტრალიელის დაბრუნება. დიდი ხნის უთამაშებელმა ელენამ ზედიზედ ორი განთესილი მოთამაშე გამოთიშა ტურნირს. **ანა ჩაკვეტაძის** შემდეგ, მან ჩემოდნები ჩაალაგებინა ბოლო პერიოდში დაწინაურებულ დანიელ **კაროლინ ვოზნიაჩკის**.

სამაგიეროდ, სენსაციებით ვერ გვანებივრებს კაცების ტურნირი და ეს კარგიცაა. მერვედფინალიდან აქ დიდი ბრძოლები გაიმართება, რადგან სატურნირო ბადეს საუკეთესოები შემორჩნენ.

მოლოდინი არ გაამართლა ცენტრალურ მატჩად მონათლულმა **როჯერ ფედერერისა** და **მარატ საფინის** დაპირისპირებამ. შვეიცარიელს მხოლოდ ბოლო სეტში მოუწია ტაიბრეიკის თამაშმა, საერთო ჯამში კი იოლი გასეირნება გამოუვიდა.

22 ეისი გააკეთა ფრანგ ვეტერან **ფაბრის სანტოროსთან** მატჩში **ენდი როდიკმა** და ახლა ესპანელ **ტომი რობრედოს** შეხვდება, რომელმაც სულ ექვსი გეიმი დაუთმო **დავიდ ნალბანდიანის** მძლეველ ტაივანელ **ლუს**.

ტურნირზე პირველი სეტი წააგო მოქმედმა ჩემპიონმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა**. მისი მეტოქე ბოსნიური წარმოშობის ამერიკელი **ამერ დელიჩი** იყო. ამ მატჩთან დაკავშირებით, ავსტრალიურმა პოლიციამ უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მიიღო, რადგან ყველას კარგად ახსოვდა სერბი **იანკო ტიპსარევიჩისა** და ხორვატი **მარიო ანჩიჩის** მატჩის შემდეგ გულშემატკივრებს შორის ატეხილი ჩხუბი.

მაგრამ ამჯერად ყველაფერმა ექსცესების გარეშე ჩაიარა, თავად შეხვედრა კი ჯოკოვიჩმა ოთხ სეტში მოიგო და წინ ურთულესი მატჩი ელის ავსტრალიის ღიას ყოფილ ფინალისტ **მარკოს ბაღდატისთან**.

**III წრე**

**კაცები**

**ენდი როდიკი (აშშ, 7)**-ფაბრის სანტორო (საფ) 6:3, 6:4, 6:2; **ტომი რობრედო (ესპ, 21)**-იენ-ჰსუნ ლუ (ტაივ) 6:1, 6:3, 6:2; **მარკოს ბაღდატისი (კვიპ)**-მარდი ფიში (აშშ, 23) 6:2, 6:4, 6:4; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 3)**-ამერ დელიჩი (აშშ) 6:2, 4:6, 6:3, 7:6 (4); **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 8)**-ჟილ მიულერი (ლუქ) 6:7 (5), 7:5, 6:3, 7:5; **მარინ ჩილიჩი (ხორ, 19)**-დავიდ ფერერი (ესპ, 11) 7:6 (5), 6:3, 6:4; **ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 20)**-სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 15) 4:6, 6:1, 6:3, 6:4; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 2)**-მარატ საფინი (რუს, 26) 6:3, 6:2, 7:6 (5).

**III წრე**

**ქალები**

**ელენა იანკოვიჩი (სერ, 1)**-აი სუგიამა (იაპ, 26) 6:4, 6:4; **მარიონ ბარტოლი (საფ, 16)**-ლუსი საფაროვა (ჩეხ) 3:6, 6:2, 6:1; **ნადია პეტროვა (რუს, 10)**-გალინა ვოსკობოევა (რუს) 6:1 ვოსკობოევას უარი; **ვერა ზვონარევა (რუს, 7)**-სარა ერანი (იტა) 6:4, 6:1; **დინარა საფინა (რუს, 3)**-კაია კანეპი (ესტ, 25) 6:2, 6:2; **ალიზ კორნე (საფ, 15)**-დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 19) 4:6, 6:4, 6:2; **ელენა დოკიჩი (ავსტრა)**-კაროლინ ვოზნიაჩკი (დან, 11) 3:6, 6:1, 6:2; **ალისა კლეიბანოვა (რუს, 29)**-ანა ივანოვიჩი (სერ, 5) 7:5, 6-7 (5), 6:2.

ავტოსპორტი

# სად გაიმართება დაკარი 2010?

როგორც ცნობილია, წელს ლეგენდარული რალი-რეიდი დაკარი პირველად ჩატარდა არა აფრიკის, არამედ სამხრეთ ამერიკის ტერიტორიაზე. ჯერჯერობით რბოლის ორგანიზატორებს სამომავალო გეგმების შესახებ არაფერი უთქვამთ. სავარაუდოდ, "დაკარი 2010"-ის ჩატარების ადგილი ორსამ კვირაში გახდება ცნობილი.




თუმცა ფრანგული გამოცემა "ეკიპის" ვარაუდით, რალი-რეიდი ისევ სამხრეთ ამერიკის გზებზე გაიმართება, ოღონდ გეოგრაფია გაფართოვდება. 2009 წელს რბოლა ორი ქვეყნის - არგენტინისა და ჩილეს ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. აფრიკისგან განსხვავებით, სამხრეთ ამერიკაში ყველაფერი განსხვავებულია - ქვიშა, ღორღიანი გზები... და კიდევ, იქ არის ძალიან ბევრი მტვერი, რაც გასწრებებს უშლის ხელს.

საერთო ჯამში, სამხრეთამერიკულმა დაკარმა მონაწილეებზე სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა. ცხადია, რომ რბოლამ გულშემატკივრების დიდი ინტერესი გამოიწვია - რალი-რეიდის სტარტის დღეს, ბუენოს აირესის ქუჩებში ნახევარი მილიონი ადამიანი გამოვიდა. სხვა დღეებშიც, 45-გრადუსიანი სიცხის მიუხედავად, გულშემატკივრები ოჯახებთან ერთად იკავებდნენ ადგილს ტრასის მიღმა.

რაც შეეხება ნეგატიურ შთაბეჭდილებებს, ეს, პირველ რიგში, ეტაპებზე ჩქაროსნული მონაკვეთების შემცირებასა და გაუქმებაში მდგომარეობდა. თავიდან შედგენილი მარშრუტის ამდენჯერ შეცვლა არც ერთ წინა დაკარზე არ ყოფილა.

ა, ასეთი გახლავთ "ეკიპის" თვალით დანახული **"დაკარი 2009"**.

ჰოკეი

# ოლ სტარს კროსბიც გამოაკლდა

"პიტსბურგ პინგვინზის" ლიდერი **სიდნი კროსბი** მესამე ჰოკეისტი გახდა, ვინც კვირას მონრეალის არენაზე დანიშნულ "ყველა ვარსკვლავის მატჩს" გამოტოვებს.

ჰოკეის ეროვნული ლიგის უპირველეს ვარსკვლავს კლუბის ექიმებმა არ ურჩიეს "ოლ სტარზე" თამაში. კროსბის მუხლი აწუხებს და მისთვის უმჯობესი იქნება, თუ 4-5 დღე ყინულზე გასვლისგან თავს შეიკავებს - ასეთი იყო ექიმების რჩევა. მცირე ყოყმანის შემდეგ კროსბიმ "ყველა ვარსკვლავის მატჩის" გამოტოვება გადაწყვიტა. სხვათა შორის, სიდნის ასევე ტრავმის გამო არც შარშან უთამაშია "ოლ სტარზე".

"პიტსბურგს" არც ისე სახარბიელო სატურნირო მდგომარეობა აქვს - "პინგვინები" პლეი ოფის ზონის მიღმა იმყოფებიან და ბუნებრივია, ასეთ საპასუხისმგებლო მომენტში არ სურთ თავიანთი ლიდერის დიდი ხნით დაკარგვა. ამ მომენტისთვის კროსბი ლიგის მეორე ბომბარდირია - 47 მატჩში 60 ქულა (17 გოლი+43 შედეგიანი პასი) აქვს დაგროვილი.

გულშემატკივართა გამოკითხვაში პიტსბურგელმა ფორვარდმა ყველაზე მეტი - 1.7 მილიონი ხმა მიიღო და აღმოსავლეთი კონფერენციის სასტარტო შემადგენლობაში დაიბევა ადგილი. უკვე ცნობილია, რომ კროსბის "ტამპა ბეი ლაითნინგის" საუკეთესო ბომბარდირი **მარტინ სენტ ლუისი** შეცვლის, რომელიც ზედიზედ მეხუთე "ოლ სტარში" მიიღებს მონაწილეობას.

აქვე შეგახსენებთ, რომ "ყველა ვარსკვლავის უიქ ენდზე" ასევე ტრავმის გამო არ იქნებიან დეტროიტელები - რუსი ფორვარდი **პაველ დაციუკი** და შვედი მცველი **ნიკლას ლიდსტრომი**.

■ ■ ■

ასე რომ, "ყველა ვარსკვლავის მატჩის" მონაწილე გუნდების შემადგენლობებმა საბოლოოდ ასეთი სახე მიიღო:



**აღმოსავლეთი**

**სასტარტო**

კერი პრაისი (მონრეალი)
ანდრეი მარკოვი (მონრეალი)
მაიკ კომისარეკი (მონრეალი)
ალექსეი კოვალიოვი (მონრეალი)
ევგენი მალკინი (პიტსბურგი)
მარტინ სენტ ლუისი (ტამპა ბეი)

**სათადარიგოები**

**მეკარეები:** ტიმ ტომასი (ბოსტონი), ჰენრიკ ლუნდკვისტი (რეინჯერსი); **მცველები:** ჯეი ბოუმისტერი (ფლორიდა), ზდენო ხარა (ბოსტონი), ტომაშ კაბერლე (ტორონტო), მარკ შტრაიტი (აილენდერსი); **თავდამსხმელები:** ტომას ვანეკი (ბაფალო), ერიკ სტაალი (კაროლინა), ზაკ პარიზე (ნიუ ჯერსი), მარკ სავარი (ბოსტონი), ვენსან ლეკავალიე (ტამპა ბეი), ილია კოვალჩუკი (ატლანტა), ალექსანდრ ოვეჩკინი (ვაშინგტონი), დენი ჰიტლი (ოტავა), ჯეფ კარტერი (ფილადელფია).

**მწვრთნელი:** კლოდ ჟულიენი (ბოსტონი).

**ხუთეულების მიხედვით**

კომისარეკი-მარკოვი, მალკინი-სენტ ლუისი-კოვალიოვი; ხარა-ბოუმისტერი, ჰიტლი-სავარი-ოვეჩკინი; კაბერლე-შტრაიტი, კოვალჩუკი-ლეკავალიე-ვანეკი; პარიზე-სტაალი- კარტერი. **მეკარეები:** პრაისი - I პერიოდი, ტომასი - II პერიოდი, ლუნდკვისტი - III პერიოდი.

**დასავლეთი**

**სასტარტო**

ჟან-სებასტიან ჟიგერი (ანაჰაიმი)
ბრაიან კემპბელი (ჩიკაგო)
სკოტ ნიდერმაიერი (ანაჰაიმი)
რაიან გეტცლაფი (ანაჰაიმი)
ჯონათან ტეივზი (ჩიკაგო)
პატრიკ კეინი (ჩიკაგო)

**სათადარიგოები**

**მეკარეები:** ნიკლას ბექსტრიომი (მინესოტა), რობერტო ლუონგო (ვანკუვერი); **მცველები:** სტეფან რობიდასი ("დალასი"), დენ ბოილი (სან ხოსე), ში უებერი (ნეშვილი), სელდონ სურეი (ედმონტონი); **თავდამსხმელები:** პატრიკ მარლო, ჯო ტორნტონი (ორივე - სან ხოსე), დასტინ ბრაუნი (ლოს ანჯელესი), რიკ ნეში (კოლამბუსი), ჯერომ იგინლა (კალგარი), მილან ჰეიდუკი (კოლორადო), მაიკ მოდანო (დალასი), შეინ დოუნი (ფინიქსი), კეიტ ტკაჩუკი (სენტ ლუისი).

**მწვრთნელი:** ტოდ მაკლელანი (სან ხოსე).

**ხუთეულების მიხედვით**

ნიდერმაიერი-კემპბელი, კეინი-ტეივზი-გეტცლაფი; რობიდასი-უებერი, ნეში-მარლო-იგინლა; სურეი-ბოილი, ბრაუნი-ტორნტონი-დოუნი; ტკაჩუკი-მოდანო-ჰეიდუკი. მეკარეები: ჟიგერი - I პერიოდი, ბექსტრიომი - II პერიოდი, ჟიგერი - III პერიოდი.

# დომინატორი მესამედ ბრუნდება?

ლეგენდარული ჩეხი მეკარე **დომინიკ ჰაშეკი** დიდ ჰოკეიში მესამედ დაბრუნებას არ გამორიცხავს. "დომინატორმა" ასეთი განცხადება ჩეხეთის საუკეთესო სპორტსმენების დაჯილდოების ცერემონიაზე გააკეთა.

*"რა თქმა უნდა, ასაკიდან გამომდინარე, ჰოკეის ეროვნულ ლიგაში დაბრუნებაზე არ ვფიქრობ, მაგრამ ჩეხეთის ექსტრალიგის რომელიმე გუნდში ჩემი გამოჩენა სრულიად რეალურია"*, - განაცხადა 43 წლის ჰაშეკმა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# ჰოვარდის სამი მილიონი

## ლიგამ ოლ სტარის სასტარტო ხუთეულები გამოაცხადა

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში დასრულდა გულშემატკივართა ხმის მიცემის პროცედურა, რომელსაც "ყველა ვარსკვლავის მატჩის" მონაწილე გუნდების სასტარტო ხუთეულები უნდა გამოევლინა.

ხმების სარეკორდო რაოდენობა მიიღო "ორლანდო მეჯიქის" ცენტრმა **დუაიტ ჰოვარდმა.** მოხსნების, დაფარებებისა და ორმაგი დუბლების რაოდენობით NBA-ის წლევანდელ ლიდერს 3 150 181-მა გულშემატკივარმა დაუჭირა მხარი, რაც ანალოგიური გამოკითხვის ისტორიაში სარეკორდო მაჩვენებელია. აქამდე არც ერთ კალათბურთელს არ მიუღია 3 მილიონზე მეტი ხმა.

დასავლეთ კონფერენციაში ლიდერი გახდა "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" მცველი **კობი ბრაიანტი** - 2 805 397 ხმა. სასტარტო შემადგენლობებმა კი საბოლოოდ ასეთი სახე მიიღო:

**აღმოსავლეთი**

დუეინ უეიდი (მაიამი)
ალენ აივერსონი (დეტროიტი)
ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი)
კევინ გარნეტი (ბოსტონი)
დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო)

**დასავლეთი**

კრის პოლი (ნიუ ორლეანი)
კობი ბრაიანტი (ლეიკერსი)
ტიმ დანკანი (სან ანტონიო)
ამარე სტაუდმაიერი (ფინიქსი)
იაო მინი (ჰიუსტონი)

■ ■ ■

ამასობაში ცნობილი გახდა, რომ "ოლ სტარზე" დასავლეთი კონფერენციის ნაკრებს "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" დამრიგებელი **ფილ ჯექსონი** უხელმძღვანელებს. ლეგენდარული მწვრთნელის კარიერაში ეს მეოთხე მსგავსი აღიარებაა.

ფილ ჯექსონს ეს პატივი იმის გამო ერგო, რომ მისი "ლეიკერსი" დამაჯერებლად ლიდერობს დასავლეთ კონფერენციას. რაც შეეხება აღმოსავლეთის მწვრთნელს, აქ მთავარი კონკურენტები არიან - "ორლანდოს" თავკაცი **სტენ ვან განდი** და "კლივლენდის" დამრიგებელი **მაიკ ბრაუნი.** მათთვის კონკურენციის გაწევა არ შეუძლია "ბოსტონის" მთავარ მწვრთნელ **დოკ რივერსს,** რადგან შარშანდელ "ოლ სტარზე" ჰყავდა ჩაბარებული აღმოსავლეთის გუნდი.

# მემფისმა მწვრთნელი დაითხოვა

"მემფის გრიზლისი" წლევანდელ რეგულარულ ჩემპიონატში მეშვიდე გუნდი გახდა, რომელმაც ცუდი შედეგების გამო მწვრთნელი დაითხოვა. სეზონის პირველ ნახევარში 30 წაგება (42 მატჩში) **მარკ აივარონის** არ აპატიეს.

"გრიზლისის" ოფიციალურმა წარმომადგენელმა **დასტინ კრიუგელმა** დაადასტურა მწვრთნელის გადაყენება, მაგრამ ჯერ არ დაუსახელებია აივარონის შემცვლელის გვარი. "ნიუ იორკთან" მომდევნო ტურის მატჩში გუნდს გენერალური მენეჯერი **კრის უოლასი** უხელმძღვანელებს.

"მემფისის" დათხოვნილ მწვრთნელს NBA-ში დებიუტი შარშან ჰქონდა, თუმცა "გრიზლისს" 82 მატჩში მხოლოდ 22-ჯერ მოაგებინა.

ამ სეზონში "მემფისამდე" მთავარი მწვრთნელი შეიცვალეს "ვაშინგტონმა", "ტორონტომ", "საკრამენტომ", "ფილადელფიამ", "ოკლაჰომამ" და "მინესოტამ".

# ზო საბოლოოდ წავიდა

ცნობილმა ცენტრმა **ალონზო მოურნინგმა,** რომელსაც ფეხის ტრავმის გამო 2007 წლის შემდეგ არ უთამაშია, კარიერის დასრულების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო.

*"ვგრძნობ, რომ წასვლის დრო მოვიდა. როცა რაღაც ძალიან გიყვარს, რთულია მასთან განშორება. მაგრამ მე 38 წლის ვარ და ვფიქრობ, რომ ამ თამაშს მთელი ძალები შევალიე. ეს საოცარი მოგზაურობა იყო",* - განაცხადა გამოსათხოვარ პრესკონფერენციაზე NBA-ის 2006 წლის ჩემპიონმა და "ყველა ვარსკვლავის მატჩის" შვიდგზის მონაწილემ.

ზოს ასოციაციაში 15 სეზონი აქვს გატარებული და მისი საშუალო მონაგარი 17.1 ქულასა და 8.5 მოხსნას უდრის. მოურნინგი ორჯერ დაასახელეს NBA-ის წლის საუკეთესო მცველად. 2356 დაფარებით ის ლიგის ისტორიაში მეათე ადგილს იკავებს. გარდა ამისა, ალონზო "მაიამი ჰიტის" ყველა დროის ლიდერია ქულების, მოხსნებისა და ჩატარებული მატჩების რაოდენობით.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**




NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**ორლანდო-ბოსტონი 80:90**

19:24, 17:20, 18:21, 26:25

ო: თურქოგლუ (22), ლუისი (20+10 მოხსნა), ჯ. ნელსონი (17), დ. ჰოვარდი (11+11 მოხსნა+3 დაფარება).

ბ: პირსი (27+10 მოხსნა), გარნეტი (16), გ. დევისი (16), რ. ალენი (12), რონდო (9+8 მოხსნა).

**ლეიკერსი-ვაშინგტონი 117:97**

31:24, 41:23, 25:21, 20:29

ლ: ბინუმი (23+14 მოხსნა), პ. გასოლი (18), ოდომი (16), ვუიაჩიჩი (13), ბრაიანტი (11), არიზა (10), რადმანოვიჩი (10), ფიშერი (7+8 პასი+4 ჩაჭრა).

ვ: ჯეიმისონი (19), მაკგი (18+9 მოხსნა), კ. ბატლერი (12+6 პასი), კრიტენტონი (10).

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩი**

| | |
|---|---|
| ოდ გრენლანდი-ლინი | 1:1 |
| ბრონდბიუ-ჰერფიოლგე | 2:1 |
| ფრაიბურგი-ზანდჰაუზენი | 4:3 |
| იანგ ბოიზი-უნტერჰახინგი | 2:3 |
| ადმირა-შტურმი | 2:2 |
| ლევსკი-ცრვენა ზვეზდა | 2:0 |
| ოდენსე-ფინი | 4:1 |
| სტარტა-სანდეფიორდი | 1:3 |
| ბრაუნშვაიგი-დორტმუნდი | 2:2 |
| შალკე-მიუნხენი | 2:2 |

**ინგლისი**

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| რაშდენი-ფორესტ გრინი | 2:2 |

**ინგლისის თასი**

| | |
|---|---|
| დერბი-ნოტინგემი | 1:1 |

**იტალია**

**სერია B**

| | |
|---|---|
| ტრიესტინა-ბარი | 1:2 |

**საფრანგეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| შატორუ-ანჟერსი | 0:1 |

**საფრანგეთის თასი**

| | |
|---|---|
| აიაჩო-ვანი | 2:0 |
| დუნკერკი-ლილი | 0:3 |

**ჰოლანდია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| კამბური-ფორტუნა | გადაიდო |
| ემენი-ეინდჰოვენი II | 1:4 |
| დენ ბოში-ომნივორლდი | 3:1 |
| ცვოლე-აპელდოორნი | 3:2 |
| ჰელმონდი-ვეენდამი | 1:3 |
| მაასტრიხტი-დორდრეხტი | 2:2 |
| როსენდალი-იგლზი | 0:1 |
| ვაალვიკი-ტოპ ოსი | 5:0 |
| ტელსტარი-ვენლო | 2:1 |

**ბელგია**

| | |
|---|---|
| გენტი-ანდერლეხტი | გადაიდო |

**პორტუგალია**

| | |
|---|---|
| მარიტიმუ-ლეიქსოეში | 0:0 |
| ბელენენსეში-ქონია | გვ. დასრულდა |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| ანკარა-ქონია | 3:0 |

**კალათბურთი**

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| ვილერბანი-ბეზანსონი | 74:68 |
| ორლეანი-ნანსი | 81:76 |

**ჰოკეი**

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ალზა-ინსბრუკი | 10:1 |
| გრაცი-ოლიმპია | 4:1 |
| ზალცბურგი-აკრონი | 2:2 |
| კლაგენფიურტი-ვილახი | 0:3 |
| ლინცი-ვენა | 1:7 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| აუგსბურგი-კიოლნი | 2:5 |
| ჰანოვერი-იზერლონი | 3:2 |
| დუისბურგი-ინგოლშტადტი | 5:4 |
| დიუსელდორფი-ჰამბურგი | 2:3 |
| კრეფელდი-ვოლფსბურგი | 1:1 |
| მანჰაიმი-აისბარენი | 2:7 |
| ნიურნბერგი-კასელი | 7:2 |

**დანია**

| | |
|---|---|
| ნორდსილანდი-სიონდერილი | 6:3 |
| ტოტემპო-როდოვრე | 4:2 |
| ფრედრიკსჰავნი-ოლბორგი | 4:2 |
| ჰერნინგი-ოდენსე | 7:1 |
| ესბერგი-ჰერლევი | 2:1 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| კეჟმაროკი-სკალიცა | 4:6 |
| მარტინი-ბისტრიცა | 8:2 |
| ნიტრა-ზვოლენი | 4:2 |
| ჟილინა-კოშიცე | 0:3 |
| ტრენჩინი-მიკულაში | 8:2 |
| სლოვანი-პოპრადი | 3:2 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ჟლინი-ზნოიმო | 2:2 |
| ტრშინეცი-სპარტა | 2:1 |
| ბოლესლავი-ლიბერეცი | 2:5 |
| ბუდეიოვიცე-პლზენი | 6:1 |
| კარლოვი ვარი-ლიტვინოვი | 5:1 |
| პარდუბიცე-კლადნო | 4:2 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ბილი-ლუგანო | 2:2 |
| ჟენევა-ამბრი | 4:2 |
| რაპერსვილი-ლანგნაუ | 3:7 |

TV პროგრამა

**24 იანვარი. შაბათი**

**იმედი**

11:15 სპორტული კალეიდოსკოპი.
13:00 იმედის ფსონი.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

07:35 ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. ვალენსია-სევილია.
09:25 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-რენი.
11:10 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ევერტონი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. ესპანიოლი-ბარსელონა.9
15:10 ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. ვალენსია-სევილია.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:20 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
17:50 ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. ბილბაო-სპორტინგი.
19:40 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
20:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:05 ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. ესპანიოლი-ბარსელონა.
22:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-ოსასუნა (LIVE).
00:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ნუმანსია (LIVE).
02:55 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-ბრედა
05:45 ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-ოსასუნა.
07:35 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ნუმანსია.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:45 სპორტული ტანვარჯიში. ოლიმპიკ გალა. გენტი. ბელგია.
10:05 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
10:10 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:10 სპორტკლუბი.
12:10 ფეხბურთი. კვირის მატჩი. იტალიის ჩემპიონატი. ატალანტა-ინტერი.
14:00 სპორტკლუბი.
14:25 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
14:55 ავტოსპორტი. A1 გრანპრი. კვალიფიკაცია. ახალი ზელანდია.
16:55 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ჰამბურგი-შალკე.
18:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 2008-09. კლუბი-რომა.
20:25 ფეხბურთი. ტოტალური კალჩო. სერია A-ს ჟურნალი.
20:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რეჯინა-კიევო (LIVE).
23:00 სპორტის სამყარო.
23:25 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-ფიორენტინა (LIVE).
01:25 პროფესიული კრივი. ხოსე ლუის ერერა-ენად ლისინა (LIVE).
04:00 ჰოკეი. NHL. ყველა ვარსკვლავის უიქენდი. ინდივიდუალური კონკურსები (LIVE).
06:45 ჩემი სპორტი.
07:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ჰამბურგი-შალკე.

**EUROSPORT**

12:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VI დღე (LIVE).
14:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. სწრაფდაშვება. კაცები. კიტცბუელი. ავსტრია (LIVE).
15:45 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. რბოლა გამოდევნებით. ქალები. ანტჰოლცი. იტალია (LIVE).
16:30 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. თავისუფალი პროგრამა. ჰელსინკი. ფინეთი (LIVE).
17:15 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. რბოლა გამოდევნებით. ქალები. ანტჰოლცი. იტალია.
17:45 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. რბოლა გამოდევნებით. კაცები. ანტჰოლცი. იტალია (LIVE).
18:30 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. თავისუფალი პროგრამა. ჰელსინკი. ფინეთი (LIVE).
19:30 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. 15 კმ. კაცები. ოტეპია. ესტონეთი.
20:45 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. 10 კმ. კაცები. ოტეპია. ესტონეთი.
21:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS140. კვალიფიკაცია. ვანკუვერი. კანადა.
22:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS140. ვანკუვერი. კანადა (LIVE).
00:15 ველოსპორტი. არმსტრონგის პლანეტა.
00:20 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. თავისუფალი პროგრამა. ჰელსინკი. ფინეთი.
01:15 ბოულინგი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ნორფოლკი. ბრიტანეთი.
02:45 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. რბოლა გამოდევნებით. ქალები. ანტჰოლცი. იტალია.
03:15 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. რბოლა გამოდევნებით. კაცები. ანტჰოლცი. იტალია.
04:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VII დღე (LIVE).

**25 იანვარი. კვირა**

**იმედი**

13:00 იმედის ფსონი.
00:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-დეპორტივო (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

08:20 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
09:20 პორტუგალიის ჩემპიონატი. ბრაგა-პორტუ.
11:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-ოსასუნა.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:25 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ნუმანსია.
15:15 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-ბრედა
17:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:25 ჰოლანდიის ჩემპიონატი. გრონინგენი-აიაქსი (LIVE).
19:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:55 ესპანეთის ჩემპიონატი. მალაგა-ატლეტიკო (LIVE).
21:55 ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-რასინგი (LIVE).
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-დეპორტივო (LIVE).
01:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
02:10 ჰოლანდიის ჩემპიონატი. გრონინგენი-აიაქსი.
03:55 ესპანეთის ჩემპიონატი. მალაგა-ატლეტიკო.
05:45 ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-რასინგი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 2008-09. კლუბი-რომა.
10:30 ავტოსპორტი. A1 გრანპრი. კვალიფიკაცია. ახალი ზელანდია.
13:30 სპორტული პროგრამა.
14:00 ფეხბურთი. თანამეგობრობის თასი. ფინალი (LIVE).
15:55 ჰოკეი. NHL. ყველა ვარსკვლავის უიქენდი. ახალგაზრდა ვარსკვლავების მატჩი (LIVE).
18:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი (LIVE).
20:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მალაგა-ატლეტიკო (LIVE).
22:00 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
22:30 სპორტული პროგრამა.
23:00 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
23:25 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-სამპდორია (LIVE).
01:25 სპორტული ტანვარჯიში. ოლიმპიკ გალა. გენტი. ბელგია.
03:00 ჰოკეი. NHL. ყველა ვარსკვლავის უიქენდი. ყველა ვარსკვლავის მატჩი (LIVE).
05:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი.
07:30 სპორტული პროგრამა.

**EUROSPORT**

12:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VII დღე (LIVE).
15:15 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. მას-სტარტი. ქალები. ანტჰოლცი. იტალია (LIVE).
16:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. სლალომი. II ცდა. კაცები. კიტცბუელი. ავსტრია (LIVE).
17:00 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. მას-სტარტი. კაცები. ანტჰოლცი. იტალია (LIVE).
18:00 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. საჩვენებელი გამოსვლები. ჰელსინკი. ფინეთი (LIVE).
20:00 ბოულინგი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ნორფოლკი. ბრიტანეთი.
21:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS140. ვანკუვერი. კანადა.
22:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS140. ვანკუვერი. კანადა (LIVE).
00:15 ზამთრის სახეობები. უიქენდის ანონსი.
00:40 ველოსპორტი. არმსტრონგის პლანეტა.
00:45 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. საჩვენებელი გამოსვლები. ჰელსინკი. ფინეთი.
02:30 ბოულინგი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ნორფოლკი. ბრიტანეთი.
04:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VIII დღე (LIVE).

ხელბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები

**A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| არგენტინა-ავსტრალია | 36:16 |
| სლოვაკეთი-რუმინეთი | 28:23 |
| საფრანგეთი-რუმინეთი | 27:22 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საფრანგეთი | 5 | 5 | 0 | 0 | 168-106 | 10 |
| 2. სლოვაკეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 152-119 | 7 |
| 3. უნგრეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 148-115 | 7 |
| 4. რუმინეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 118-107 | 4 |
| 5. არგენტინა | 5 | 1 | 0 | 4 | 133-137 | 2 |
| 6. ავსტრალია | 5 | 0 | 0 | 5 | 76-206 | 0 |

**B ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ქუვეითი-კუბა | 23:26 |
| ესპანეთი-ს. კორეა | 23:24 |
| ხორვატია-შვედეთი | 30:26 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ხორვატია | 5 | 5 | 0 | 0 | 176-115 | 10 |
| 2. შვედეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 162-118 | 8 |
| 3. ს. კორეა | 5 | 3 | 0 | 2 | 140-126 | 6 |
| 4. ესპანეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 167-127 | 4 |
| 5. კუბა | 5 | 1 | 0 | 4 | 106-181 | 2 |
| 6. ქუვეითი | 5 | 0 | 0 | 5 | 99-177 | 0 |

**C ჯგუფი**

| | |
|---|---|
| მაკედონია-რუსეთი | 36:30 |
| გერმანია-პოლონეთი | 30:23 |
| ტუნისი-ალჟირი | 36:25 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 5 | 4 | 1 | 0 | 147-116 | 9 |
| 2. მაკედონია | 5 | 3 | 0 | 2 | 145-136 | 6 |
| 3. პოლონეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 146-131 | 6 |
| 4. რუსეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 143-145 | 5 |
| 5. ტუნისი | 5 | 2 | 0 | 3 | 143-142 | 4 |
| 6. ალჟირი | 5 | 0 | 0 | 5 | 114-168 | 0 |

**D ჯგუფი**

| | |
|---|---|
| სერბეთი-ს. არაბეთი | 38:29 |
| ეგვიპტე-ბრაზილია | 25:22 |
| დანია-ნორვეგია | 32:28 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დანია | 5 | 5 | 0 | 0 | 167-121 | 10 |
| 2. სერბეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 161-146 | 6 |
| 3. ნორვეგია | 5 | 3 | 0 | 2 | 162-123 | 6 |
| 4. ეგვიპტე | 5 | 2 | 0 | 3 | 110-126 | 4 |
| 5. ბრაზილია | 5 | 2 | 0 | 3 | 128-158 | 4 |
| 6. ს. არაბეთი | 5 | 0 | 0 | 5 | 107-161 | 0 |

**II ეტაპი**

**I ჯგუფი**

**24 იანვარი**

სლოვაკეთი-ს. კორეა
უნგრეთი-ხორვატია
საფრანგეთი-შვედეთი

**25 იანვარი**

ხორვატია-სლოვაკეთი
ს. კორეა-საფრანგეთი
შვედეთი-უნგრეთი

**27 იანვარი**

უნგრეთი-ს. კორეა
სლოვაკეთი-შვედეთი
საფრანგეთი-ხორვატია

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საფრანგეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 62-48 | 4 |
| 2. ხორვატია | 2 | 2 | 0 | 0 | 57-52 | 4 |
| 3. შვედეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 57-55 | 2 |
| 4. უნგრეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 46-51 | 1 |
| 5. სლოვაკეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 50-59 | 1 |
| 6. ს. კორეა | 2 | 0 | 0 | 2 | 51-58 | 0 |

**II ჯგუფი**

**24 იანვარი**

მაკედონია-ნორვეგია
პოლონეთი-დანია
გერმანია-სერბეთი

**25 იანვარი**

დანია-მაკედონია
ნორვეგია-გერმანია
სერბეთი-პოლონეთი

**27 იანვარი**

პოლონეთი-ნორვეგია
მაკედონია-სერბეთი
გერმანია-დანია

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 2 | 2 | 0 | 0 | 63-46 | 4 |
| 2. დანია | 2 | 2 | 0 | 0 | 69-64 | 4 |
| 3. სერბეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 63-63 | 2 |
| 4. მაკედონია | 2 | 1 | 0 | 1 | 53-62 | 2 |
| 5. ნორვეგია | 2 | 0 | 0 | 2 | 54-59 | 0 |
| 6. პოლონეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 52-60 | 0 |

**1/2 ფინალი**

**30 იანვარი**

**მე-3 ადგილისთვის**

**1 თებერვალი**

**ფინალი**

**1 თებერვალი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი

# ვინ არის პრომოუტერი?

დღეს ბევრს კამათობენ იმის შესახებ, სინამდვილეში რას წარმოადგენს პროფესიული კრივი. ერთნი თვლიან, რომ ეს პირველ რიგში სპორტია, მეორენი დარწმუნებულნი არიან, რომ კრივი, უპირველეს ყოვლისა, ბიზნესია. ჭეშმარიტება კი, ალბათ, სადაცა შუაში უნდა ვეძიოთ.

ბოლო რეიტინგების მიხედვით, კრივი სანახაობრივი თვალსაზრისით მეორე ადგილს იკავებს ფეხბურთის შემდეგ. შესაბამისად, აქ ფულიც დიდი რაოდენობით ტრიალებს. მაგრამ ვინ არიან ისინი, რომლებიც საკრივო ორთაბრძოლებს ატარებენ და უზარმაზარ ჰონორარებს აწესებენ? ამას ყოველთვის პრომოუტერები აკეთებდნენ.

უხეში შედარებაა, მაგრამ დღევანდელი კრივი შეიძლება "უძველეს პროფესიას" შევადაროთ. სამწუხაროდ, თითქმის ყველა მოკრივე... იყიდება. ისინი სხვანაირად ფულს ვერ იშოვნიან. ხოლო სუტენიორის როლში სწორედ პრომოუტერები გვევლინებიან. ისინი სპორტსმენებს თავიანთ სამსახურს სთავაზობენ და რაც უფრო მაღალია მოკრივის სტატუსი და პოტენციალი, მით უფრო მაღალია ბრძოლის ხარისხი, მით მეტი ფული ტრიალებს და მეტი თანხა შედის ტოტალიზატორებში...

რა თქმა უნდა, სპორტსმენებს პირადი ღირსებაც გააჩნიათ იმისთვის, რომ მოკრივის კარიერაში რაიმე ღირებულს მიაღწიონ. მაგრამ ამჯერად სულ სხვა მხარეზე ვლაპარაკობთ, იმაზე, რომელზეც პროფესიონალებში მიმავალი მოკრივეები ფიქრობენ... მათი სურვილი კარგად ესმით პრომოუტერებს, რომლებიც თავიანთი მოღვაწეობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მრავალ პროფესიას ფლობენ, მათ შორის პრაქტიკულ ფსიქოლოგიას.



მსოფლიოს დონეზე დღეს რამდენიმე პრომოუტერული კომპანია არსებობს, რომლებიც საუკეთესო საკრივო ბრძოლებს უწევენ ორგანიზებას. ქვემოთ თითქმის ყველას მოღვაწეობას შევეხებით, მაგრამ, რა თქმა უნდა, დავიწყებთ უპირობო ლიდერით, რომლის შესახებაც ყველგან ლაპარაკობენ და რომელმაც კრივის გულშემატკივრებს დაუვიწყარი, დიადი და ეპიკური ბრძოლები აჩუქა. ეს არის **დონ კინგი** - კომპანია Don King Production-ის მფლობელი.

ახლა არ მოვყვებით ამ პიროვნების ბიოგრაფიული დეტალების გადმოცემას და დონ კინგის შესახებ კრივში მოღვაწე ცნობილი ადამიანების ციტატებს შემოგთავაზებთ:

**მაქს კილერმანი** (ანალიტიკოსი): *"დონი არც უარესია და არც უკეთესი სხვა ორგანიზატორებზე, რომლებიც პროფესიულ კრივში ტრიალებენ. მას სხვებზე უკეთ ესმის ეს ბიზნესი და მისგან მაქსიმალურ თანხებს იღებს. მოლაპარაკებების წარმატებით დასრულების უნარზე ლეგენდები დადის. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, რომ 30 წელიწადზე მეტია, დაულალავმა კინგმა - პირველმა ზანგმა პრომოუტერმა ასზე მეტი სასამართლო პროცესი მოიგო, მან თვით ამერიკის შეერთებული შტატების სენატსა და გამოძიების ფედერალურ ბიუროს აჯობა! ჩემი აზრით, უახლოესი 50 წლის განმავლობაში, მასთან ახლოს ვერც ერთი პრომოუტერი ვერ მივა".*

**ლარი ჰოლმსი** (სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ექს-ჩემპიონი): *"როცა დონ კინგთან კონტრაქტს მოვაწერე ხელი, ნაცნობები მეკითხებოდნენ: "რაში გჭირდება ეს გარიგება? ეს ხომ არა თანამშრომლობა, არამედ კაბალური ხელშეკრულებაა!" ყველაფერი ძალიან მარტივად იყო! სხვა პრომოუტერი, რამდენადაც პროფესიონალი უნდა იყოს ის, ბრძოლის სანაცვლოდ გარკვეულ წილს შემოგთავაზებს, მაგალითად 2-3 მილიონ დოლარს და საბოლოოდ, უკანასკნელ ცენტამდე ზუსტად მიიღებ დაპირებულ თანხას. რაც შეეხება კინგს, ის გეტყვის, რომ შენ 10 მილიონს გამოიმუშავებ. დაგპირდება ათს, შემდეგ ხუთს მოგპარავს, მაგრამ შენ ხომ მეორე ხუთი მილიონით მაინც მოგებული რჩები! არა ორ ან სამ მილიონს, არამედ ხუთ მილიონს იდებ ჯიბეში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მასთან მუშაობა მომგებიანია. როგორც ამბობენ, უბრალოდ კი არ ვიყიდებით - ჩვენ ვიყიდებით წესების მიხედვით და დიდი ფულის სანაცვლოდ".*

ბევრი ფული - აი, ვინ არის დონ კინგი. Discovery-ის არხზე ხშირად უჩვენებიათ საინტერესო გადაცემა იმის შესახებ, თუ როგორ უბრალოდ და დახვეწილად გააცურა ლეგენდარულმა პრომოუტერმა ამერიკელი მძიმეწონოსანი **ჰასიმ რაჰმანი**, რომელიც მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონ **ლენოქს ლუისთან** მატჩ-რევანშისთვის ემზადებოდა. დონ კინგმა გააცურა **სედრიკ კუშნერი** (რაჰმანის მაშინდელი პრომოუტერი), როცა საიდუმლო მოლაპარაკებები გამართა ჰასიმთან (სხვათა შორის, კუშნერის გარემოცვიდან მოსყიდული ადამიანების დახმარებით) და მას ჩანთით ნაღდი ფული გადასცა, თანაც გარკვეულ თანხაზე ქვითარიც გამოუწერა (ოდნავ მეტი, ვიდრე კუშნერი პირდებოდა). რაჰმანმა ფულით სავსე ჩანთა დაინახა, დახარბდა და დიდხანს არ უყოყმანია, ისე "ჩაბარდა" დონ კინგს. საბოლოოდ, მოტყუებული დარჩა, რადგან სედრიკს შეეძლო მეტი მიეცა, მაგრამ უკვე გვიანი იყო... აი ასეთია, პრომოუტერის დაუწერელი კანონები.

პრომოუტერთა რეიტინგში შემდეგია კინგის მუდმივი კონკურენტი და მისი კბილა (ორივე 76 წლისაა) **ბობ არუმი** - კომპანია Top Rank-ის მფლობელი.

ცნობილმა იურისტმა ბობ არუმმა 1965 წელს, ამერიკის იუსტიციის სამინისტროაში პრესტიჟული სამუშაო მიატოვა და პროფესიულ კრივში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მენეჯერის სტატუსი მოიპოვა. 27 წლის წინათ, არუმმა ტელეარხ ESPN-ზე ყოველკვირეული საკრივო შოუ - Top Rank Boxing Series დააარსა, რომელიც კრივის მოყვარულებისთვის ნამდვილ ჰიტად იქცა. საკაბელო ტელევიზიებში საუკეთესო ბრძოლების ფასიანმა ტრანსლიაციებმა, ბობ არუმის იმპერიას უზარმაზარი მოგება მოუტანა. ამ პრომოუტერის ორგანიზებულია კრივის ისტორიაში შესული ბრძოლები: **ჰაგლერი-ჰიორნსი**, ჰაგლერი-**ლეონარდი**, **ალი-ფრეზერი** და ა. შ.

აუცილებლად უნდა ვახსენოთ, რომ მსოფლიოს კრივის ლეგენდა **ოსკარ დე ლა ჰოია** ასევე ბობ არუმის გამოზრდილია. დღეს კი ის თავისი ყოფილი "პატრონის" ერთ-ერთი მთავარი კონკურენტი და პრომოუტერულ სამყაროში რიგით მესამე "მოთამაშე" გახდა. "ოქროს ბიჭმა" საკუთარი იმპერია შექმნა, რომელსაც Golden Boy Promotions უწოდა.

დღეს ოსკარის ბიზნეს-პარტნიორები პროფესიული კრივის "ცოცხალი ლეგენდები" არიან, მაგალითად, **ბერნარ ჰოპკინსი, შეინ მოსლი**... დონ კინგის პენსიაში გასვლის შემდეგ, სწორედ დე ლა ჰოიას უწინასწარმეტყველებენ ამ ბაზარზე ლიდერობას. მაგრამ ამ მიმართულებით წარმატების მისაღწევად, სუპერმძიმე წონის "დათრევაა" აუცილებელი. ბაბუა დონს უთქვამს: *"ვინც სუპერმძიმე კატეგორიას ფლობს, სწორედ ის ბატონობს მსოფლიოზე!"* ოსკარი უკვე დგამს ამ მიმართულებია პირველ ნაბიჯებს - ის სერიოზულად ცდილობს რუსი მძიმეწონოსნის **სულთან იბრაჰიმოვიჩის** ხელში ჩაგდებას. გარდა ამისა, ცოტა ხნის წინათ, დე ლა ჰოიამ შეიძინა კვირის სამყაროში უძველესი პოპულარული გამოცემა, ამერიკული ჟურნალი The Ring, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ კრივის ბიბლიას. როგორც კი დე ლა ჰოია აქტიური კრივიდან წავა და მთლიანად გადაერთვება თავისი იმპერიის მართვაში, მასთან კონკურენცია ძალიან რთული იქნება.

აქვე დღეს მოქმედი სხვა პრომოუტერების გვარების ჩამოთვლაც შეიძლება:

**ლუის დიბელა** - Dibella Entertainment-ის მფლობელი

**გერი შოუ** - Gary Show Production

**არტურ პელულო** - Banner Promoution inc

**დანიელ გუუსენი** - Goossen Tutor Promoution

**კეტი დუვა** - Main Events

**ლუ დუვა და დინო დუვა** - Duva Boxing

**ფრენკ უორენი** - Sport Netwoork

**კლაუს პიტერ კოლი** - Universum box Promoution

**ვ. ზაურლენდი** - Sauerland Event

სერიოზული ძვრები შეინიშნება უკრაინაში, სადაც ამინდს ცნობილი ძმები **კლიჩკოები** ქმნიან. იქ ორი კომპანიის შერწყმა მოხდა. კლიჩკოების K-2 Promoutions შეუერთდა Nationai Box Promoutions-ს და ახლა ამ ორგანიზაციას K-2 East Promoution ჰქვია. მათთან თანამშრომლობს უკრაინული ტელეარხი "ინტერი".

ჩვენ ვხედავთ, რომ ბევრი ცნობილი მოკრივე ცდილობს თავისი პრომოუტერის "კლანჭებს" დაუძვრეს და შესაძლებლობის ფარგლებში თავად შექმნას საკუთარი კომპანია, რათა თვითონ გაუწის ორგანიზება საკუთარ ბრძოლებს. ამის მაგალითად ზემოთხსენებული ოსკარ დე ლა ჰოიასა და ძმები კლიჩკოების მოყვანა შეიძლება. მაგრამ ყველა ვერ ახერხებს ამის გაკეთებას და დანარჩენებს უხდებათ თავისი მდგომარეობისთვის - გასაყიდი მოკრივის სტატუსისთვის შეგუება.

სამთომეთხილამურეობა

# მსოფლიოს ჩემპიონი კომაშია

ავსტრიის ქალაქ კიტცბუელში მამაკაცებს შორის მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპი დაიწყო. მანამდე კი მეთხილამურეებმა ოფიციალურ ვარჯიში ჩაატარეს, რომელიც კინაღამ ტრაგედიით დასრულდა.



შვეიცარიელი **დანიელ ალბრეხტი** სწრაფდაშვების ტრასაზე დისტანციას ასრულებდა. ის დაახლოებით საათში 130 კილომეტრი სიჩქარით მიქროდა, როცა წონასწორობა დაკარგა, ჰაერში დაახლოებით 40 მეტრი იფრინა და ყინულზე ზურგით დაეხეთქა.

ალბრეხტმა მაშინვე გონება დაკარგა. ეტაპის ექიმები დაახლოებით 20 წუთი ცდილობდნენ შვეიცარიელის გონს მოყვანას, შემდეგ კი მეთხილამურე ვერტმფრენით სენტ იოჰანის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ექიმების თავდაპირველი დიაგნოზის თანახმად, ალბრეხტს მცირედი სისხლჩაქცევები და ფილტვის კონტუზია აქვს. მის მდგომარეობას ექიმები "სტაბილურად მძიმეს" უწოდებენ.

დანიელ ალბრეხტი სათხილამურო სამყაროში საკმაოდ ცნობილი სპორტსმენია. მას მსოფლიოს თასის ოთხი ეტაპი აქვს მოგებული, მათ შორის ორი წლევანდელ სეზონში, გარდა ამისა, შვეიცარიელი 2007 წელს სუპერკომბინაციაში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. მიმდინარე მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლაში ალბრეხტი მერვე ადგილს იკავებს.

**გვერდი მოამზადა**
**გია თვალაბეიშვილმა**



გამოვიდა ახალი ნომერი